პალიტრა მედია

# ლელო

პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
4 მარტი **ორშაბათი** 2013
№051 (13 967) ფასი 80 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა



## რეალი ხარობს, ბარსა ჭაობშია



7



## პენალტი არ იყოო?!

# ფირალები იმერეთში:

## გურიამ ჩემპიონი გაძარცვა




მიხეილ კაკალაძემ (№19) ანგარიში გახსნა

ფოტო: www.fczestafoni.ge



## ჟორდანიას ჯანო ვიტესში მიჰყავს?

რუსულმა გაზეთმა „იზვესტიამ“ საქართველოს ნაკრებისა და მოსკოვის „სპარტაკის“ 20 წლის ნახევარმცველ **ჯანო ანანიძეზე** საინტერესო სტატია გამოაქვეყნა. გაზეთის ცნობით, „სპარტაკიდან“ ჯანოს იჯარით ჰოლანდიური „ვიტესი“ და პირადად მისი პრეზიდენტი **მერაბ ჟორდანიაა** დაინტერესებული.

„წითელ-თეთრები“ მზად არიან, ეს ვარიანტი განიხილონ. „სპარტაკის“ ნახევარდაცვის ცენტრში უდიდესი კონკურენციის გამო, სათუოა, ახალგაზრდა მოთამაშეს იმდენი სათამაშო დრო მიეცეს, რამდენიც მისთვისაა აუცილებელი.

## დეზოში ვაკეში

### გაგრასა და ტორპედოს

მატჩის დროს ტრიბუნაზე გულშემატკივართა შორის ხელჩართული ჩხუბი გაიმართა

*საქართველოს თასის საპასუხო მატჩები*

2-4





**მეოთხედფინალისტები**

დინამო (თბ)
ტორპედო
დილა
სიონი
ჩიხურა
მეტალურგი
გურია
სპარტაკი



## ზაზამ გორტაკი ისევ დაადუმა

### მანუს ნიღაბი, შენგელიას 29

**მანუჩარ მარკოიშვილს** ვარჯიშზე ცხვირი გაუტყდა, 2 კვირა იმკურნალებს, შემდეგ კი დამცავი ნიღბით ითამაშებს. გრიპის ვირუსის გამო გუშინ „ოლიმპიაკოსს“ ვერ დაეხმარა **გიორგი შერმადინი**...

**ზაზა ფაჩულიას** „ატლანტა“ ფინიქსს ესტუმრა, სადაც **იგორ კოკოშკოვი, მარცინ გორტატი** და **გორან დრაგიჩი** დახვდნენ...

**თორნიკე შენგელიამ** 26 იანვრის შემდეგ პირველად ითამაშა...

*–დანარჩენს მე-13 გვერდზე წაიკითხავთ*

ეროვნული ბიბლიოთეკა

● საქართველოს თასი. მერვედფინალი. საპასუხო მატჩები

# ლანჩხუთმა ზესტაფონში თქვა: პირველად იყო გურია!

2.03.ზესტაფონი. დ. აბაშიძე
1000 მაყურებელი

ზესტაფონი **2**
გურია **3**

პირველი მატჩი 1:0

0:1 კაკალაძე (3. შენგელიას პასით), 1:1 ბენაშვილი (16. რეკრუკის პასით), 2:1 დემელი (29. რეკრუკის პასით), 2:2 ჩალაძე (33. კვერენჩხილაძის პასით), 2:3 მაისაშვილი (36. გოგობერიშვილის პასით)

| ზესტაფონი 4-4-1-1 | გურია 4-4-2 |
|---|---|
| რ. კვასხვაძე | ძაძამია |
| თ. გრიგალაშვილი | ჩუენსუ |
| კაჭკაჭიშვილი | მაისაშვილი |
| ლოსანო | ს. თოდუა |
| ღონღაძე | ვართაგავა |
| კუტალია | ა. შენგელია |
| იელიჩი | ჯანგიძე |
| გორგიაშვილი | გოგობერიშვილი |
| ბენაშვილი | ჩალაძე |
| რეკრუკი | კვერენჩხილაძე |
| დემელი | კაკალაძე |
| მწვრთნელი ა. კაჭარავა | მწვრთნელი თ. ლორია |

**ზესტაფონი**

46. კუტალია - **ბაბუნაშვილი**
69. გორგიაშვილი - **ენდელაძე**
76. ბენაშვილი - **ქანთურიშვილი**

*სათადარიგოები: მეშველიანი, პეტკოვი, შარიქაძე, გაგოშიძე*

**გურია**

75. კვერენჩხილაძე - **დარჩიძე**
89. კაკალაძე – **ტ. კუკულაძე**
90+1. შენგელია - **ე. კილაძე**

სათადარიგოები: გოგუაძე, მაჩაიძე, შალამბერიძე, გოგიბერიძე

გაფრთხილება: გოგობერიშვილი (8), კაჭკაჭიშვილი (35), მაისაშვილი (42), იელიჩი (64), ჩუენსუ (72), დემელი (80)

არბიტრი: ო. ხეცაძე



ფოტო: www.fczestafoni.ge

ასეთ შედეგს „გურიის" ყველაზე ოპტიმისტი გულშემატკივარიც თუ წარმოიდგენდა — მას შემდეგ, რაც „გურიას" სათასო მეტოქედ ბოლო წლების გამორჩეული ქართული გუნდი, ქვეყნის მოქმედი ჩემპიონი და თასის ფინალისტი „ზესტაფონი" არგუნა, ლანჩხუთელთათვის ყველაფერი დამთავრებულად ჩაითვალა. ამიტომაც მერვედფინალის მატჩები „გურიასთვის" უფრო საპირველლიგო მოსამზადებელი ხასიათისა უნდა ყოფილიყო, თუმცა ასე არ ფიქრობდნენ ფეხბურთელები — მათ ჰქონდათ ამბიცია, მასზე მაღალ ლიგაში მყოფ „ზესტაფონთან", რომელმაც ათიოდ დღის წინ, საქართველოს სუპერთასიც მოიგო, თანაბრად ეთამაშათ. პირველმა შეხვედრამ გამოაჩინა, რომ „გურია" სერიოზულადაა გაძლიერებული, მაგრამ რადგან „საშინაო" შეხვედრაში 0:1 წააგეს, შემდეგ ეტაპზე გაღწევა გურულებს კიდევ უნდა გასჭირვებოდათ.

როგორც ცნობილია, „გურიის" არენა მზად არ არის „ზესტაფონის" დარი გუნდების მისაღებად, მით უფრო, რომ ქართულ ფეხბურთში თავად მოწესრიგებულ კლუბს ხშირად აქვს პრეტენზიები მეტოქეთა მასპინძლობასთან. „გურიის" თავკაცებმაც ამიტომ მიიღეს გადაწყვეტილება, ორივე მატჩი ზესტაფონში ეთამაშათ. ამით ზედმეტ ხარჯებსაც ასცდნენ — სტადიონის ქირაობა საკმაოდ ძვირი ჯდება.

სწორედ ორივე მატჩის ფეროელთა ქალაქში ჩატარებამ „გურიის" შანსებიც შეამცირა და ბევრს ათქმევინა — ლანჩხუთელებს თასი არ აინტერესებთო.

თუმცა მწარედ მოტყუვდნენ...

მატჩი **თემურ ლორიას** გუნდის უპირატესობით დაიწყო, წინა მატჩის შემდეგ მრისხანე მეტოქის კომპლექსებიც აღარ შემორჩენოდათ მის შეგირდებს. უკვე მე-3 წუთზე **ალეკო გოგობერიშვილმა** სცადა გატანა, მაგრამ გამოცდილმა **როინ კვასხვაძემ** ბურთი კუთხურზე გადააგდო.

თუმცა ორიოდ წუთში გოლიც გავიდა — ზედიზედ მოწოდებული მეხუთე კუთხურის შემდეგ მატჩის გამორჩეულმა მობურთალმა, **ალეკო შენგელიამ მიხეილ კაკალაძეს** საგოლედ უპასა — ფორვარდმაც (ისიც მთელი მატჩის განმავლობაში მეტად აქტიური იყო) ორი შეხებით ფეროელთა მეკარეს ბურთისთვის თვალი გააყოლებინა, 1:0.

ამას მოჰყვა „ზესტაფონის" მცველის იძულებითი გასროლა საკუთარი კარისკენ, მეკარემ თავით კუთხურზე გადააგდო კარისკენ აჭრილი ბურთი. შემდეგ იყო იმავე შენგელიას ჩინებული შანსი რომ მიეცა, მაგრამ გურულთა მარჯვენაფლანგელმა კარში დარტყმის ნაცვლად (მეკარეს ახლო კუთხე დატოვებული ჰქონდა) პასის გაკეთება მოინდომა და იმერელმა მცველებმა განმუხტეს საგოლე ეპიზოდი.

მალევე მანვე ჩინებულად გაისროლა შორეულ ძელთან, მეკარე ველარაფერს გააწყობდა, მაგრამ ბურთი ცოტათი ასცდა კარს, ვერც **გიგა კვერენჩხილაძემ** მოასწრო კუთხის „ჩაკეტვა", თორემ გოლი გარდაუვალი იყო.

ამ ეპიზოდამდე და შემდეგ კი მასპინძლებმა ორი იშვიათი ხიფათი გოლებად აქციეს — ალჟირელმა ლეგიონერმა, **მოჰამედ რეკრუკმა** კარგად ისარგებლა „გურიის" მცველების შეცდომებით, განსაკუთრებით პირველი გოლი „აჩუქეს" სტუმრებმა და თავისიანებს გაატანინა — ჯერ **ალექს ბენაშვილმა** გააყაიმა, ხოლო შემდეგ კუთხურიდან მოწოდებული გოლად **ბოტი დემელმა** აქცია. მანამდე, ანუ მეორე გოლამდე წამებით ადრე **გიორგი ძაძამიამ** თავისიანები აშკარა გოლისგან იხსნა.

შედეგად, 30-ე წუთისთვის „გურია" უკვე 1:2-ს აგებდა.

თითქოს ფსიქოლოგიურადაც უნდა გატეხილიყვნენ პირველლიგელები, მაგრამ პირიქით მოხდა — მათ გამარჯვებისკენ საოცარი სწრაფვა გამოავლინეს და სამ წუთში ორჯერ აიღეს იმერელთა კარი.

ჯერ, 33-ე წუთზე, კვერენჩხილაძემ მცველებს თამაშგარეს შექმნისას შეცდომა დააშვებინა, გურულთა მთავარმეგოლემ ბოლომდე იბრძოლა და პირითი ხაზიდან საჯარიმოში გაგზავნა, სადაც კაკალაძეს მეკარემ არ დაარტყმევინა, მაგრამ საჭირო დროს საჭირო ადგილზე გაჩენილმა **ლაშა ჩალაძემ** ზუსტი დარტყმით თანაფარდობა აღადგინა.

სულ რაღაც სამი წუთი და იგივე კვერენჩხილაძესთან ბრძოლაში მასპინძლები დაჯარიმდნენ, სტანდარტი გოგობერიშვილმა შეასრულა, შეტევაში წასულმა **დავით მაისაშვილმა** კარისკენ ზურგით მდგარმა, ერთი შეხებით თავური მაღალ კუთხეში ჩაახვია, 3:2.

თითქოს ამან გამოცდილი მასპინძლები დააბნია, თუმცა მათ გაყაიმების შანსი პირველ ტაიმშივე მიეცათ — სტუმრებს ყურადღება მოედნის მიღმა მყოფ წაქცეულ ფეხბურთელზე ჰქონდათ გადატანილი, როცა ჯარიმა ფეროელებმა სწრაფად გაითამაშეს და **ორიოლ ლოსანოს** თავურის შემდეგ ძაძამიამ შესაშური რეაქცია გამოავლინა.

ამას მოჰყვა დაძაბული, მაგრამ ხიფათებით ნაკლებად გამორჩეული მეორე ტაიმი, ზესტაფონელები ტერიტორიულ უპირატესობას ფლობდნენ, განსაკუთრებით აქტიურობდა შეცვლაზე შემოსული გუნდის ახალწვეული **ავთო ენდელაძე**. **სევასტი თოდუას** თავკაცობით „გურიის" დაცვამ მასპინძლებს გატანის საშუალება აღარ მისცა. ყველაზე რეალური შანსი კი მაინც ფეროელებს ზედ ბოლო წამებზე მიეცათ — მსაჯის საფინალო ჩასტვენამდე წამებით ადრე მეკარის ბაქანში ერთბაშად სამი ზესტაფონელი აღმოჩნდა დაუცველი, მაგრამ იმერლებმა შანსი ვერ გამოიყენეს.

მანამდე კი გამოსარჩევი იყო ბენაშვილის შორეული დარტყმა, როცა წინ გამოსულ ძაძამიასთვის თავზე გადაგდებას ლამობდა, თუმცა ცოტათი ააცილა. ისევე, როგორც შეტევაში წასულმა **გიორგი კაჭკაჭიშვილმა**, როცა მაღალ მოწოდებულზე თავით ყველას აჯობა. ერთხელ კი თოდუამ კარგად დაუფარა მეტოქეს.

გაცილებით უკეთესი შანსი კი ისევ გურულებს ჰქონდათ — საჯარიმოში შესულმა კაკალაძემ სიღრმიდან მიღებული გადაცემა კარისკენ უძლიერესად გაგზავნა, არავინ იცის მოახერხებდა თუ არა კვასხვაძე რეაგირებას, მაგრამ კარში მიმავალი ბურთი კვერენჩხილაძეს მოხვდა.

საბოლოოდ, 3:2 და „საშინაო" 0:1-ის ჯამში, 10-წლიანი პაუზის შემდეგ „გურია" პირველად გავიდა 1/4-ფინალში. სულ პირველად კი ეს გურულებმა 1990 წელს მოახერხეს, მაშინ პირველი ეროვნული თასიც მოიპოვეს. წლების შემდეგ, ერთ-ერთი ალმასკომის სხდომაზე, როცა თასის მფლობელებზე საუბრობდნენ, ცხონებული **იმედო დუნდუა** დარბაზიდან ისვრის რეპლიკას — პირველად იყო „გურია"!

**მათე გურული**
ზესტაფონიდან

# ათიანში გარტყმული ცვლილებები

2.03.თბილისი. მ. მესხი
300 მაყურებელი

გაგრა **0**
ტორპედო **2**

პირველი მატჩი 1:1

0:1 ფანცულაია (71. ტაბატაძის პასით), 0:2 ე. გრიგალაშვილი (84)

| გაგრა 4-2-3-1 | ტორპედო 4-4-2 |
|---|---|
| ბეგაშვილი | მიგინეიშვილი |
| თ. ჯანაშია | ტაბატაძე |
| გადრანი | ზ. ჯელიძე |
| კალანდაძე | გ. ონიანი |
| ზარნაძე | გ. გურული |
| ფალავანდიშვილი | დოლიძე |
| ტეიდი | გიგაური |
| ჯერემია | ტულუში |
| ივანიშვილი | გ. დათუნაიშვილი |
| მაგაჯი | ბერიაშვილი |
| ვოლკოვი | საბანაძე |
| მწვრთნელი ზ. ჯელაძე | მწვრთნელი გ. გეგუჩაძე |

**გაგრა**

19. მაგაჯი – **მუმლაძე**
46. ტეიდი – **ხოჯაშვილი**
76. ვოლკოვი – **ქკუასელი**

*სათადარიგოები: ადამია, მალანია, ცანკრიალაშვილი, ერისთავი*

**ტორპედო**

52. გ. დათუნაიშვილი – **ფირცხალავა**
60. ბერიაშვილი – **ფანცულაია**
77. საბანაძე – **ე. გრიგალაშვილი**

*სათადარიგოები: ქვილითაია, რიგვავა, ვ. ბოლქვაძე, კუხიანიძე*

გაფრთხილება: ტულუში (51), ზარნაძე (52), საბანაძე (63)

არბიტრი: ლ. სილაგავა



თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო

მეორე ტაიმში ტრიბუნაზე ხელჩართული ჩხუბი ატყდა – ერთმანეთს ქუთაისის "ტორპედოს" ფანკლუბის წევრები და "გაგრას" გულშემატკივრები დაერივნენ. ამის მიზეზი ის გახდა, რომ მასპინძელთა დაშავებულ ფეხბურთელს ერთმა ქუთაისელმა ქომაგმა შეაგინა, რასაც მეტოქის მხარდამჭერთა მძაფრი რეაქცია მოჰყვა. ჩხუბი რამდენიმე წუთს გაგრძელდა და დაცვის სამსახურს მხარეთა გაშველება გაუჭირდა. მცირე ხნით თამაშიც კი შეწყდა და მაჩხუბრებს დაშოშმინებისკენ ფეხბურთელებმაც მოუწოდეს. საბოლოოდ, სიტუაცია განიმუხტა, მაგრამ ამ უსიამოვნო ინციდენტმა თავისი კვალი მაინც დატოვა, — რამდენიმე დასისხლიანებული სახე და დამტვრეული, მოედანზე გადაგდებული სკამი —აი, შედეგი.

ამ ამბიდან მცირე ხანში კი პუბლიკის მთელი ყურადღება კვლავ მოედანს დაუბრუნდა, რადგან "ტორპედომ" როგორც იქნა, საწადელს მიაღწია და მეოთხედფინალში გამსვლელი გოლი გაიტანა - **ვაჟა ტაბატაძის** ფლანგურ ჩაწოდებას შეცვლაზე შესული **გიორგი ფანცულაია** გამოეხმაურა და ანგარიში ეფექტური დარტყმით გახსნა. ცოტა ხანში ქუთაისელთა უპირატესობა მინდორზე კიდევ ერთმა ახლად შესულმა მოთამაშემ, **ელგუჯა გრიგალაშვილმა** განამტკიცა და ამით ნათელი გახდა, რომ სენსაცია არ შედგებოდა.

"გაგრა" ბევრს ეცადა, მაგრამ ქუთაისში მიღწეული 1:1-ის შენარჩუნება ვერ შეძლო. პირველლიგელებს საამისოდ არაფერი დაუშურებიათ, თუმცა "ტორპედოს" უფრო მაღალმა კლასმა მაინც თავისი გაიტანა.

სტუმრებს სწრაფი გოლის გატანა შეეძლოთ, მაგრამ **ნიკა საბანაძის** დარტყმისგან "გაგრა" ძელმა იხსნა. ეს მატჩის მე-6 წუთზე მოხდა, მე-20-ეზე კი კვლავ საბანაძე მოექცა ყურადღების ცენტრში, როცა სამი მეურვის გარემოცვაში მყოფმა შეძლო დარტყმა, მაგრამ მეტოქის მეკარე **გიორგი ბეგაშვილმა** არ გაატანინა. საქმეში ჩაერთო "ტორპედოს" კარის დარაჯი **ომარ მიგინეიშვილიც**, რომელმაც ნიგერიელი **ჯონ ჯერემიას** დარტყმა მოიგერია.

მეორე ტაიმიც "ტორპედოს" კარნახით წარიმართა, მაგრამ "გაგრა" "მეორე ნომრად" თავს კომფორტულად გრძნობდა და შიგადაშიგ მწვავედაც იკბინებოდა. ასე მაგალითად, 49-ე წუთზე **დავით ვოლკოვმა** მიზანს მცირედით ააცილა.

თუმცა იმერელთა უპირატესობა მაინც თვალშისაცემი იყო. **გია გეგუჩაძემ** ცვლილებებით სცადა მეტოქის გატეხვა და თუ როგორ შეძლო "ტორპედოს" თავკაცმა ამ ჩანაფიქრის განხორციელება, ამის შესახებ უკვე გიამბეთ...

**ლევან ჯანეზაშვილი**

2.03.სამტრედია. ე. მანჯგალაძე

სამტრედია **0**
დილა **3**

პირველი მატჩი 0:6

2.03.ქობულეთი. ჩელე არენა

შუქურა **0**
ჩიხურა **3**

პირველი მატჩი 0:8

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს თასი. მერვედფინალი. საპასუხო მატჩები



პენალტი, რომელმაც „მეტალურგს" მეოთხედფინალის საგზური მოუტანა

გურამ დოლენჯაშვილის ფოტო

# ერთადერთი შანსი

2.03. რუსთავი. ფოლადი
500 მაყურებელი

მეტალურგი 1
დინამო (ბთ) 0

პირველი მატჩი 1:2

1:0 რაზმაძე (18, პენალტით)

| მეტალურგი 4-2-3-1 | დინამო 4-1-4-1 |
|---|---|
| ბათიაშვილი | პიცანი |
| ჯაფარიძე | ფარტენაძე |
| გავაშელიშვილი | ტყეშელაშვილი |
| ინწკირველი | გ. ჟვანია |
| სუხიაშვილი | გაბუნია |
| რაზმაძე | ზ. ლობჟანიძე |
| დობროვოლსკი | გ. გოგიტიძე |
| ახალკაცი | კოშკაძე |
| ფიფია | ა. მუჯირი |
| გენაძე | ბ. მახარაძე |
| სიხარულიძე | ჩიმაკაძე |
| მწვრთნელი: გ. ყიფიანი | მწვრთნელი: გ. გურული |

**მეტალურგი**

60. დობროვოლსკი — **მენთეშაშვილი**
68. გენაძე — **ხაბელაშვილი**
80. ახალკაცი — **დ. საჯაია**

*სათადარიგოები:* ბედიაშვილი, ზ. ლობჟანიძე, ქავთარაძე, მახვილაძე

**დინამო**

21. ტყეშელაშვილი — **ცანავა**
60. კოშკაძე — **დიასამიძე**
60. მახარაძე — **მაკარიანი**

*სათადარიგოები:* ტაკიძე, ბაციკაძე, ქორიძე, კიკნაველიძე

გაფრთხილება: ტყეშელაშვილი (21), დობროვოლსკი (34), რაზმაძე (53), ფარტენაძე (79)

არბიტრი: მ. ბეუქლიშვილი

ევროტურნირებზე მოსახვედრად „მეტალურგს" ერთადერთი შანსი რჩება - საქართველოს თასზე მაქსიმალური შედეგის მიღწევა. ამ მაქსიმალურ შედეგში კი, რაღა თქმა უნდა, თასის ალება იგულისხმება და აი, ერთ-ერთი ნაბიჯიც გადადგმულია: **გიორგი ყიფიანის** გუნდმა ერთობ რთულ ორრაუნდიან დაპირისპირებაში შეძლო ბათუმის „დინამოს" ძლევა. მატჩის შემდგომ ჩატარებულ პრესკონფერენციაზე ორივე გუნდის მწვრთნელმა ერთმანეთის მიმართ კომპლიმენტები არ დაინანეს, ორრაუნდიანი დაპირისპირების სირთულესაც ხაზი გაუსვეს და საპასუხო შეხვედრის შეფასებაშიც ერთ აზრზე იყვნენ. ჩვენც ვეთანხმებით გიორგი ყიფიანსა და **გია გურულს** (ბათუმის „დინამოს" მთავარ მწვრთნელს): საპასუხო შეხვედრის (სადაც მასპინძლებს მხოლოდ და მხოლოდ გამარჯვება აწყობდათ) პირველი ტაიმი „მეტალურგის" უპირატესობით წარიმართა და გოლიც ლოგიკური იყო, აი, მეორე ტაიმი კი, როცა სტუმრებს დასაკარგი მართლაც არაფერი ჰქონდათ, „დინამომ" ბევრად უფრო აქტიურად ჩაატარა და ერთი-ორი მწვავე შეტევაც განახორციელა, მაგრამ მეოთხედფინალის საგზურის მომტანი გოლის გატანა ვერ მოახერხა.

...ზამთრის პაუზის დროს ორივე გუნდში ბევრი ცვლილება მოხდა და ამ სათასო მატჩში მოედანზე არაერთი ახალწვეულიც ვიხილეთ: **რომან ახალკაცი, გოგა ფიფია, ზურაბ მენთეშაშვილი** (სამივე — „მეტალურგი"), **გიორგი ტყეშელაშვილი, გიგა ჟვანია, ჯემალ გაბუნია, ალექსანდრე კოშკაძე, ბესიკ ჩიმაკაძე** (ხუთივე — „დინამო"); ამათგან ფიფიას აქტიური თამაშია აღსანიშნავი — ცენტრალური შუამარბის პოზიციაზე გამწესებულმა არაერთი პრობლემა რომ შეუქმნა მეტოქის დაცვის ხაზს. „მეტალურგმა" აქცენტი სწრაფ გოლზე გააკეთა და მატჩის დებიუტშივე ანგარიშის გახსნის ჩინებული შანსიც გაჩნდა: მარცხენა ფლანგზე **ანზორ სუხიაშვილისა** და **რევაზ გენაძის** აქტიური თამაში მეტოქის საჯარიმოში გამჭოლი გადაცემით დასრულდა, მაგრამ კარიდან ერთ მეტრში მყოფმა **ირაკლი სიხარულიძემ** ბურთი **ივან პიცანს** „დაუმიზნა"! მასპინძლები აქტიურ თამაშს განაგრძობდნენ და ეს მონდომება მალე დაუფასდათ კიდეც: ანზორ სუხიაშვილმა ჩინებული სოლორეიდი განახორციელა მარცხენა ფლანგზე და სტუმრებს ისღა დარჩენოდათ, საკუთარ საჯარიმოში წესების დარღვევით შეეჩერებინათ „მეტალურგის" მარცხენა მცველი. მოკლედ, პენალტი ეჭვს არ იწვევდა და **ლუკა რაზმაძემაც** ჩვეულ სტილში, აუღელვებლად შეასრულა 11-მეტრიანი. სამწუხაროდ, პენალტთან ერთად ბათუმელებს სხვა უსიამოვნებაც შეემთხვათ: ტრავმის გამო მატჩის გაგრძელება ვერ შეძლო გიორგი ტყეშელაშვილმა და გია გურულს ტაქტიკური გადაადგილებების მოხდენამ მოუწია. გოლის შემდეგ სტუმრებმა ერთი-ორჯერ შეუტიეს, თუმცა რეალურ ხიფათამდე საქმე არ მისულა. ერთ ეპიზოდში **ზურაბ ბათიაშვილმა** დაასწრო ბესიკ ჩიმაკაძეს, აი, მომდევნო კი, ცოტა არ იყოს, საკამათოდ გვეჩვენა: რუსთაველთა საჯარიმოში **გიორგი გავაშელიშვილისა** და ბესიკ ჩიმაკაძის ორთაბრძოლა ამ უკანასკნელის წაქცევით დამთავრდა, თუმცა სტუმართა პროტესტის მიუხედავად, მატჩის არბიტრმა **მალხაზ ბეუქლიშვილმა** შეხვედრაში მეორე პენალტი აღარ დანიშნა. ისე, სტუმართა წარმომადგენლები არბიტრის ქმედებით მთელი მატჩის განმავლობაში გამოთქვამდნენ უკმაყოფილებას: აი, თუნდაც მეორე ტაიმში, როცა რაზმაძემ (ვისაც მანამდე ყვითელი ბარათი ჰქონდა მიღებული) აუტის ხაზთან ჩიმაკაძესთან ორთაბრძოლაში წესები დაარღვია: ბათუმელები მიიჩნევდნენ, რომ არბიტრს რუსთაველთა ნახევარმცველი უნდა გაეფრთხილებინა, (რაც, ავტომატურად გაძევებას ნიშნავდა), მაგრამ არბიტრმა მხოლოდ საჯარიმო დარტყმა დანიშნა. საერთოდ კი, პირველისგან განსხვავებით, მეორე ტაიმში სტუმრები ბევრად აქტიურად გამოიყურებოდნენ და ტერიტორიული უპირატესობაც მოიპოვეს. თუმცა, ეს უპირატესობა მხოლოდ და მხოლოდ მოედნის 75 პროცენტზე ჰქონდათ: მასპინძლებს საკუთარი საჯარიმო უნარიანად ჰქონდათ გადაკეტილი და ზურაბ ბათიაშვილსაც საქმე, ფაქტობრივად, არ ჰქონია. სამაგიეროდ, ბათუმელებმა შორი და საშუალო მანძილიდან დარტყმები მოსინჯეს, მაგრამ ვერც ჩიმაკაძემ გაისწორა მიზანი და ვერც — **ამირან მუჯირმა**. ისე, ბათუმელთა უბერებელი კაპიტანი, ორივე გუნდის შემადგენლობაში გამორჩეული გახლდათ: 39 წლის მუჯირმა ორჯერ დასცხო თავის საფირმო „ცაცია", მაგრამ ორჯერვე მცირეოდენ არაზუსტად. მასპინძლებმა კი ორი მწვავე კონტრშეტევა განახორციელეს და ორჯერვე ახლოს იყვნენ მიზანთან: ჯერ იყო რევაზ გენაძის ფლანგური გარღვევა და ზუსტი პასი, თუმცა რომან ახალკაცი საკმაოდ მახვილი კუთხიდან ურტყამდა და ბურთი სტუმართა კარის ბადეს გარედან მოხვდა. აი, მეორე ეპიზოდი კი ამ დაძაბული თამაშის ერთ-ერთი მშვენება იყო: ზურაბ მენთეშაშვილმა ჩინებული პასით ფლანგურ გარღვევაზე გაიყვანა **დავით საჯაია** (ეს ახალგაზრდა გარემარბი ძალიან აქტიურად ჩაერთო თამაშში). ამ უკანასკნელმა ასევე ზუსტი პასით ირაკლი სიხარულიძე მოძებნა, რომლის ეფექტურ თავურ დარტყმას ბათუმელთა უკრაინელმა მეკარემ არანაკლებ ეფექტური ნახტომი შეაგება...

**გია ტუხაშვილი**
რუსთავი — თბილისი

# დაპირისპირების გმირი მეკარეა

## ნადირაძემ ყველა პენალტი მოიგერია!

2.03. თბილისი. ბენდელა.
400 მაყურებელი

სპარტაკი 1

პენალტებით 3:0

ვიტ ჯორჯია 1

პირველი მატჩი 1:1

1:0 მეტრეველი (70, მგელაძის პასით), 1:1 ღიბრაძე (76, მჭედლიშვილის პასით)

| სპარტაკი | ვიტ ჯორჯია |
|---|---|
| ნადირაძე | დაუშვილი |
| ჯაფოძე | ხურცილავა |
| ქვალავაძე | გოგიაშვილი |
| ქურდაძე | ადამაძე |
| ლემონჯავა | კასრაძე |
| თუხარელი | მჭედლიშვილი |
| მგელაძე | დავლაშელიძე |
| თ. შონია | გურეშიძე |
| ვ. კილასონია | ღიბრაძე |
| ნარიმანიძე | ჯანელიძე |
| მეტრეველი | კუხალეიშვილი |
| მწვრთნელი 3. ხაჩიძე | მწვრთნელი მ. კოჯლაშვილი |

**სპარტაკი**

77. ნარიმანიძე - **კაკაშვილი**
119. შონია - **მაქაცარია**

*სათადარიგო:* ზუხბაია, ხარაზიშვილი

**ვიტ ჯორჯია**

62. გოგიაშვილი - **კორიფაძე**
118. ჯანელიძე - **ტეტუნაშვილი**

*სათადარიგო:* რეჭია, გეთიაშვილი, ჯავაშვილი, გაბრიჭიძე, ლობჯანიძე

გაფრთხილება: მეტრეველი (43), ადამაძე(60), ჯანელიძე (85)

მსაჯი: გ.ვადაჭკორია

პირველლიგელმა ცხინვალის „სპარტაკმა" უმაღლესლიგელი თბილისის „ვიტ ჯორჯია" გამოთიშა თასის გათამაშებიდან, თუმცა ეს შედეგი მოულოდნელობად არ უნდა მოინათლოს - გამოცდილების თუ კლასის მიხედვით ამ გუნდებს შორის დიდი სხვაობა არ არის, ისიც გასათვალისწინებელია, რომ „ვიტ ჯორჯიასგან" განსხვავებით, „სპარტაკმა" საშუასეზონო პერიოდში უცხოური შეკრება გაიარა.

მერვეფდინალის პირველი მატჩი „მცხეთა პარკზე" დაძაბული გამოდგა და თბილისშიც უშელავათო, საინტერესო თამაში გაჩაღდა.

„ბენდელაზე" მატჩის გმირი საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მეკარე **გიორგი ნადირაძე** გამოდგა, რომელმაც პენალტების სერიაში ყველა 11-მეტრიანი მოიგერია. საპასუხო შეხვედრას „სპარტაკი" დანაკლისით შეხვდა: მარცხენა მცველი **კონსტანტინე ხიზანეიშვილი** დისკვალიფიცირებული იყო, **დავით გელაშვილი, ლაშა კემუხტაშვილი** და **უჩა ბურძენაძე** ტრავმიანობის გამო არ იყვნენ განაცხადში. „ვიტ ჯორჯიას" შუახაზელი **გიორგი ვასაძე** ჰყავს დაშავებული და ამიტომაც მოიისაკლისა ის ორივე შეხვედრაში.

...პირველი წუთები „სპარტაკის" უპირატესობით წარიმართა, "აქ მასპინძელი მე ვარ" – ალბათ, ამის მჭექად თქმა სურდათ სპარტაკელებს, რომლებიც მართლაც შმაგად ირჯებოდნენ.

**თემურ შონიას** ძლიერი დარტყმა **ნიკა დაუშვილმა** მოიგერია, დამატებაზე ყველას ისევ შონიამ დაასწრო, თუმცა მეორე ცდაზე მიზანი ვერ გაისწორა.

„ვიტ ჯორჯიამ" ნელ-ნელა გამოაკეთა თამაში და ისეთი მონაკვეთი შექმნა, „სპარტაკს" ბურთის მოპოვება და შენარჩუნება რომ გაუჭირდა. სტუმართაგან **გიორგი მჭედლიშვილი** გამოირჩეოდა, ეს მარცხენა მცველი აქტიურად ერთვებოდა შეტევაში, თამაშს ამწვავებდა, პირველ ტაიმში მან ორჯერ შორიდან დაარტყა სახიფათოდ, ნადირაძემ ორჯერვე მოახერხა ბურთის მოგერიება.

მეორე ტაიმის დასაწყისში „ვიტ ჯორჯია" მეტოქეზე უფრო მეტს უტევდა, 0:0 ხომ „სპარტაკს" აძლევდა ხელს. მასპინძლებმა კონტრშეტევებზე ააგეს თამაში და ეს არცთუ ურიგოდ გამოუვიდათ. მარჯვენა ფლანგიდან ფეხმალი **თორნიკე თუხარელი** მოსვენებას არ აძლევდა ვიტჯორჯიელთა დაცვას. თუხარელმა რამდენჯერმე მწავავედ ჩააწოდა „ვიტ ჯორჯიას" კარის გასწვრივ, ერთხელ კი ჟარიმა ისე ჩააბრიალა, რომ ბურთს თავი ჯერ **ნიკა მგელაძემ** წაჰკრა, მერე კი **ზვიად მეტრეველმა** თავურით ის ბადეში გაახვია.

„ვიტ ჯორჯია" გაშვებულმა გოლმა არ დააბნია, მეტი მონდომებით შეუტია და გარჯა დაუფასდა კიდეც - მჭედლიშვილმა კარგად დაუგორა **ირაკლი ღიბრაძეს**, რომელმაც საშუალო დისტანციიდან ძლიერი დარტყმით გაათანაბრა ანგარიში.

არც ერთ გუნდს არ ეტყობოდა, რომ დამატებითი დროისთვის ზოგავდა თავს, მწვრთნელებმა შეცვლები კი შემოიტანეს, ხოლო ვინც მოედანზე იყო, საყაიმო ანგარიშს არ ეგუებოდა.

**გურამ ადამაძის** შეცდომის შედეგად მეტრეველი დაუშვილთან პირისპირ დარჩა, ბურთი არ გააჩერა, ახლო მანძილიდან ერთი შეხებით მოინდომა გოლის გატანა, მაგრამ ცაციათი კარგად ვერ დაარტყა და საგოლე შანსიც გაფლანგა.

ლონიერი დარტყმით ერთხელაც გამოირჩა ღიბრაძე, თუმცა მეორე ჯერზე ნადირაძემ მოახერხა ბურთის მოგერიება.

დამატებით დროში შეხვედრა ისევ საინტერესოდ, ორმხრივი იერიშებით წარიმართა. ნამდვილი სათასო დაპირისპირება გამოვიდა, ისეთი ბრძოლა გაჩაღდა, წუნს ვერ დაუდებდი და პენალტების სერიამდე დარჩენილი ნახევარი საათიც მალე გავიდა.

თუხარელის პასით მგელაძემ კი გაიტანა, მაგრამ, გოლი არ ჩაითვალა, თამაშგარე დაფიქსირდა. მერე შონიას პასით თუხარელი აღმოჩნდა ხელსაყრელ პოზიციაში, ოდნავ მახვილი კუთხიდან არაზუსტად დაარტყა.

**დავით ჯანელიძის** სოლო რეიდის შემდეგ ღიბრაძე ხვეული დარტყმით ცდილობდა ბურთის კარში გადაგზავნას, მაგრამ ნადირაძემ იმარჯვა. მეორე ექსტრა ტაიმის ბოლოს „სპარტაკს" კარგი შანსი ჰქონდა, „ვიტ ჯორჯიას" კარისკენ ისეთი ჯარიმა დაინიშნა, ბურთი ლამის საჯარიმო ხაზზე იდო - **ვარლამ კილასონიამ** ისე დაარტყა, დაუშვილმა ძელიდან ოდნავ განზე წასულ ბურთს თვალი გააყოლა.



„სპარტაკი" მეოთხედფინალშია

დამატებითი დროის დასრულებას ორი წუთი აკლდა, ვიტჯორჯიელთა კაპიტანი ჯანელიძე რომ შეცვალეს. ამ დაპირისპირების პირველ შეხვედრაში სწორედ ჯანელიძის პენალტით გაათანაბრა ანგარიში „ვიტ ჯორჯიამ"...

11-მეტრიანების სერიაში პირველი დარტყმა „ვიტ ჯორჯიას" მეკარე ნიკა დაუშვილს ერგო, რომელმაც ნადირაძეს ვერ აჯობა. „სპარტაკის" მეკარემ არც **გიორგი კორიფაძესა** და **ბადრი ტეტუნაშვილს** დაანება პენალტის გატანა, სპარტაკელებმა — მეტრეველმა, კილასონიამ და თუხარელმა კი დარტყმა უნაკლოდ შეასრულეს.

**ვლადიმერ ხაჩიძის** გაწვრთნილი გუნდი მეოთხედფინალში გავიდა, საქართველოს რვა საუკეთესო გუნდში მოხვდა - „სპარტაკისთვის" ეს პატარა წარმატება არ უნდა იყოს...

**დავით თავართქილაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ქართული ფეხბურთი

საქართველოს თასი. მერვედფინალი. საპასუხო მატჩები

# დინამოს ევროპული იერსახე

2.03. თბილისი. დინამო არენა. 300 მაყურებელი

| | |
|---|---|
| დინამო (თბ) | 3 |
| კოლხეთი | 0 |

პირველი მატჩი 1:0

1:0 ძარია (31. ჩისკოს პასით), 2:0 შაშიაშვილი (38. უსტარიცის პასით), 3:0 ჩისკო (67. ალვაროს პასით).

| დინამო 4-4-2 | კოლხეთი 4-2-3-1 |
|---|---|
| გ. ლორია | ბუბუტეიშვილი |
| შაშიაშვილი | გ. კილასონია |
| კვარაცხელია | ჩადუნელი |
| უსტარიცი | ფარულავა |
| მილხრაუმი | კრასოვსკი |
| ალვარო | გოგონაია |
| ძარია | ხოშტარია |
| გრაიციარი | ნაბრია |
| მერებაშვილი | როსინი |
| ჩისკო | მ. ლორია |
| დვალი | ზ. ჯანაშია |
| მწვრთნელი დუშან უჰრინი | მწვრთნელი სოსო ფილია |

**დინამო**

69. გრაიციარი - **ხმალაძე**
80. ძარია - **კოტო**
80. ჩისკო - **ხოჭოლავა**

*სათადარიგოები: ზარქუა, სეთურიძე, პაპავა, ტატანაშვილი.*

**კოლხეთი**

46. ხოშტარია - **ბუხაიძე**
46. ნაბრია – **გულუა**
70. ლორია – **ქორჩილავა**

*სათადარიგოები: ხარშილაძე, ბარამიძე, კვანტალიანი, სარსანია*

გაფრთხილება: კრასოვსკი (61)

არბიტრი: დ. ხარიტონაშვილი

ფოთში სტუმრად 1:0-ის მოგების შემდეგ, ფაქტობრივად, ცნობილი გახდა, რომ თასის ამ წყვილის გამარჯვებული თბილისის "დინამო" იქნებოდა. თუმცა საპასუხო შეხვედრას დინამოელები მაინც დიდი პასუხისმგებლობით მოეკიდნენ და მეტოქეს პირველი წუთებიდან შეუტიეს.

აღსანიშნავია, რომ თბილისელთა შემადგენლობაში ამდენ ლეგიონერს კარგა ხანია არ უთამაშია: ძირითადში ხუთი უცხოელი იყო, შეცვლაზე **კოტოც** შევიდა – მოკლედ, სახეზეა "დინამოს" ინტერნაციონალიზაცია. ეს გუნდის თამაშზეც აისახა, იგრძნობა შესაბამისი გადაწყობა, ევროპელთათვის დამახასიათებელი სტილი, ბურთის ნაკლები თრევა, სისწრაფეზე აქცენტირებული თამაში. ეს იყო ყველაზე საინტერესო – რას წარმოადგენს **დუშან უჰრინის** ამჟამინდელი გუნდი...

თბილისელებს იდეალურად არ უთამაშიათ, მაგრამ სისწრაფისა და მოძრაობის ხარჯზე უპირატესობის მოპოვება არ გასჭირვებიათ. "კოლხეთი" კი პირველი ეტაპის შემდეგ საგრძნობლად გადახალისდა და შეუთამაშებლობა აშკარად ეტყობოდა. ბარზილიელი **ვიტორ როსინიც** ჯერ ვერ გამოიყურება ისე, როგორც "იუთუბის" კლიპებში – თუმცა უთამაშებლისგან ამ დროისთვის მეტი არც იყო მოსალოდნელი.

მასპინძლებმა პირველივე წუთებიდან შექმნეს სახიფათო მომენტები: მე-8 წუთზე მეკარესთან პირისპირ **გია კვარაცხელია** დარჩა, მაგრამ სუსტად დაარტყა და **ლევან ბუბუტეიშვილმა** ბურთი მოიგერია.

აქტიურობდა **ჯაბა დვალი**, რომელიც საჯარიმოში ორჯერ სხვადასხვა ფლანგიდან შეიჭრა და კარში დაარტყა, მაგრამ კოლხების მეკარესს ვერც მან აჯობა.

თუმცა ფოთელებმა 31-ე წუთზე ველარაფერი გააწყვეს, როდესაც **ჩისკომ** მარჯვენა ფლანგიდან ჯარიმა ჩამოაწოდა, მცველებმა საჯარიმოს მისადგომებთან ვერ დაფარეს **ირაკლი ძარია**, რომელმაც ძირითად გუნდში დაბრუნება გოლით აღნიშნა – 1:0. აქვე ვიტყვით, რომ მეორე ტაიმში მეორე დასჯილი, **ლევან ხმალაძეც** გამოჩნდა.

37-ე წუთზე ანგარიშის გაზრდა ჩისკოს მიერ მეკარესთან ერთი-ერთზე დარჩენილ **გიორგი მერებაშვილს** შეეძლო, თუმცა, მახვილი კუთხიდან მეკარეს მოარტყა და არა ბადეს.

ერთ წუთში "დინამოს" ბასკმა ახალწვეულმა, **უსტარიცმა** მარჯვენა ფლანგზე გახსნილი **გიორგი შაშიაშვილი** შენიშნა, რომლის თავურიც ზუსტი გამოდგა – 2:0. ფოთელებს შეტევების განხორციელება უჭირდათ, რადგან დინამოელები მეტს მოძრაობდნენ და სწრაფად ახერხებდნენ სტუმართა ჩანაფიქრის ალკვეთას.

მეორე ტაიმიც იმავე სცენარით წარიმართა, მასპინძლები ბევრს და მწვავედ უტევდნენ. სხვაობის გაზრდას შეეცადნენ კვარაცხელია და **გიორგი მერებაშვილი** – ამ უკანასკნელს არც გოლი გაუტანია და არც საგოლე პასი მიუთვლია, მაგრამ აქტიური გახლდათ.

61-ე წუთზე მერებაშვილმა "კოლხეთის" საჯარიმოში ერთდროულად ოთხ მცველს დაახვია თავბრუ და ისევ მახვილი კუთხიდან სცადა კარის აღება - მართალია, ბურთი კარს ასცდა, მაგრამ ეპიზოდი ძალიან ეფექტური გამოდგა.

ასევე ეფექტური, თუმცა შედეგიანი აღმოჩნდა 68-ე წუთზე **მიკელ ალვაროს** წამოწყებული შეტევა, კარის წინ უმეთვალყურეოდ დარჩენილმა ჩისკომ მომენტით ისარგებლა და საბოლოო ანგარიში დააფიქსირა – 3:0.

ორი მატჩის ჯამში, დინამოელებმა "კოლხეთს" 4:0 მოუგეს და თასის 1/4-ფინალში გავიდნენ.

**მატჩის შემდეგ**

**დუშან უჰრინი** ("დინამოს" მთავარი მწვრთნელი): *"სტუმრად მინიმალური ანგარიშით მოვიგეთ, მაგრამ სათასო სპეციფიკიდან გამომდინარე, მშვიდად ვერ ვიქნებოდით. პირველივე წუთიდან გოლის გატანას შევეცადეთ. მართალია, მისალები ანგარიშით გავიმარჯვეთ, თუმცა თამაშის ხარისხი კმაყოფილების საბაბს ნამდვილად არ მაძლევს. წინ ჩემპიონატის დასკვნითი ეტაპი გველის და ვეცდებით, არსებული ხარვეზები მინიმუმამდე შევამციროთ".*

**სოსო ფილია** ("კოლხეთის" მთავარი მწვრთნელი): *"ვიცოდით, რომ მძიმე მატჩი გველოდა. რა თქმა უნდა, ფავორიტი "დინამო" იყო. მეტოქე კლასით ჩვენზე მაღლა დგას და დარწმუნებული ვარ, მეორე ეტაპზე ერთ-ერთი საუკეთესო გუნდი იქნება. პირველივე წუთებიდან ჩვენი მთავარი ამოცანა იყო, მეტოქისთვის სივრცეები შეგვეზღუდა, თუმცა კლასი და ოსტატობა თავისას შვება და, ფაქტობრივად, ვერანაირი წინააღმდეგობა ვერ გავუწიეთ – "დინამომ" დამსახურებულად მოიგო. ჩვენ ჯერ კიდევ ბირთვის ძიებაში ვართ და იქიდან გამომდინარე, რომ გუნდში ძირითადად ადგილობრივი ახალგაზრდები გვყავს, ბიჭების გამოსვლით კმაყოფილი ვარ".*

**მერაბ მამულაშვილი**

2.03. განმუხური. 500 მაყურებელი

| | |
|---|---|
| ზუგდიდი | 1 |
| სიონი | 1 |

პირველი მატჩი 0:3

0:1 უგრეხელიძე (74), 1:1 რ. ონიანი (90)

| ზუგდიდი 4-2-3-1 | სიონი 4-2-3-1 |
|---|---|
| მაქაცარია | ბობღიაშვილი |
| აფაქიძე | დ. ფოფხაძე |
| გამეზარდაშვილი | სვანიძე |
| აკობია | ორბელაძე |
| რ. ონიანი | ელიავა |
| კანაია | ქამოკლიძე |
| ნ. შონია | ჰაიდუჩეკი |
| სიხარულია | ცხადაია |
| გუგუჩია | ლექვთაძე |
| შ. ლომია | უგრეხელიძე |
| გაბედავა | მიაუჩაძე |
| მწვრთნელი ე. ქომეთიანი | მწვრთნელი ა. ჯელაძე |

**ზუგდიდი**

46. კანკია – **ეხვაია**
62. სიხარულია – **ხუზუა**
69. გუგუჩია – **წურწუმია**

*სათადარიგოები: ძაგანია, აქუბარდია, ქვარცხავა, ფარჯიკია*

**სიონი**

67. ლექვთაძე – **ახალაია**
75. ცხადაია – **ჩივაძე**
78. ჰაიდუჩეკი – **საპირი**

*სათადარიგოები: ვ. ლობჟანიძე, ბიბილეიშვილი, მანწკავა, ჯოჯუა*

გაფრთხილება: გაბედავა (34), კანკია (42), აფაქიძე (55), გაბედავა (61)

არბიტრი: დ. სანოძე

დინამოს ამბები



## მენდი ტრავმირებულია

თბილისის "დინამომ" წინასასეზონო პრეზენტაციაზე **ემანუელ მენდი** წარადგინა და 20-ნომრიანი მაისურა გადასცეს. 22 წლის სენეგალელი ფლანგის მცველი „ლივერპულის" სარეზერვო გუნდში გამოდიოდა, მოსამზადებელ ეტაპზე თბილისელთა ჩეხ დამრიგებელს, **დუშან უჰრინს** თავი მოაწონა და ცხადია, მაყურებელი მის გამოჩენას ელოდა.

თუმცა, სეზონი დაიწყო, "დინამომ" ფოთის "კოლხეთთან" თასზე ორი შეხვედრა უკვე გამართა, მენდი კი არც ერთი მატჩის განაცხადში არ მოხვედრილა.

როგორც დავადგინეთ, სენეგალელი ფეხბურთელი ტრავმირებულია და 2 კვირა მაინც დაისვენებს.

## ირაკლი ძარია: არსად არ მივდივარ!

თბილისის "დინამოს" მთავარი მწვრთნელი **დუშან უჰრინი** თურქული შეკრების შემდეგ რამდენიმე მოთამაშეს დაემშვიდობა: ბათუმის "დინამოში" იჯარით გაუშვა **ნიკა დიასამიძე**, **გიორგი რეხვიაშვილი** – ტრანსფერზე დააყენა და მის გაშვებას საჩხერეს "ჩიხურაში" დათანხმდა.

გასარკვევი იყო **ლევან ხმალაძისა** და **ირაკლი ძარიას** საკითხი, რომლებიც შეკრებაზე ლუგანსკის "ზარიასთან" ბოლო შეხვედრის შემდეგ პირველ გუნდთან აღარ ვარჯიშობდნენ. ჯერ იყო ინფორმაცია, რომ სარეზერვო გუნდში გადაიყვანეს, მაგრამ მოსალოდნელი მოხდა, ძარიაც და ხმალაძეც გუნდში დააბრუნეს და ფოთის "კოლხეთთანაც" ითამაშეს.

მომხდარზე "კოლხეთთან" მატჩის შემდეგ ირაკლი ძარიას დავეკითხეთ, რომელმაც ფოთელებს პირველი გოლი გაუტანა და დაბრუნება ასე აღნიშნა. თუმცა, ამ თემაზე ლაპარაკი არ ისურვა: *"მიხარია, რომ გუნდმა ორივე შეხვედრა მოიგო და მეოთხედფინალში გავედით. რაც შეეხება ჩემი და "დინამოს" ურთიერთობას, ვიყავი და ვრჩები ამ გუნდის წევრად, არანაირი კონფლიქტი არ გვქონია, არსად წასვლას არ ვაპირებდი და პრობლემური საკითხები არ არსებობს".*

**მერაბ მამულაშვილი**

ლეგიონის უქმეები



ლევან კობიაშვილმა 90 წუთი ითამაშა

# უკრაინა განახლდა, კობიაშვილი უკვე შეუცვლელია

**ხანგრძლივი** დისკვალიფიკაციის მოხდის შემდეგ, ლევან კობიაშვილმა ოფიციალურ მატჩში მოედანზე პირველად დაყო 90 წუთი. ეს "ჰერტას" გასვლით შეხვედრაში მოხდა, რომელიც ბერლინელებმა დრეზდენის "დინამოსთან" 0:1 დათმეს. ვეტერანმა ქართველმა ამჯერად მარცხენა მცველის პოზიციაზე ითამაშა. ამ მარცხის მიუხედავად, "ჰერტა" მყარად ინარჩუნებს ადგილს მოწინავეთა შორის და პირველ ბუნდესლიგაში დაბრუნების შესანიშნავი შანსი აქვს.

"ბოხუმი" "კაიზერსლაუტერნს" ესტუმრა და უგოლოდ დაუზავდა. **ალექსანდრე იაშვილი** მოედანზე 75-ე წუთზე შევიდა, ხოლო მეორე ბოხუმელი, **ნიკოლოზ გელაშვილი**, სათადარიგო იყო.

პოლონეთის ექსტრაკლასაში ვარშავის "ლეგიამ", რომელმაც ცოტა ხნის წინ **ვლადიმერ დვალიშვილი** გადაიბირა, "ბელხატოვს" უმასპინძლა და ფრედ, 0:0 ეთამაშა. დედაქალაქელთა ქართველმა ფორვარდმა შეუცვლელად ითამაშა. დაკარგული ქულების მიუხედავად, "ლეგიამ" ჩემპიონატის ერთპიროვნული ლიდერობა შეინარჩუნა და უახლოეს მდევარს, დვალიშვილის ყოფილ კლუბ "პოლონიას" ორი ქულით უსწრებს.

რაც შეეხება პოლონეთში მოასპარეზე კიდევ ერთ ქართველს, "იაგელონიას" ნახევარმცველ **ნიკა ძალამიძეს**, უახლოეს პერიოდში იგი ტრავმის გამო ვერ შეძლებს მოედანზე გასვლას.

ზამთრის ხანგრძლივი პაუზის შემდეგ, უკრაინული პრემიერლიგა განახლდა, სადაც ჩვენთვის საინტერესო რამდენიმე შეხვედრა გაიმართა.

"დნიპრომ" კიევის "არსენალს" უმასპინძლა და მეტოქე 3:0 გაანადგურა. მასპინძელთა რიგებში **ჯაბა კანკავა** შესვენების შემდეგ გამოჩნდა, ხოლო **ალექსანდრე კობახიძე**, რომელმაც სეზონის პირველი ნახევარი იჯარით სწორედ "არსენალში" გაატარა, სათადარიგო იყო.

"ზარიამ" "ჰოვერლას" უმასპინძლა და 2:1 გაიმარჯვა. **ჯაბა ლიპარტია** მასპინძელთა შემადგენლობაში 82-ე წუთზე გამოჩნდა. ლვოვის "კარპატიმ" სტუმრად 2:0 დაამარცხა "ტავრია". **მურთაზ დაუშვილმა** და **ლევან ყენიამ** ლვოველთა შემადგენლობაში სრულად ითამაშეს. ყენიამ მეოთხე წუთზე ყვითელი ბარათი მიიღო.

თურქეთის სუპერლიგაში "ქაისერისფორმა" "მერსინს" უმასპინძლა და მოწინააღმდეგეს 2:1 სძლია. **ზურაბ ხიზანიშვილმა** "ქაისერის" რიგებში სრულად ითამაშა და მატჩის 44-ე წუთზე გაფრთხილება მიიღო.

აზერბაიჯანის პრემიერლიგაში ჩემპიონატის პირველი ეტაპი დასრულდა და გუნდები ორ ექვსეულად გააგრძელებენ ბრძოლას. აღსანიშნავია, რომ ზედა ექვსეულის კლუბებიდან სამში ქართველები არიან წარმოდგენილნი. ჩემპიონატის პირველი ეტაპი მოქმედმა ჩემპიონმა, ბაქოს "ნეფთჩიმ" მოიგო, რომელმაც უახლოესი მდევარი, **კახა ცხადაძის** "ინტერი" სამი ქულით ჩამოიტოვა.

"ინტერმა" გუშინ ჩემპიონობის კიდევ ერთ პრეტენდენტთან, "ყარაბახთან" გასვლითი შეხვედრა 0:0 დაასრულა. ბაქოელთა შემადგენლობაში შეუცვლელად ითამაშეს **გიორგი ლომაიამ** და **ილია კანდელაკმა**, **ბაჩანა ცხადაძე** კი 64-ე წუთზე თბილისის "დინამოს" ყოფილმა ნახევარმცველმა, ბრაზილიელმა **რობერტინიომ** შეცვალა. **რევაზ თევდორაძე** და **ვალერი აბრამიძე** "ინტერის" სათადარიგოთა სკამზე ისხდნენ.

ზეექვსეულის საგზური მოიპოვა **გიორგი ფოფხაძის** "ბაქომ", რომელიც მიმდინარე სეზონში მეტად არასტაბილურად ასპარეზობს. ბაქოელებმა შინ "რავანს" 2:1 სძლიეს, მათმა ქართველმა მცველმა კი სრულად ითამაშა.

**გიორგი ჩიხრაძის** მიერ გაწვრთნილმა "სიმურგმა", რომელმაც საუკეთესო ეშელონის საგზური კარგა ხნის წინ დაიბევა, სტუმრად "ქიაფაზთან" 1:1 ითამაშა და პრემიერლიგის პირველი ეტაპი მეოთხე საფეხურზე ჩაამთავრა.

"თურანმა" საკუთარ მოედანზე "ნეფთჩის" დიდი წინააღმდეგობა გაუწია, თუმცა საბოლოოდ, 2:3 დამარცხდა. **ირაკლი ბერაია** "თურანის" სასტარტო შემადგენლობაში იყო და შეხვედრის 35-ე წუთზე ანგარიში გაათანაბრა, მისი თანაგუნდელი **დავით ჯანელიძე** კი მოედანზე 78-ე წუთზე შევიდა.

**ლევან ჯანეზაშვილი**



მურთაზ დაუშვილი



ლევან ყენია

● ინგლისი. პრემიერლიგა. XXVIII ტური

# პირველი მეგოლის მეორე ჰეთთრიკი

**XXVIII ტურის ცენტრალური მატჩი გუშინ „უაით ჰართ ლეინზე“ გაიმართა, სადაც თითქმის გაირკვა, რომ პირველად 1999/2000 წლების სეზონის შემდეგ „არსენალი“ ჩემპიონთა ლიგის მიღმა რჩება. მოულოდნელი შედეგი დაფიქსირდა მხოლოდ საუთჰემპტონში. „წმინდანები“ შინ „რეინჯერებთან“ დამარცხდნენ. დანარჩენ შეხვედრებში ფავორიტებმა იმარჯვეს. აი, კრიზისში ჩაფლული „სტოკ სიტის“ მარცხი კი უკვე აღარ გვიკვირს. აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ უქმეებზე პრემიერლიგასა და ჩემპიონშიპში ერთბაშად ოთხი ჰეთთრიკი შესრულდა, რაც იშვიათი მოვლენაა. თავი გამოიჩინეს შინჯი კაგავამ (მანჩესტერ იუნაიტედი) - „ნორვიჩთან“, ლუის სუარესმა (ლივერპული) – „უიგანთან“, დუაიტ გეილმა (პიტერბორო) – „ბლექბერნთან“ და ლეონარდო ულოიამ (ბრაიტონი) – „ჰადერსფილდთან“.**

## სამურაის დღე

„მანჩესტერ იუნაიტედმა“ მიჯრით მე-5 თამაში მოიგო, აქედან მე-4 მშრალი ანგარიშით. „ეშმაკებმა“ „ნორვიჩთან“ განსაკუთრებული ძალისხმევის გარეშე მოიპოვეს 3 ქულა და პირველ წრეში „კეროუ როუდზე“ მოულოდნელი მარცხისთვის (1:0) სრულფასოვანი რევანში აიღეს. მართალია, „იადონებს“ ერთადერთი მომენტი ჰქონდათ, მაგრამ ისეთი, რომლის გამოუყენებლობა არ შეიძლებოდა. 1:0-ზე **გრანტ ჰოლტმა რასელ მარტინს** თავით დაუგდო ბურთი. შოტლანდიელმა მცველმა მოახერხა და 3 მეტრიდან ბურთი ხარიხას გადააცილა. მასპინძლებს მე-17 წუთზევე შეეძლოთ ანგარიშის გახსნა, როცა **უეინ რუნისთან** გათამაშებული კომბინაციის შემდეგ **რობინ ვან პერსი** მეკარესთან პირისპირ დარჩა. ჰოლანდიელმა ბურთი ოდნავ წინ გაიგდო და კინაღამ **მარკ ბენის** ჯანმრთელობა შეიწირა. ვან პერსის პასით ანგარიში 45-ე წუთზე **შინჯი კაგავამ** გახსნა. მეორე ტაიმში იაპონელს უკვე რუნი ამოუდგა მხარში და ორჯერ გაატანინა. „სამურაიმ“ ერთი მეორეზე უფრო ეფექტური ბურთები შეაგდო. 90-ე წუთზე შეხვედრას წერტილი საჯარიმოს გარედან ულამაზესი დარტყმით რუნიმ დაუსვა.

## ურთულესი გამარჯვება

ვერ ვიტყვით, რომ „ჩელსის“ „ვესტ ბრომვიჩთან“ მოგება ძალიან გაუჭირდა, მაგრამ 3 ქულის ასაღებად მასპინძლებს სერიოზული ძალისხმევა დასჭირდათ. მიზნისთვის ბრძოლას ორი გარემოება განსაკუთრებულად ართულებდა. უპირველესად გულშემატკივრებსა და **რაფა ბენიტესს** შორის არსებული დაძაბულობა. „სტემფორდ ბრიჯის“ ტრიბუნებზე ესპანელი მწვრთნელის საწინააღმდეგო ბანერები კიდევ ერთხელ გადმოიფინა და... **სტივ კლარკი**. სტუმართა დამრიგებელი „ჩელსის“ საკუთარი ხუთი თითივით იცნობს და მისთვის სიურპრიზის შეთავაზება შეუძლებელი იყო.

„ლურჯებმა“ **ბენ ფოსტერის** კარში ერთადერთი ბურთი გაიტანეს. არადა, მარტო **ოსკარს** ოთხჯერ შეეძლო თავის გამოჩენა. საჯარიმოდან ანგარიშის გახსნა შეეძლო **დავიდ ლუისსაც**. მეკარე ყოველ ჯერზე დამაჯერებლად თამაშობდა. სტუმრები, თავის მხრივ, სტანდარტული სიტუაციებიდან ახერხებდნენ **პეტრ ჩეხის** შეწუხებას. ვეტერანმა კარის დარაჯმა **უინსტონ რიდსა და პიტერ ოდემვინგეს** ორი სახიფათო საჯარიმო აუღო. ამას გარდა, „ვესტ ბრომვიჩის“ არსენალში კუთხურებიც იყო. ბოლო წამებზე თანაგუნდელების დასახმარებლად წინ წავიდა ფოსტერიც, ვინც ბურთისთვის ბრძოლაში ორჯერ ჩაერთო, მაგრამ ამაოდ. ერთადერთი გოლი ჯერ კიდევ პირველ ტაიმში ლუისის გადაცემით **დემბა ბამ** გაიტანა.

## სუონსის მეორე ფრონტი

„ევერტონს“ „რედინგთან“ მაქსიმალური მობილიზაცია დასჭირდა. „არისტოკრატების“ ბომბარდირ **ადამ ლე ფონდრეს** ანგარიშის გახსნა მე-18 წუთზე შეეძლო, მაგრამ მისი გასროლა ძელს მოხვდა. ერთთვიანი პაუზის შემდეგ პირველად შეაგდო **მარუან ფელაინიმ, სტივენ პიენაარმა** კი ბურთი ფლანგზე მიიღო, ცენტრისკენ შეიწია და **სტივენ ტეილორს** შორეულ, მაღალ კუთხეში დაურტყა. სამხრეთაფრიკელმა მეორე ტაიმში **კევინ მირალიაშსაც** გაატანინა. სტუმართა მხრიდან პრესტიჟის გოლი **ჰალ რობსონ-კანუმ** გაიტანა.

„სენტ მერიზე“ „საუთჰემპტონი“ და „ქუინზ პარკი“ ბევრს სცოდავდნენ, განსაკუთრებით პასებში. შეცდომებს უშვებდნენ ისეთი ფეხბურთელებიც, ვისგანაც ამას მიჩვეულნი არ ვართ. მაგალითად, **ჟულიო სეზარს** ბურთი ორჯერ გაუვარდა ხელიდან. პირველით **ჯეი როდრიგესმა** ისარგებლა, მეორედ კი საჯარიმოში უბრალოდ არავინ იყო. ანგარიში ახლად გამოჯანმრთელებულმა **ლოიკ რემიმ** გახსნა. გაიტანა ძირითადში პირველად გამწესებულმა **ჯეი ბოთროიდმაც**. **ჰარი რედნაპმა** ვეტერანი ტრავმირებული **ბობი ზამორას** ნაცვლად ათამაშა.

„სუონსიმ“ ლიგის თასის მოგების შემდეგ ძალები იოლად აღიდგინა და „ნიუკასლს“ ფიზიკური მომზადებით აჯობა. საკმარისი იყო, „გედების“ ფეხმარდ გარემარბებს „სისწრაფეები ჩაერთოთ“, რომ „კაჭკაჭები“ უხეშობაზე გადადიოდნენ. ტაინსაიდელებმა სტარტზე სცადეს უპირატესობის ხელში ჩაგდება, მაგრამ არაფერი გამოუვიდათ. ერთადერთი გოლი 85-ე წუთზე **ლუკ მურმა** გაიტანა. მას ბურთი ცენტრალურმა მცველებმა ჩააბარეს. თავდამსხმელმა ერთი მოძრაობით მოატყუა მეკარეც და კიდევ ერთი უკანახაზელიც, ახლო მანძილიდან გამარჯვების გოლის გატანა კი აღარ გასჭირვებია.

## ეს უკვე ლივერპულია

**ბრენდან როჯერსის** გუნდის პროგრესი აშკარაა: „ლივერპულმა“ ბოლო 2 შეხვედრაში მეტოქეებს 9 ბურთი გაუტანა და საკუთარ კარში ერთიც არ მიუღია. რაც ასევე ძალიან მნიშვნელოვანია, მერსისაიდელები უკვე ახერხებენ კლასით დაბლა მდგომ მეტოქესთან საკუთარი უპირატესობის გამოყენებას. ასე იყო ამჯერადაც. საუკეთესოები მოედანზე **ფელიპე კოუტინიო** და **ლუის სუარესი** იყვნენ. ბრაზილიელმა 2 შედეგიანი გადაცემა გააკეთა, ურუგვაელი კი პირველი ფეხბურთელი გახდა მიმდინარე სეზონში, ვინც მეორე ჰეთთრიკი შეასრულა ჩემპიონატში. თამაშის ბედი პირველი ტაიმის 34-ე წუთზე უკვე გადაწყვეტილი იყო. ამ დროისთვის სტუმართა უპირატესობა უკვე სამ ბურთს აღწევდა. მეორე ნახევარში „წითლებმა“ თამაშის რიტმს უკლეს და მონაგარს ერთი გოლიღა დაამატეს.



ლუის სუარესი სეზონში მეორე ჰეთთრიკის წყალობით ბომბარდირთა დავაში დაწინაურდა

## ნაღდი ფეხბურთის ღამე

ჩრდილო ლონდონში ნაღდი ინგლისური სანახაობა გაიმართა, რომელშიც ობიექტურად უძლიერესმა გუნდმა იმარჯვა. „დეზებმა“ მეტოქე პირველ ტაიმში 3 წუთის ინტერვალით 2-ჯერ დააშამათეს. **ვოიცეხ შჩესნისთან** ჯერ **გარეთ ბეილი** დარჩა პირისპირ, მერე **აარონ ლენონი** და რა გასაკვირია, რომ მომენტი ორივემ გამოიყენა. „მეთოფეთა“ ცენტრალური დაცვა ორჯერვე უხეშად შეცდა. **პერ მერტეზაკერმა** მეორე ტაიმის დასაწყისში თავურით მატჩს ინტრიგა დაუბრუნა. საფინალო სასტვენამდე სტუმრებს ცდა არ დაუკლიათ, მაგრამ... „ტოტენჰემს“ კონტრშეტევებზე თავადაც შეეძლო გატანა, თუმცა ვერც მან ივარგა.

გვერდი მოამზადა
**ლევან ბიბილაშვილმა**

### ჩელსი–ვესტ ბრომვიჩი 1:0

**გოლი:** 1:0 ბა (28)

**ჩელსი** (4-2-3-1): ჩეხი – ასპილიკუეტა, ლუისი, ივანოვიჩი, ე. კოული – ლამპარდი, რამირესი – აზარი (80. მოზესი), ოსკარი, მატა (90+3. მიკელი) – ბა (87. ტორესი)

**ვესტ ბრომვიჩი** (4-2-3-1): ფოსტერი – რიდი, მაკაული, ოლსონი, რიჯუელი – მულუმბუ, იაკობი (82. როსენბერგი) – მორისონი, ფორჩუნი (62. ოდემვინგე), დორანსი (71. ტომასი) - ლონგი

**გაფრთხილება:** აზარი – მაკაული, ოდემვინგე

**კარში დარტყმა:** 15-7 (9-4) **კუთხური:** 9-7 **თამაშგარე:** 2-1 **ჯარიმა:** 12-16 **ბურთის ფლობა:** 61%-39%

**მაყურებელი:** 41 548

### ევერტონი–რედინგი 3:1

**გოლები:** 1:0 ფელაინი (42), 2:0 პიენაარი (59), 3:0 მირალიაში (66), 3:1 რობსონ-კანუ (84)

**ევერტონი** (4-4-1-1): მუხა – კოულმენი, დისტენი, იაგიელკა (4. ჰეიტინგა), ბეინსი – ოსმანი (73. ანიჩებე), გიბსონი, პიენაარი (80. ჰიტცლშპერგერი), მირალიაში – ფელაინი - იელავიჩი

**რედინგი** (4-4-2): ს. ტეილორი – კელი, მარიაპა, პირსი, ჰარტი – ლიგერტვუდი, აკპანი, კებე (18. რობსონ-კანუ), მაკანუფი – ლე ფონდრე, ჰანტა (73. ბლექმენი)

**გაფრთხილება:** კოულმენი – ლე ფონდრე

**კარში დარტყმა:** 7-5 (5-1) **კუთხური:** 9-10 **თამაშგარე:** 1-0 **ჯარიმა:** 1-3 **ბურთის ფლობა:** 55%-45%

**მაყურებელი:** 35 244

### იუნაიტედი–ნორვიჩი 4:0

**გოლები:** 1:0 კაგავა (45), 2:0 კაგავა (76), 3:0 კაგავა (87), 4:0 რუნი (90)

**იუნაიტედი** (4-4-2): დე ხეა – სმოლინგი, ვიდიჩი, ევანსი, ევრა – კერიკი, ანდერსონი (74. კლევერლი), კაგავა, ვალენსია – ვან პერსი (66. უელბეკი), რუნი

**ნორვიჩი** (4-4-1-1): ბენი – მარტინი, ტერნერი, ბასონგი, გარიდო – ჰოუსონი, ბ. ჯონსონი, სნოდგრასი (73. ე. ბენეტი), პიკლინგტონი – ჰულაჰანი (72. კამარა) – ჰოლტი (90. ბეკიო)

**გაფრთხილება:** სნოდგრასი, გარიდო, ბ. ჯონსონი, ტერნერი

**კარში დარტყმა:** 10-0 (6-0) **კუთხური:** 7-3 **თამაშგარე:** 3-2 **ჯარიმა:** 3-14 **ბურთის ფლობა:** 62%-38%

**მაყურებელი:** 75 586

### საუთჰემპ.–ქუინზ პარკი 1:2

**გოლები:** 0:1 რემი (14), 1:1 რამირესი (45), 1:2 ბოთროიდი (77)

**საუთჰემპტონი** (4-2-3-1): ბორუცი – კლაინი, ფონტე, იოშიდა, ფოქსი (57. შოუ) – კორკი, შნაიდერლინი – რამირესი (75. ვორდ-პრაუსი), პანჩეონი, ლალანა (43. ჯ. როდრიგესი) - ლამბერტი

**ქუინზ პარკი** (4-4-2): ჟ. სეზარი (74. გრინი) – ბოსინგვა, სამბა, ჰილი, ა. ტრაორე – მბია, გრანერო (53. ჯენასი), პარკი, ჰოილეტი – რემი, ბოთროიდი (90. ფაბიო)

**გაფრთხილება:** ფონტე – ბოთროიდი, მბია, ა. ტრაორე

**კარში დარტყმა:** 14-5 (7-3) **კუთხური:** 6-3 **თამაშგარე:** 3-1 **ჯარიმა:** 7-16 **ბურთის ფლობა:** 66%-34%

**მაყურებელი:** 31 728

### სტოკ სიტი–ვესტ ჰემი 0:1

**გოლი:** 0:1 კოლისონი (45)

**სტოკ სიტი** (4-4-2): ბეგოვიჩი – შოტონი, უილსონი, შოუკროსი, უილკინსონი – ნზონზი, უელანი (76. ადამი), კაიტლი (67. ში), უოლტერსი (73. კ. ჯონსი) – ჯერომი, კრაუჩი

**ვესტ ჰემი** (4-5-1): იასკელაინენი – დემელი, კოლინსი, რიდი, ობრაიენი – დიამე, ონილი, მ. ტეილორი (10. კოლისონი), ჯარვისი (83. პოგატეცი), ჯ. კოული (11. ვას ტე) - კეროლი

**გაფრთხილება:** ნზონზი – კოლინსი, კეროლი

**კარში დარტყმა:** 3-5 (1-2) **კუთხური:** 4-2 **თამაშგარე:** 1-1 **ჯარიმა:** 2-1 **ბურთის ფლობა:** 53%-47%

**მაყურებელი:** 22 690

### სანდერლენდი–ფულჰემი 2:2

**გოლები:** 0:1 ბერბატოვი (16-პენ), 0:2 რიტერი (35), 1:2 კ. გარდნერი (37-პენ), 2:2 სესინიონი (70)

**სანდერლენდი** (4-4-2): მინიოლე – გარდნერი, ბრამბლი, ოში, კოლბეკი – ლარსონი, ნდიაიე, ა. ჯონსონი, სესინიონი – გრემი (76. მაკლინი), ფლეტჩერი

**ფულჰემი** (4-4-2): შვარცერი – რიისე, სენდეროსი, ჰანგელანდი, რიტერი – სიდუელი, კარაგუნისი (65. ფრიმპონგი), დაფი (80. ემანუელსონი), დეჟაგა (86. როდალიეგა) – რუისი, ბერბატოვი

**გაფრთხილება:** ნდიაიე - ჰანგელანდი, სიდუელი, რიტერი

**კარში დარტყმა:** 7-6 (3-3) **კუთხური:** 7-3 **თამაშგარე:** 1-1 **ჯარიმა:** 1-1 **ბურთის ფლობა:** 54%-46%

**მაყურებელი:** 39 312

### სუონსი–ნიუკასლი 1:0

**გოლი:** 1:0 მური (85)

**სუონსი** (4-4-1-1): ვორმი – რანხელი, მონსკი, უილიამსი, ბ. დევისი – დე გუზმანი, ბრიტონი (76. მური), ერნანდესი (87. ტიენდალი), დაიერი (60. კი) – რუტლეჯი - მიჩუ

**ნიუკასლი** (4-4-1-1): ელიოტი – დებუში, რ. ტეილორი, იანგა-მბივა, სანტონი – კაბაი, ტიოტე (90. შ. ამეობი), ხონასი (90. მარვო), გუფრანი – სისოკო - სისე

**გაფრთხილება:** ტიოტე, კაბაი

**კარში დარტყმა:** 9-15 (4-6) **კუთხური:** 7-7 **თამაშგარე:** 1-0 **ჯარიმა:** 9-18 **ბურთის ფლობა:** 44%-56%

**მაყურებელი:** 20 405

### უიგანი–ლივერპული 0:4

**გოლები:** 0:1 დაუნინგი (2), 0:2 სუარესი (18), 0:3 სუარესი (34), 0:4 სუარესი (49)

**უიგანი** (3-4-1-2): ალ ჰაბსი – ფიგეროა, კოლდუელი (52. ესპინოსა), შარნერი – მაკარტი, მაკარტური, ბოისი, ბოსეჟური (61. მაკმანამანი) – მელონი – დი სანტო (52. ალკარასი), კონე

**ლივერპული** (4-3-3): რეინა – გ. ჯონსონი, აგერი, კარაგერი, ხ. ენრიკე – ალენი, ლუკასი, ჯერარდი – დაუნინგი, კოუტინიო (71. ჰენდერსონი), სუარესი

**გაფრთხილება:** კოლდუელი, მაკარტური - ალენი, ლუკასი

**კარში დარტყმა:** 11-7 (6-6) **კუთხური:** 4-3 **თამაშგარე:** 0-4 **ჯარიმა:** 11-15 **ბურთის ფლობა:** 52%-48%

**მაყურებელი:** 20 804

### ტოტენჰემი–არსენალი 2:1

**გოლები:** 1:0 ბეილი (37), 2:0 ლენონი (39), 2:1 მერტეზაკერი (51)

**ტოტენჰემი** (4-2-3-1): ლორისი - უოლკერი, ვერტონგენი, დოუსონი, ასუ-ეკოტო - პარკერი, დემბელე (88. ჯ. ლივერმორი) - სიგურდსონი, ბეილი, ლენონი (90+6 გალასი) - ადებაიორი (67. დეფო)

**არსენალი** (4-2-3-1): შჩესნი - ჯენკინსონი (60. როსიცკი), მერტეზაკერი, ვერმალენი, მონრეალი - რემსი, არტეტა (77. პოდოლსკი) - უოლკოტი, კასორლა, უოლკოტი - ჟირუ

**გაფრთხილება:** ადებაიორი, ვერტონგენი, უოლკერი - რემსი

**კარში დარტყმა:** 9-8 (4-4) **კუთხური:** 4-5 **თამაშგარე:** 5-2 **ჯარიმა:** 20-13 **ბურთის ფლობა:** 51%-49%

**მაყურებელი:** 36 170

### [illegible]

ასტონ ვილა-სიტი 00:00

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. იუნაიტედი | 28 | 23 | 2 | 3 | 68-31 | 71 |
| 2. სიტი | 27 | 16 | 8 | 3 | 50-24 | 56 |
| 3. ტოტენჰემი | 28 | 16 | 6 | 6 | 49:33 | 54 |
| 4. ჩელსი | 28 | 15 | 7 | 6 | 56-30 | 52 |
| 5. არსენალი | 28 | 13 | 8 | 7 | 53-32 | 47 |
| 6. ევერტონი | 28 | 11 | 12 | 5 | 44-35 | 45 |
| 7. ლივერპული | 28 | 11 | 9 | 8 | 53-34 | 42 |
| 8. სუონსი | 28 | 10 | 10 | 8 | 39-34 | 40 |
| 9. ვესტ ბრომვიჩი | 28 | 12 | 4 | 12 | 38-37 | 40 |
| 10. ფულჰემი | 28 | 8 | 9 | 11 | 39-44 | 33 |
| 11. სტოკ სიტი | 28 | 7 | 12 | 9 | 26-33 | 33 |
| 12. ვესტ ჰემი | 28 | 9 | 6 | 13 | 32-41 | 33 |
| 13. ნორვიჩი | 28 | 7 | 11 | 10 | 27-45 | 32 |
| 14. სანდერლენდი | 28 | 7 | 9 | 12 | 31-38 | 30 |
| 15. ნიუკასლი | 28 | 8 | 6 | 14 | 38-49 | 30 |
| 16. საუთჰემპტონი | 28 | 6 | 9 | 13 | 39-51 | 27 |
| 17. უიგანი | 28 | 6 | 6 | 16 | 33-55 | 24 |
| 18. ასტონ ვილა | 27 | 5 | 9 | 13 | 26-52 | 24 |
| 19. რედინგი | 28 | 5 | 8 | 15 | 34-54 | 23 |
| 20. ქუინზ პარკი | 28 | 3 | 11 | 14 | 21-44 | 20 |

**ბომბარდირები:** 21 - **ლუის სუარესი** (ლივერპული); 19 - **რობინ ვან პერსი** (მანჩესტერ იუნაიტედი); 16 - **გარეთ ბეილი** (ტოტენჰემი), 15 - **მიგელ მიჩუ** (სუონსი), **დემბა ბა** (ნიუკასლი/ჩელსი)

### მომდევნო ტური

**9 მარტი:** ნორვიჩი-საუთჰემპტონი, ქუინზ პარკი-სანდერლენდი, რედინგი-ასტონ ვილა, ვესტ ბრომვიჩი-სუონსი

**10 მარტი:** ნიუკასლი-სტოკ სიტი, ლივერპული-ტოტენჰემი

**16 აპრილი:** არსენალი-ევერტონი

*ფულჰემი-ჩელსი, მანჩესტერ სიტი-უიგანი, ვესტ ჰემი-მანჩესტერ იუნაიტედი გადაიდო*

### ჩემპიონშიპი. XXXV ტური

**დერბი-კრისტალ პალ.** 0:1
გოლი: 0:1 ბოლასი (13)

**ვულვზი-უოტფორდი** 1:1
გოლები: 0:1 აბდი (42), 1:1 საკო (90)

**ლიდსი-მილუოლი** 1:0
გოლი: 1:0 უორნოკი (72-პენ)

**ბარნსლი-ბოლტონი** 2:3
გოლები: 0:1 ნგოგი (15), 0:2 სპირინგი (38), 1:2 ცივკა (47), 2:2 ოგრეიდი (53), 2:3 დოუსონი (59)

**ბლექბერნი-პიტერბორო** 2:3
გოლები: 0:1 გეილი (11), 0:2 გეილი (14), 0:1 გეილი (28), 1:3 როუდსი (73), 2:3 ჯონსი (90)

**ბლექპული-ბრისტოლ ს.** 0:0

**ბრაიტონი-ჰადერსფილდი** 4:1
გოლები: 1:0 ულოა (20), 1:1 ვონი (42), 2:1 ულოა (76), 3:1 ულოა (78), 4:1 ლოპესი (81-პენ)

**ჩარლტონი-ბარნლი** 0:1
გოლი: 0:1 ოსტინი (43)

**ჰალი-ბირმინგემი** 5:2
გოლები: 1:0 ბოიდი (1), 2:0 გადო (11), 3:0 ბოიდი (33), 4:0 კორენი (49), 5:0 გადო (76), 5:1 ლოვენკრანდსი (83), 5:2 ბერკი (87)

**იპსვიჩი-ლესტერი** 1:0
გოლი: 1:0 მაკგოლდრიკი (85)

**მიდლსბრო-კარდიფი** 2:1
გოლები: 1:0 დაიერი (13), 2:0 ს. ამეობი (17), 2:1 გუნარსონი (67)

**შეფილდ უენ-ნოტინგემი** 0:1
გოლი: 0:1 მაჟევსკი (27)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. კარდიფი | 34 | 22 | 4 | 8 | 56-36 | 70 |
| 2. ჰალ სიტი | 35 | 20 | 5 | 10 | 51-39 | 65 |
| 3. უოტფორდი | 35 | 19 | 6 | 10 | 69-44 | 63 |
| 4. კრისტალ პალ. | 35 | 17 | 10 | 8 | 61-42 | 61 |
| 5. ლესტერი | 34 | 17 | 6 | 11 | 56-29 | 57 |
| 6. ბრაიტონი | 34 | 14 | 13 | 7 | 50-35 | 55 |
| 7. მიდლსბრო | 35 | 17 | 3 | 15 | 54-53 | 54 |
| 8. ნოტინგემი | 35 | 13 | 12 | 10 | 50-46 | 51 |
| 9. ლიდსი | 34 | 14 | 7 | 13 | 44-48 | 49 |
| 10. ბოლტონი | 35 | 12 | 12 | 11 | 53-49 | 48 |
| 11. ბარნლი | 35 | 13 | 8 | 14 | 48-48 | 47 |
| 12. ბლექბერნი | 35 | 11 | 12 | 12 | 44-46 | 45 |
| 13. დერბი | 35 | 11 | 11 | 13 | 50-49 | 44 |
| 14. მილუოლი | 34 | 12 | 8 | 14 | 44-50 | 44 |
| 15. ჩარლტონი | 35 | 11 | 10 | 14 | 43-48 | 43 |
| 16. ბლექპული | 35 | 10 | 12 | 13 | 50-49 | 42 |
| 17. ბირმინგემი | 35 | 10 | 12 | 13 | 45-57 | 42 |
| 18. იპსვიჩი | 35 | 11 | 9 | 15 | 35-54 | 42 |
| 19. ჰადერსფილდი | 35 | 10 | 11 | 14 | 36-61 | 41 |
| 20. შეფილდ უენ. | 34 | 11 | 7 | 16 | 39-48 | 40 |
| 21. ბარნსლი | 34 | 10 | 7 | 17 | 43-56 | 37 |
| 22. პიტერბორო | 34 | 11 | 3 | 20 | 51-61 | 36 |
| 23. ვულვზი | 35 | 9 | 9 | 17 | 40-50 | 36 |
| 24. ბრისტოლ ს. | 35 | 10 | 5 | 20 | 51-65 | 35 |

**ბომბარდირები:** 27 - **გლენ მარი** (კრისტალ პალასი), 21 – **ჩარლი ოსტინი** (ბარნლი), **ჯორდან როუდსი** (ბლექბერნი), **მატეი ვიდრა** (უოტფორდი)

### ლიგა ერთი. XXXVI ტური

ბრენტფორდი-სკანტორპი 1:0, ბერი-ქროული 0:2, ქოვენთრი-სუინდონი 1:2, ქრიუ-პორტსმუთი 1:2, დონკასტერი-ჰარტლპული 3:0, ლეიტონი-ბორნმუთი 3:1, მილტონი-პრესტონი 1:1, ნოთს ქაუნთი-კარლაისლი 1:0, ოლდჰემი-შეფილდ იუნ. 0:2, სტივენეიჯი-კოლჩესტერი 0:2, უოლსოლი-შრიუსბერი 3:1, იოვილი-ტრანმერი 1:0

### ლიგა ორი. XXXVI ტური

აკრინგტონი-ტორკი 0:0, ალდერშოტი-ჯილინგემი 1:1, ბრისტოლ რ-ბარტონი 3:0, ჩელტენჰემი-უიმბლდონი 2:1, დაგენჰემი-ჩესტერფილდი 0:1, ექსეტერი-ნორთჰემპტონი 3:0, მორკემბი-როჩდეილი 3:0, ოქსფორდი-პორტ ვეილი 2:1, პლიმუთი-ბარნეტი 2:1, საუთენდი-როტერჰემი 1:1, უიკომბი-ფლიტვუდი 1:0, იორკი-ბრედფორდი 0:2

## უცხოური ფეხბურთი

**გერმანია. ბუნდესლიგა. XXIV ტური**

# დაუნდობელი ბაიერნი!

## რეკორდმაისტერმა მორიგი რეკორდი დაამყარა და ჰოფენჰაიმი გაწირა

„ბაიერნმა" ისევ მოიგო და მორიგი რეკორდები დაამყარა. ბოლოსწინა ადგილზე მყოფი „ჰოფენჰაიმის" დამარცხებით (1:0), რეკორდმაისტერმა ამ სეზონში მე-11 გასვლითი მატჩი მოიგო, რაც საუკეთესო შედეგია და ამასთან, მეორე წრის მეშვიდე თამაშიც უდანაკარგოდ დაამთავრდა. თანაც, ბავარიელებს მეორე წრეში მხოლოდ ერთი გოლი აქვთ მილებული. „ჰოფენჰაიმი" კი მეორე ბუნდესლიგისკენ მიექანება – 24 ტურის შემდეგ „სოფლელებს" სარელეგაციო მე-16 ადგილამდე უკვე 5 ქულა აშორებთ, მე-15 პოზიციამდე კი – 11 ქულა! აქვე ისიც ვთქვათ, რომ **ჰაინკესმა** ძირითად შემადგენლობაში მეორე მეკარე **ტომ შტარკე** ათამაშა, **მანუელ ნოიერი** კი სკამზე დატოვა. „ბაიერნს" **არიენ რობენიც** დააკლდა, **გომესმა, ბოატენგმა** და **შაჩირიმ** კი სასტარტოში ითამაშეს. გამარჯვების გოლი მარიო გომესმა პირველი ტაიმის მიწურულს გაიტანა. მეორე ნახევარშიც მხოლოდ მიუნხენელებს შეეძლოთ გატანა – **შვაინშტაიგერმა** საჯარიმო დარტყმებით ორჯერ მოიკითხა ჰოფენჰაიმელთა კარის ძელი.


„ჰოფეს" კარში ერთადერთი გოლი, მარიო გომესმა გაიტანა

ლი - მესამე გოლი სწორედ ამ უკანასკნელის ანგარიშზეა.

ჰანოვერელებს ბოლო მომენტში მთავარი გოლეადორი **მამე დიუფი** დააკლდათ და რაკი არც **ჟაბოლჩ ჰუშტი** ჰყავდათ, რომელსაც მძიმე ტრავმა აქვს, შეტევაში ძალიან გაუჭირდათ. ამ ნაგების შემდეგ სლომკას გუნდს სტუმრად 10-მატჩიანი მოუგებელი სერია აქვს (8 ნაგება, 2 ფრე) - „წითლებმა" გასვლითი მატჩის მოგება ბოლოს თითქმის 4 თვის წინ მოახერხეს (4:2 შტუტგარტში) და საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ „ჰანოვერი" ევროპალიგის საგზურს ველარ მოიპოვებს.

მატჩის შემდეგ კლოპმა „ბაიერნის" თავკაც **იუპ ჰაინკესს** ოფიციალურად მოუბოდიშა იმის გამო, რაც პარასკევს წამოსცდა. შაბათის ნომერში ვწერდით, რომ ჰაინკესი ნაწყენი იყო კლოპის განცხადების გამო, რომელშიც იურგენმა მას ფაქტობრივად პლაგიატობა დააბრალა - „ბაიერნმა" ჩვენი სტილი გადაიღოო. *„იუპის დარი გამოცდილი და საპატივცემულო მწვრთნელის შეურაცხყოფა ნამდვილად არ მინდოდა და ჩემს სიტყვებში ჰაინკესი არ მიგულისხმია. ასე რომ, თუ იუპმა ეს სიტყვები თავის თავზე მიიღო, საჯაროდ ვუხდი ბოდიშს,"* - თქვა „ბორუსიას" თავკაცმა.

■ ■ ■

„ჰანოვერი" კარგი გუნდია, მაგრამ არა იმდენად, რომ „დორტმუნდი" გაამწაროს. გერმანიის ჯერაც ჩემპიონმა **მირკო სლომკას** გუნდი 3:1 დაამარცხა და მეორე ადგილი შეინარჩუნა. მოულოდნელი იყო „შალკეს" მარტივი გამარჯვება „ვოლფსბურგში" (4:1), რითაც გელზენკირხენული კლუბი ევროზონას მიუახლოვდა, თუმცა მთავარი სენსაცია შაბათს ბრემენში დაფიქსირდა, სადაც „აუგსბურგმა" 1:0 მოიგო და თუ ეს გუნდი ასე გააგრძელებს, შეიძლება, გადარჩეს. სენსაცია იყო ისიც, რომ ბოლოადგილოსანმა „ფიურტმა" ჰამბურგიდან ქულა წაილო (1:1), შაბათის ტოპ-მატჩში კი „ლევერკუზენმა" „შტუტგარტს" სამი ქულა ბოლო წუთებზე გამოჰგლიჯა.

### კლოპმა ჰაინკესს მოუბოდიშა

დორტმუნდელებმა გერმანიის თასზე „ბაიერნთან" ნაგება (0:1) იოლად გადაიტანეს, რაც სწორედ „ჰანოვერთან" მატჩში გამოჩნდა. **იურგენ კლოპის** გუნდის გამარჯვება პირველ რიგში ტურის წინ შეწყალებული **რობერტ ლევანდოვსკის** დამსახურებაა - პოლონელს პარასკევს დისკვალიფიკაცია შეუმცირეს და ამიტომაც ითამაშა, „ჰანოვერთან" კი დუბლი შეასრულა და გოლთა აქტივი 16-მდე გაზარდა. ალსანიშნავია, რომ კლოპმა რობერტი გამთამაშებლის პოზიციაზე ათამაშა, ცენტფორვარდად კი **იულიან შიბერი** ჰყავდა გამწესებუ-

### შალკე პოზიციებს იბრუნებს, ვოლფსბურგი ანტირეკორდზე მიდის

„შალკემ" ბოლო სამ თამაშში შვიდ ქულას მოუყარა თავი, რაც იმას ნიშნავს, რომ გელზენკირხენელები აზრზე მოვიდნენ. ვოლფსბურგში მოპოვებული მნიშვნელოვანი და ბევრისთვის მოულოდნელი გამარჯვების (4:1) შემდეგ კი „შალკეს" ევროზონაში მოხვედრის კარგი შანსი გაუჩნდა. მატჩის გმირი გელზენკირხენელთა ნიჭიერი ნახევარმცველი **იულიან დრაქსლერი** გახდა, რომელმაც დუბლი შეასრულა, მერე კი **ჯეფერსონ ფარფანსაც** გაატანინა. „ვოლფსბურგმა" კი საკუთარ მოედანზე ისევ ვერ მიაღწია წარმატებას - „მგლებს" ამ სეზონში სულ 27 ქულა აქვთ და აქედან საკუთარ „ფოლკსვაგენარენაზე" მხოლოდ 10 მოიპოვეს. დიდი შანსია, რომ „ვოლფსბურგმა" ამ მხრივ ანტირეკორდი დაამყაროს - აქამდე შინ ერთ სეზონში ყველაზე ცოტა ქულა „ვოლფებმა" 2010/2011 წლების სეზონში აილეს (21).

### არაადეკვატურები: ჰამბურგი და ვერდერი

„ჰამბურგი" ბუნდესლიგის ერთ-ერთ ყველაზე არასტაბილურ და არაპროგნოზირებად გუნდად რჩება. **რაფაელ ვან დერ ვაარტმა** და კომპანიამ აუტსაიდერ „ფიურტს" ერთი ქულა გაატანეს და მართალია, ჯერ კიდევ აქვთ საუკეთესო ექვსეულში მოხვედრის შანსი, მაგრამ ასეთი გაუგებარი ფეხბურთითა და პერსპექტივებით **ტორსტენ ფინკის** გუნდს ევროასარბიელზე არაფერი ესაქმება.

ასევე ამოუცნობი გუნდია „ვერდერიც". „ვეზერშტადიონზე" ცხადად გამოჩნდა, რომ დღეს „აუგსბურგი" „ვერდერზე" გაცილებით მოტივირებულია და რომ ამ გუნდის ჩამოწერა ნაადრევი იყო. აუგსბურგელებმა მეორე წრეში უკვე იმაზე მეტი ქულა აიღეს, ვიდრე პირველ წრეში მთლიანად და გადარჩენისთვის გააფთრებით იბრძვიან - ბრემენიდან სამი ქულის წაღება კი **ტობიას ვერნერის** დამსახურებაა, რომელმაც „მუსიკოსების" კარი პირველივე ტაიმში დალაშქრა. **თომას შააფის** შეგირდებმა მეტოქეს მეორე ტაიმშიც ვერაფერი დაუპირისპირეს, თუმცა მატჩის მიწურულს „ვერდერს" აშკარა თერთმეტმეტრიანი არ დაუნიშნეს.

### ბაი არენაზე ემოციები დუღდა

შაბათის ტოპ-მატჩი „ლევერკუზენსა" და „შტუტგარტს" შორის ძალიან ემოციური და დრამატული გამოდგა. შვაბები **ვედად იბიშევიჩის** პენალტით იგებდნენ და პირველი ტაიმი მოიგეს კიდეც, მეორე ნახევარში კი „ბაიერი" „შტუტგარტს" კატათაგვობანას ეთამაშებოდა და ბოლოს მიზანს მაინც მიაღწია - **შტეფან კისლინგისა** (ასევე პენალტით) და **ლარს ბენდერის** გვიანი გოლებით „ფარმაცევტებმა" თამაში მაინც თავიანთ სასარგებლოდ შეატრიალეს. ბოლო წუთებზე ლევერკუზენელთა მწვრთნელი **საშა ლევანდოვსკი** „შტუტგარტის" მენეჯერ **ფრედი ბობიჩს** წაეკიდა, რის გამოც ტრიბუნაზე მიაბრძანეს. ბობიჩი ამბობს, ჩვენს საჯარიმოში ყველა შემთხვევაზე პენალტს ითხოვდა და მეც ვუთხარი ის, რისი ღირსიც იყოო. ლევერკუზენელთათვის ცუდი მხოლოდ ის იყო, რომ ცენტრალურმა მცველმა **იომერ თოფრაქმა** მძიმე ტრავმა მიიღო და დიდი შანსია, რომ ამ სეზონში ველარ ითამაშოს.

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**

**გერმანიის თასი**

## ბაიერნს ვოლფსბურგი ერგო

გუშინ გერმანიის თასის ნახევარფინალის წილისყრა გაიმართა. მიუნხენის „ბაიერნი" „ვოლფსბურგს" უმასპინძლებს, „ფრაიბურგი" კი „შტუტგარტს" ესტუმრება. მატჩები 16 და 17 აპრილს გაიმართება. შეგახსენებთ, რომ გერმანიის თასის ფინალი 1 ივნისს ტრადიციულად ბერლინში შედგება.

## თურქეთი

**სუპერლიგა. XXIV ტური**

**გენჩლერბირლიგი-ბუიუქშეჰირი 0:0**

**ორდუ-ქარაბიუქი 3:2**

გოლები: 1:0 ჩამდალი (5), 1:1 პარლაკი (42), 1:2 ლუალუა (45), 2:2 ჩამდალი (54), 3:2 ჩინაზი (73)

**ესქიშეჰირი-გალათასარაი 0:0**

**ახიშარი-ელაზიგი 0:1**

გოლი: 0:1 გიურლერი (48)

**ქაისერი-მერშინი 2:1**

გოლები: 1:0 დურსონი (23), 1:1 ეზერი (50), 2:1 ბობო (56)

**ანთალია-გაზიანთეფი 5:2**

გოლები: 1:0 ლ. დიარა (2), 1:1 ქურთულუში (23), 2:1 გიოქჩექი (40), 3:1 პრომისი (60), 3:2 კუემაა (62), 4:2 გიოქჩექი (79), 5:2 სისმანოღლუ (82)

**ბურსა-სივასი 1:0**

გოლი: 1:0 ბატალია (67)

**ბეშიქთაში-ფენერბაჰჩე 3:2**

გოლები: 0:1 სოუ (24), 1:1 კუიტი (40-საკ. კარში), 2:1 ნიანგი (60), 2:2 სოუ (63), 3:2 შაჰინი (90)

**4 მარტი**

**ქასიმფაშა-ტრაბზონი 22:00**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. გალათასარაი | 24 | 13 | 8 | 3 | 46-27 | 47 |
| 2. ბეშიქთაში | 24 | 11 | 9 | 4 | 51-35 | 42 |
| 3. ფენერბაჰჩე | 24 | 11 | 7 | 6 | 39-28 | 40 |
| 4. ბურსა | 24 | 9 | 10 | 5 | 36-28 | 37 |
| 5. ანთალია | 24 | 11 | 4 | 9 | 38-35 | 37 |
| 6. ქაისერი | 24 | 10 | 5 | 9 | 33-33 | 35 |
| 7. ესქიშეჰირი | 24 | 8 | 10 | 6 | 38-29 | 34 |
| 8. ქასიმფაშა | 23 | 9 | 6 | 8 | 32-26 | 33 |
| 9. გენჩლერბირ. | 24 | 7 | 10 | 7 | 35-35 | 31 |
| 10. ტრაბზონი | 23 | 8 | 6 | 9 | 26-27 | 30 |
| 11. ორდუ | 24 | 6 | 11 | 7 | 29-30 | 29 |
| 12. სივასი | 24 | 8 | 5 | 11 | 25-31 | 29 |
| 13. ქარაბიუქი | 24 | 8 | 5 | 11 | 30-40 | 29 |
| 14. ბუიუქშეჰირი | 24 | 7 | 7 | 10 | 29-30 | 28 |
| 15. გაზიანთეფი | 24 | 7 | 7 | 10 | 25-38 | 28 |
| 16. ელაზიგი | 24 | 6 | 9 | 9 | 20-35 | 27 |
| 17. ახიშარი | 24 | 5 | 7 | 12 | 19-33 | 22 |
| 18. მერშინი | 24 | 4 | 8 | 12 | 24-35 | 20 |

**ბომბარდირები:** 14 – ბ. ილმაზი (გალათასარაი); 13 – უჩე (ქასიმფაშა); 12 – უმუთ ბულუთი (გალათასარაი), ბობო (ქაისერი), ვებო (ფენერბაჰჩე).

**აინტრახტი-გლადბახი 0:1**

**გოლი:** 0:1 ლ. დე იონგი (22)

**აინტრახტი (4-2-3-1):** ტრაპი - ს. იუნგი, სამბრანო, ანდერსონი, ოჩიპკა - შვეგლერი, როდე - აიგნერი, მაიერი, ინუი - ლაკიჩი (46. ჩელოცი).

**გლადბახი (4-2-2-1-1):** ტერ შტეგენი - იანჩკე, შტრანცლი, ალვარო დომინგესი, დემსი - ნორდტვეიტი, მარქსი - ჰერმანი (85. რუპი), ვენდტი - იუნესი (77. ჰანკე) - ლ. დე იონგი (75. მლაპა).

**გაფრთხილება:** სამბრანო, ანდერსონი, როდე, შვეგლერი - ლ. დე იონგი, მარქსი

**კუთხური:** 8-5; **ჯარიმა:** 13-17; **თამაშგარე:** 6-0; **კარში დარტყმა:** 14(2)-11(2); **ბურთის ფლობა:** 65%-35%.

**მაყურებელი:** 51 500

**დორტმუნდი-ჰანოვერი 3:1**

**გოლები:** 1:0 ლევანდოვსკი (8), 2:0 ლევანდოვსკი (21), 2:1 აბდელაუ (40), 3:1 შიბერი (72)

**დორტმუნდი (4-2-3-1):** ვაიდენფელერი - გროსკროიტცი, სუბოტიჩი, ფელიპე სანტანა, შმელცერი - კელი, გუნდოგანი (81. ნ. შაჰინი) - ბლაშჩიკოვსკი (76. ს. ბენდერი), ლევანდოვსკი, როისი (64. გიოტცე) - შიბერი.

**ჰანოვერი (4-2-2-2):** ცილერი - ჩაჰედი, ჯურუ (74. ჰაგი), კ. შულცი, პოკონიოლი - და სილვა პინტუ, ჰოფმანი - ია კონანი, რაუში (46. შმიდებახი) - ზობინი, აბდელაუ (78. შლაუდრაფი).

**გაფრთხილება:** შმიდებახი, კ. შულცი

**კუთხური:** 2-3; **ჯარიმა:** 19-19; **თამაშგარე:** 2-6; **კარში დარტყმა:** 23(6)-6(2); **ბურთის ფლობა:** 58%-42%.

**მაყურებელი:** 80 645

**ვოლფსბურგი-შალკე 1:4**

**გოლები:** 0:1 დრაქსლერი (33), 1:1 ოლიჩი (50), 1:2 დრაქსლერი (63), 1:3 ფარფანი (63), 1:4 ჰუნტელაარი (86)

**ვოლფსბურგი (4-2-3-1):** ბენალიო - ჰასებე (76. ფაგნერი), ნალდო (31. კირიაკოსი), კიაერი, მ. შეფერი - ჟოსუე (67. პერიშიჩი), პოლაკი - ვიეირინია, დიეგო, ოლიჩი - დოსტი.

**შალკე (4-2-3-1):** ჰილდებრანდი - ჰიოგერი, ჰიოვედესი, მატიპი, კოლასინაცი - ჯონსი, ნოიშტედტერი (46. მეტცელდერი) - ფარფანი, დრაქსლერი (89. რაფაელი), მიშელ ბასტოსი (77. ბარნეტა) - ჰუნტელაარი.

**გაფრთხილება:** ფაგნერი - ჯონსი

**კუთხური:** 4-5; **ჯარიმა:** 6-16; **თამაშგარე:** 2-1; **კარში დარტყმა:** 8(4)-13(7); **ბურთის ფლობა:** 56%-44%.

**მაყურებელი:** 29 326

**ვერდერი-აუგსბურგი 0:1**

**გოლი:** 0:1 ვერნერი (29)

**ვერდერი (4-1-4-1):** მილიტცი - იგნიოვსკი, ლუკიმია, სოკრატისი, შმიტცი - იუნუზოვიჩი - არნაუტოვიჩი, დე ბრუინი, ჰანტი (68. აკპალა), ექიჩი (46. ელია) - პეტერსენი.

**აუგსბურგი (4-1-4-1):** ამსიფი - ფოგტი, კალსენ-ბრაკერი, კლავანი, ოსტრცოლეკი - ბაიერი - ჰანი, კოო (85. ოტლი), ჟი, ვერნერი (67. მორავეკი) - მიოლდერსი (91. ბონსე).

**გაფრთხილება:** ლუკიმია, არნაუტოვიჩი, სოკრატისი - ბაიერი, მიოლდერსი, კალსენ-ბრაკერი

**კუთხური:** 11-5; **ჯარიმა:** 18-21; **თამაშგარე:** 2-0; **კარში დარტყმა:** 16(3)-12(5); **ბურთის ფლობა:** 57%-43%.

**მაყურებელი:** 39 211

**ნიურნბერგი-ფრაიბურგი 1:1**

**გოლები:** 1:0 სიმონსი (33-პენ), 1:1 შმიდი (83)

**ნიურნბერგი (4-1-2-2-1):** რ. შეფერი - ბალიჩი, ნილსონი (77. დაბანლი), კლოზე, პლატენჰარდტი - სიმონსი - ფოილნერი, ფრანტცი - კიოტაკე (82. ილდიზი), ესვაინი - პეკჰარტი (62. პოლტერი).

**ფრაიბურგი (4-2-2-2):** ბაუმანი - შმიდი, გინტერი, დიანიე, ზორგი - შ...ტერი, მაკიადი (77. ფლუმი) - მ. კრუსე, დ. კალიჯური - გუედე (46. სანტინი), როზენტალი.

**გაფრთხილება:** ფრანტცი, პოლტერი - მაკიადი, დ. კალიჯური

**კუთხური:** 4-7; **ჯარიმა:** 29-14; **თამაშგარე:** 1-3; **კარში დარტყმა:** 11(4)-14(4); **ბურთის ფლობა:** 39%-61%.

**მაყურებელი:** 38 188

**ჰამბურგი-ფიურტი 1:1**

**გოლები:** 0:1 ჯურჯიჩი (14), 1:1 ბაისტერი (21)

**ჰამბურგი (4-1-2-1-2):** ადლერი - დიკმაიერი, ვესტერმანი, რაიკოვიჩი, იანსენი - ბადელი (57. არსლანი) - სონი (87. ბრუმა), აოგო - ვან დერ ვაარტი - ბაისტერი, რუდნევსი (75. ბერგი).

**ფიურტი (4-1-4-1):** ჰესლი - მ. ციმერმანი, სობიეხი, მავრაი, ბაბა - გაისი (85. პეცოსი) - კლაუსი, ფიურშტნერი, ვარგა, პლედლი (55. პარკი) - ჯურჯიჩი (78. ასამოა).

**გაფრთხილება:** ბადელი - გაისი

**კუთხური:** 5-1; **ჯარიმა:** 11-9; **თამაშგარე:** 3-7; **კარში დარტყმა:** 18(8)-6(2); **ბურთის ფლობა:** 67%-33%.

**მაყურებელი:** 47 206

**ლევერკუზენი-შტუტგარტი 2:1**

**გოლები:** 0:1 იბიშევიჩი (12-პენ), 1:1 კისლინგი (82-პენ), 2:1 ლ. ბენდერი (86)

**ლევერკუზენი (4-1-2-2-1):** ლენო - კარვახალი, ვოლშაიდი, თოფრაქი (5. შვააბი), კადლეცი - რაინარტცი (46. ჰეგელერი) - ლ. ბენდერი, კასტრო - სემი (79. მილიკი), შიურლე - კისლინგი.

**შტუტგარტი (4-1-2-2-1):** ულრაიხი - გ. საკაი, ტასკი, რიუდიგერი, ბოკა (46. მოლინარო) - კვისტი (90. მაქსიმი) - გენტნერი, ჰოლცჰოიზერი (86. მაკედა) - ჰარნიკი, ტრაორე - იბიშევიჩი.

**გაფრთხილება:** ვოლშაიდი, კასტრო, რაინარტცი - იბიშევიჩი, მოლინარო

**კუთხური:** 6-0; **ჯარიმა:** 13-16; **თამაშგარე:** 1-1; **კარში დარტყმა:** 30(8)-5(4); **ბურთის ფლობა:** 71%-29%.

**მაყურებელი:** 27 058

**ჰოფენჰაიმი-ბაიერნი 0:1**

**გოლი:** 0:1 გომესი (38)

**ჰოფენჰაიმი (4-2-3-1):** გომეში – ოხსი, აბრაამი, ვესტერგაარდი, ჯონსონი – ვილიამსი, ვაისი – შრიოკი (76. დერდიოკი), ვოლანდი (70. ხოსელუ), უსამი (46. რობერტო ფირმინიო) – დე კამარგო.

**ბაიერნი (4-2-3-1):** შტარკე – ლამი, ბოატენგი, დანტე, ალაბა – [illegible] მარტინესი, შვაინშტაიგერი – თ. მიულერი, შაჩირი (64. ლუის გუსტავო), რიბერი – გომესი (75. მანჯუკიჩი).

**გაფრთხილება:** ვილიამსი, შრიოკი, დერდიოკი - ბოატენგი

**კუთხური:** 4-8; **ჯარიმა:** 24-12; **თამაშგარე:** 0-0; **კარში დარტყმა:** 9(3)-19(7); **ბურთის ფლობა:** 35%-65%.

**მაყურებელი:** 30 150

**ფორტუნა-მაინცი 1:1**

**გოლები:** 1:0 სვენსონი (6-საკ. კარში), 1:1 კლასნიჩი (40)

**ფორტუნა (4-2-2-1-1):** გიფერი – ბალოგუნი, ლატკა, მალეზასი, ვან დერ ბერგი – ბოძეკი, ტეშე (60. ბოლი) – ლამბერტცი (90. ო. ფინკი), ბელინგჰაუზენი – კრუსი – დ. შაჰინი (60. რაფაელი).

**მაინცი (4-1-2-1-2):** ვეტკლო – პოსპეხი, სვენსონი, ნოვესკი, ზაბავნიკი (38. მ. კალიჯური) – ბაუმგარტლინგერი – ზიმლინგი, მალი – ივანშიტცი – შ. პარკერი (80. სალაი), კლასნიჩი (46. ნ. მიულერი).

**გაფრთხილება:** ლატკა, ლამბერტცი, რაფაელი – ზაბავნიკი, ნ. მიულერი

**კუთხური:** 7-3; **ჯარიმა:** 13-14; **თამაშგარე:** 2-2; **კარში დარტყმა:** 13(3)-5(3); **ბურთის ფლობა:** 40%-60%.

**მაყურებელი:** 40 226

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბაიერნი | 24 | 20 | 3 | 1 | 64-8 | 63 |
| 2. დორტმუნდი | 24 | 13 | 7 | 4 | 54-28 | 46 |
| 3. ლევერკუზენი | 24 | 13 | 6 | 5 | 45-31 | 45 |
| 4. აინტრახტი | 24 | 11 | 5 | 8 | 38-35 | 38 |
| 5. ფრაიბურგი | 24 | 9 | 9 | 6 | 30-23 | 36 |
| 6. შალკე | 24 | 10 | 6 | 8 | 41-39 | 36 |
| 7. ჰამბურგი | 24 | 10 | 5 | 9 | 29-33 | 35 |
| 8. მაინცი | 24 | 9 | 7 | 8 | 32-29 | 34 |
| 9. გლადბახი | 24 | 8 | 10 | 6 | 33-34 | 34 |
| 10. ჰანოვერი | 24 | 10 | 3 | 11 | 47-45 | 33 |
| 11. შტუტგარტი | 24 | 8 | 5 | 11 | 26-42 | 29 |
| 12. ფორტუნა | 24 | 7 | 7 | 10 | 29-32 | 28 |
| 13. ნიურნბერგი | 24 | 6 | 10 | 8 | 24-31 | 28 |
| 14. ვერდერი | 24 | 8 | 4 | 12 | 39-48 | 28 |
| 15. ვოლფსბურგი | 24 | 7 | 6 | 11 | 24-37 | 27 |
| 16. აუგსბურგი | 24 | 4 | 9 | 11 | 21-36 | 21 |
| 17. ჰოფენჰაიმი | 24 | 4 | 4 | 16 | 27-49 | 16 |
| 18. ფიურტი | 24 | 2 | 8 | 14 | 14-37 | 14 |

**ბომბარდირები:** 16 – ლევანდოვსკი (დორტმუნდი), კისლინგი (ლევერკუზენი); 15 – მანჯუკიჩი (ბაიერნი); 12 – ა. მაიერი (აინტრახტი), სალაი (მაინცი); 11 – იბიშევიჩი (შტუტგარტი), თ. მიულერი (ბაიერნი), პეტერსენი (ვერდერი), როისი (დორტმუნდი).

**მომდევნო ტური**

**8 მარტი.** აუგსბურგი-ნიურნბერგი.

**9 მარტი.** ბაიერნი-ფორტუნა, შალკე-დორტმუნდი, ფრაიბურგი-ვოლფსბურგი, მაინცი-ლევერკუზენი, ფიურტი-ჰოფენჰაიმი, გლადბახი-ვერდერი.

**10 მარტი.** ჰანოვერი-აინტრახტი, შტუტგარტი-ჰამბურგი.

**II ბუნდესლიგა. XXIV ტური**

**პადერბორნი-კოტბუსი 0:1**

გოლი: 0:1 სანოგო (50)

**უნიონი-აუე 3:0**

გოლები: 1:0 ნემეცი (7), 2:0 მატუშკა (45-პენ), 3:0 პარენსენი (57)

**რეგენსბურგი-ზანდჰაუზენი 1:3**

გოლები: 0:1 ოლაიენგბეზი (30), 1:1 კარლინიოსი (42), 1:2 ლიონინგი (45+1), 1:3 ა. რიმანი (92)

**კაიზერსლაუტერნი-ბოხუმი 0:0**

**დინამო-ჰერტა 1:0**

გოლი: 1:0 ლასოგა (38-პენ)

**მიუნხენი-ინგოლშტადტი 1:1**

გოლები: 1:0 ტომასოვი (27), 1:1 აიგლერი (79)

**ფრანკფურტი-კიოლნი 1:1**

გოლები: 1:0 იელენი (76-პენ), 1:1 კლემენსი (83)

**აალენი-ზანკტ პაული 0:1**

გოლი: 0:1 გინშეკი (90-პენ)

**დუისბურგი-ბრაუნშვაიგი დღეს**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჰერტა | 24 | 15 | 7 | 2 | 45-19 | 52 |
| 2. ბრაუნშვაიგი | 23 | 15 | 6 | 2 | 40-19 | 51 |
| 3. კაიზერსლაუტ. | 24 | 10 | 10 | 4 | 33-22 | 40 |
| 4. კიოლნი | 24 | 9 | 10 | 5 | 28-23 | 37 |
| 5. უნიონი | 24 | 9 | 8 | 7 | 39-33 | 35 |
| 6. კოტბუსი | 24 | 9 | 8 | 7 | 28-25 | 35 |
| 7. მიუნხენ 1860 | 24 | 8 | 10 | 6 | 27-22 | 34 |
| 8. ფრანკფურტი | 24 | 10 | 4 | 10 | 31-30 | 34 |
| 9. პადერბორნი | 24 | 9 | 5 | 10 | 32-29 | 32 |
| 10. ინგოლშტადტი | 24 | 7 | 11 | 6 | 28-27 | 32 |
| 11. აალენი | 24 | 8 | 7 | 9 | 24-22 | 31 |
| 12. ზანკტ პაული | 24 | 7 | 8 | 9 | 23-27 | 29 |
| 13. ბოხუმი | 24 | 6 | 8 | 10 | 29-39 | 26 |
| 14. აუე | 24 | 6 | 6 | 12 | 29-38 | 24 |
| 15. დინამო | 24 | 5 | 9 | 10 | 24-34 | 24 |
| 16. დუისბურგი | 23 | 6 | 6 | 11 | 23-37 | 24 |
| 17. ზანდჰაუზენი | 24 | 5 | 6 | 13 | 30-50 | 21 |
| 18. რეგენსბურგი | 24 | 4 | 5 | 15 | 27-44 | 17 |

**ბომბარდირები:** 14 - კუმბელა (ბრაუნშვაიგი); 12 - რონი (ჰერტა); 11 - გინშეკი (ზანკტ პაული), ლიონინგი (ზანდჰაუზენი), სანოგო (კოტბუსი); 10 - იდრისუ (კაიზერსლაუტერნი).

**III ბუნდესლიგა**

**ვეენი-ბურგჰაუზენი 1:1, პროისენ მიუნსტერი-ოსნაბრიუკი 3:1, ხემნიტცი-შტუტგარტი II 1:0, ჰანზა-ჰაიდენჰაიმი 0:2, კარლსრუე-ოფენბახი 2:1, ერფურტი-ზაარბრიუკენი 1:2, უნტერჰახინგი-ალემანია 1:0, ბაბელსბერგი-არმინია 0:2, დარმშტადტი-ჰალეშერი 1:2, შტუტ. კიკერსი-დორტმუნდი II (გადაიდო).**

ესპანეთი. ლა ლიგა. XXVI ტური

# ესპანური კურიოზი: ლიდერი შავ დღეშია

## რეალი ატლეტიკოს მიუახლოვდა, ბარსელონა - კრიზისს

**გასაოცარია, მაგრამ ფაქტია - უეფას რეიტინგით საუკეთესო ეროვნულ ჩემპიონატს დიდი უპირატესობით ლიდერობს გუნდი, რომელსაც, ჩვენი აზრით, ახლა ძალიან უჭირს და შემოქმედებითი კრიზისი აქვს. „ბარსელონამ" ზედიზედ მეორე კლასიკო წააგო, თანაც ამჯერად „რეალის" თითქმის სათადარიგო შემადგენლობასთან.**

### ზედიზედ მესამე გამარჯვება და 3-დღიანი შვებულება

როგორც წესი, „ალფონსო პერეს კოლისეუმზე" ლა ლიგაში ყველაზე ცოტა მაყურებელი დადის, „სარაგოსას" სტუმრობამ კი მადრიდელი გულშემატკივრის დაინტერესება საერთოდ არ გამოიწვია - 7 ათასზე ოდნავ მეტი მაყურებელი მივიდა. არადა, „ხეტაფე" ბრწყინვალე ფორმაშია და შეუძლია ევროსაგზურისთვისაც იბრძოლოს.

სხვათა შორის, „ხეტაფეს" თავკაცი **ლუის გარსია** მატჩის წინ ფეხბურთელებს შეჰპირდა, თუკი ჩემპიონატში ზედიზედ მესამე გამარჯვებას იზეიმებდნენ, გუნდს სამ-დღიან შვებულებაში გაუშვებდა. ამ მოტივატორმა გაჭრა, „ხეტაფემ" ანგარიში პირველ ტაიმში გახსნა, **პედრო ლეონის** დაბალ ჩაწოდებას ლამის მეკარის ხაზზე **ადრიან კოლუნგა** გამოეხმაურა, მეორე ტაიმში კი **სერხიო ესკუდერომ** ჯარიმიდან გაიტანა, ბურთი „ცოცხალ კედელს" მოხვდა და სულ სხვა კუთხეში გავიდა, ვიდრე „სარაგოსას" დუბლიორი გოლკიპერი **პაბლო ალკოლეა** ელოდა. სხვათა შორის, ამ შეხვედრაში ერთნაირი დარღვევისთვის (ხელით თამაში) ჯერ სტუმართა მცველი **გლენ ლოოვენსი** გააძევეს, შემდეგ „ხეტაფეს" ლიდერი - **პედრო ლეონი.**

### მესი დი სტეფანოს გაუტოლდა

**ჟოზე მოურინიომ** კლასიკოების იმიჯს დიდი დარტყმა მიაყენა - 11-დან 7 პოზიციაზე სათადარიგო ფეხბურთელი დააყენა (**დიეგო ლოპესი** დარჩენილ 4-ში დავტოვეთ, რადგან **იკერ კასილიასს** ფიზიკურად არ შეეძლო თამაში) - „რეალი" „ბარსას" 16 ქულით ჩამორჩებოდა, „სამეფო კლუბს" კი წინ სეზონის ერთ-ერთი საკვანძო მატჩი ელის „ოლდ ტრეფორდზე". პირველ ტაიმში ორი გოლი გავიდა - **ალვარო მორატა** მარცხენა ფლანგზე კარგად გაისარჯა და მას ამაგი **ქარიმ ბენზემამ** არ დაუკარგა. შემდეგ **დანი ალვეშის** ბრწყინვალე პასით **ლეო მესიმ** გაათანაბრა. აქ უნდა შევჩერდეთ, რადგან ეს მესის ზედიზედ მე-16 ტურში გატანილი ბურთია და მე-18 კლასიკოებში. ლეო კლასიკოების ყველა დროის ბომბარდირ **ალფრედო დი სტეფანოს** გაუთანაბრდა.

მეორე ტაიმში ჟოზემ ბრძოლაში **კრიშტიანო რონალდო** ჩართო და ამან გადამწყვეტი როლი ითამაშა - პორტუგალიელი ძალიან სახიფათო იყო, განსაკუთრებით ჯარიმებიდან. გამარჯვების გოლი კი **სერხიო რამოსმა** თავურით (**ლუკა მოდრიჩის** ჩაწოდება) გაიტანა და „რეალმა" კრიზისში მყოფი „ბარსა" 2:1 დაამარცხა.

ბოლო წუთზე, მეტად საკამათო ეპიზოდში **პერეს ლასამ** არ დანიშნა პენალტი, როცა სერხიო რამოსმა **ადრიანო** საჯარიმოში მოცელა. სტუმართა პროტესტს მხოლოდ **ვიქტორ ვალდესის** გაძევება მოჰყვა.

### დეპორი კვდება

მართალია, „დეპორტივომ" ამჯერად აღარ წააგო (ზედიზედ 6 მარცხის მერე), მაგრამ ბევრსაც ვერაფერს მიაღწია. ის კი არა, რომ არა **დანიელ არანსუბიას** კარგი თამაში კარში, **ლასანა ბანგურას** და კომპანიას შეეძლო მადრიდში 3 ქულის წაღება. თამაშის დასრულებამდე ხუთი წუთით ადრე ბოლოადგილოსანი **კარლოს მარჩენამ** დაალალატა, ვეტერანი მსოფლიოს ჩემპიონი გააძევეს.

### ბიელსა სუსაეტას სუპერგოლმა იხსნა

**მარსელო ბიელსა** უმუშევრობისგან **მარკელ სუსაეტამ** იხსნა, რომელმაც ნავარულ-ბასკური დერბის ერთადერთი და თანაც როგორი, გოლი გაიტანა - **იბაი გომესის** ჩაწოდებულს ფეხი ყოველგვარი დამუშავების გარეშე მოსცხო. არადა, მანამდე „ბილბაო" ისე უნიათოდ თამაშობდა, რომ ყველა ბასკთა მორიგ მარცხს ელოდა. პამპლონაში „ატლეტიკმა" უმნიშვნელოვანესი სამი ქულა აიღო და უშუალო კონკურენტ „ოსასუნას" 1 ქულით გადაუსწრო.

### ღამურები და აუტები

ვალენსიური დერბის ბოლოს „ვალენსიამ" დასანანი გოლი გაუშვა და ასე საჭირო სამი ქულა ხელიდან გაუშვა - „ლევანტე" გამოცდილმა ნახევარმცველმა **ხოსე ხავიერ ბარკერომ** იხსნა. ანგარიში „ლევანტემ" გახსნა - **ვისენტე იბორას** თავზე აუტიდან (!) ჩაუწოდეს. **ჟონასმა** „ლევანტეს" საჯარიმოში გაუგონარი ქაოსით ისარგებლა და ანგარიში გაათანაბრა, ხოლო **რობერტო სოლდადომ** სუპერგოლით წინ გაიყვანა „ღამურები". მეორე ტაიმში იმავე სოლდადოს შეეძლო ყველაფრის გადაწყვეტა, მაგრამ „ვალენსიას" ბომბარდირს ჯერ გოლი არ ჩაუთვალეს, შემდეგ მან ხარიხას გაარტყა ბურთი. სხვათა შორის, ბარკერომაც საგოლე პასი აუტით მიიღო.

### გადამწყვეტი თავური

მსაჯის მიერ დამატებულ დროში ებრაელი ფორვარდის, **ტომერ ჰემედის** დარტყმული „გრანადას" მეკარემ აშკარად ხაზს იქიდან მოიგერია, ეს კარგად შენიშნა მსაჯმა და „მალიორკამ" ასე ნანატრი მოგება გაიფორმა, თანაც სტუმრად უშუალო კონკურენტთან და მას მერე, რაც **ნოლიტოს** თავურით „გრანადა" დაწინაურდა. ნოლიტოს გოლს **ალფარომ** მაშინვე უპასუხა, კვანძი კი ბოლოსლა გაიხსნა, **გრეგორიო მანსანომ** „მალიორკაში" დაბრუნების შემდეგ პირველად მოიგო. „ესპანიოლი" და „ვალიადოლიდი" მშვიდობით დაცილდნენ ერთმანეთს. გოლები ვერც „მალაგამ" და „ატლეტიკომ" გაიტანეს, შედეგად - „რეალი" „ატლეტიკოს" 2 ქულამდე მიუახლოვდა.

გვერდი მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**



სერხიო რამოსმა „ბარსას" კარში გადამწყვეტი გოლი გაიტანა

## პორტუგალია

### ლიგა საგრეში. XXI ტური

**ფერეირა-სეტუბალი** 2:0
გოლები: 1:0 სისერო (39), 2:0 სისერო (84)
გაძევება: ტავარეში (53. სეტუბალი)

**სპორტინგი-პორტუ** 0:0
გაძევება: როხო (78. სპორტინგი)

**ჟილ ვისენტე-ნასიონალი** 1:2
გოლები: 1:0 ლ. კარლოში (14), 1:1 მეშერი (54), 1:2 და კოშტა (89)

**მარიტიმუ-მორეირენშე** 1:1
გოლები: 0:1 გონსალვეში (66), 1:1 კუკულა (67)

**რიუ ავე-ეშტორილი** 0:2
გოლები: 0:1 ლიკა (78), 0:2 ვიტორია (84-პენ)

**ბეირა მარი-ბენფიკა** 0:1
გოლი: 0:1 კარდოსო (16-პენ)

**4 მარტი**

| | |
|---|---|
| გიმარაეში-აკადემიკა | 22:15 |
| ოლანენშე-ბრაგა | 00:30 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბენფიკა | 21 | 17 | 4 | 0 | 51-14 | 55 |
| 2. პორტუ | 21 | 16 | 5 | 0 | 49-10 | 53 |
| 3. ფერეირა | 21 | 10 | 8 | 3 | 29-18 | 38 |
| 4. ბრაგა | 20 | 10 | 4 | 6 | 44-30 | 34 |
| 5. რიუ ავე | 21 | 8 | 5 | 8 | 25-28 | 29 |
| 6. მარიტიმუ | 21 | 7 | 8 | 6 | 23-31 | 29 |
| 7. ეშტორილი | 21 | 8 | 4 | 9 | 32-29 | 28 |
| 8. ნასიონალი | 21 | 7 | 5 | 9 | 31-35 | 26 |
| 9. გიმარაეში | 20 | 6 | 6 | 8 | 21-32 | 24 |
| 10. სპორტინგი | 21 | 5 | 8 | 8 | 20-25 | 23 |
| 11. სეტუბალი | 21 | 6 | 5 | 10 | 22-38 | 23 |
| 12. აკადემიკა | 20 | 4 | 8 | 8 | 27-31 | 20 |
| 13. ჟილ ვისენტე | 21 | 4 | 7 | 10 | 21-33 | 19 |
| 14. ოლანენშე | 20 | 3 | 8 | 9 | 21-31 | 17 |
| 15. მორეირენშე | 21 | 3 | 7 | 11 | 20-35 | 16 |
| 16. ბეირა მარი | 21 | 3 | 6 | 12 | 23-39 | 15 |

**ბომბარდირები:** 22 - ჯექსონ მარტინესი (პორტუ); 15 - ოსკარ კარდოსო (ბენფიკა); 13 - ედერი (ბრაგა), ალბერტ მეიონგი (სეტუბალი).

**ხეტაფე-სარაგოსა 2:0**

**გოლები:** 1:0 კოლუნგა (21), 2:0 ესკუდერო (60)

**ხეტაფე (4-2-3-1):** მოია - მ. ტორესი, ფ. ფერნანდესი, ალექსისი, ესკუდერო - ბორხა, ლასენი - პედრო ლეონი, ბარადა (87. ფრაილე), დ. კასტრო (83. გავილანი) - კოლუნგა (75. ალვარო).

**სარაგოსა (4-2-3-1):** ალკოლეა - სეპუნარუ, ალვარო, ლოოვენსი, აბრაამი - ხოსე მარი, მოვილია (50. ვ. როდრიგესი) - როჩინა (76. ე. ორიოლი), ბაბოვიჩი (73. ხ. ფერნანდესი), მონტანიესი - პოშტიგა.

**გაფრთხილება:** ალექსისი, ბორხა, ლასენი, პედრო ლეონი - ლოოვენსი, ალვარო, ხოსე მარი

**გაძევება:** ლოოვენსი (59), პედრო ლეონი (63)

**კუთხური:** 5-7; **ჯარიმა:** 20-20; **თამაშგარე:** 2-1; **კარში დარტყმა:** 8-12 (4-3); **ბურთის ფლობა:** 45%-55%.

**მაყურებელი:** 7 200

**რეალი-ბარსელონა 2:1**

**გოლები:** 1:0 ბენზემა (5), 1:1 მესი (18), 2:1 ს. რამოსი (82)

**რეალი (4-2-3-1):** დ. ლოპესი - ესიენი, ვარანი, ს. რამოსი, ფ. კოენტრაო (68. არბელოა) - პეპე, მოდრიჩი - კალეხონი, კაკა (57. ხედირა), მორატა - ბენზემა (56. რონალდო).

**ბარსელონა (4-3-3):** ვალდესი - დანი ალვეში, პიკე, მასკერანო, ალბა - ტ. ალკანტარა (84. ტელიო), ბუსკეტსი, ინიესტა - პედრო (76. ადრიანო), მესი, ვილია (66. ა. სანჩესი).

**გაფრთხილება:** რამოსი, კოენტრაო, მორატა, არბელოა - ალბა, პიკე, ალკანტარა, ალვეში, ინიესტა, ვალდესი

**გაძევება:** ვალდესი (94)

**კუთხური:** 4-1; **ჯარიმა:** 19-19; **თამაშგარე:** 0-0; **კარში დარტყმა:** 14-5 (6-2); **ბურთის ფლობა:** 38%-62%.

**მაყურებელი:** 78 000

**დეპორტივო-ვალეკანო 0:0**

**დეპორტივო (4-2-3-1):** არანსუბია - სილვიო, მარჩენა, ზე კაშტრო, აიოსე - პ. ასუნსაო (65. ხ. დომინგესი), აგილარი - გამა (77. ოლივეირა), ვალერონი, პიცი - რიკი (20. სალომაო).

**რაიო ვალეკანო (4-2-3-1):** რუბენი - ტიტო, გალვესი, ამატი, კასადო - ტრაშორასი, ფუეგო (81. ადრიანი) - ლ. ბანგურა, ა. დომინგესი (73. დელიბაშიჩი), პიტი - ლეო კარილიო (68. ხოსე კარლოსი).

**გაფრთხილება:** ზე კაშტრო, მარჩენა - ფუეგო, გალვესი, დომინგესი, კასადო, ამატი

**გაძევება:** მარჩენა (85)

**კუთხური:** 3-7; **ჯარიმა:** 13-18; **თამაშგარე:** 3-3; **კარში დარტყმა:** 13-18 (4-3); **ბურთის ფლობა:** 38%-62%.

**მაყურებელი:** 28 500

**ოსასუნა-ბილბაო 0:1**

**გოლი:** 0:1 სუსაეტა (63)

**ოსასუნა (4-2-3-1):** ა. ფერნანდესი -ბერტრანი, არიბასი, ფლანიო, დამია (84. პუნიალი) - ლოლო, ფ. სილვა - არმენტეროსი, ოიერი (69. ხ. ლორენტე), დე ლას კუევასი (65. მასუდი) - კიკე სოლა.

**ბილბაო (4-2-3-1):** ირაისოსი - ირაოლა, სან ხოსე, ლაპორტე, აურტენეჩო - იტურასპე, ანდერი - სუსაეტა (90. ტოკერო), დე მარკოსი (70. ეკიზა), ი. გომესი - ადურისი (59. ფ. ლორენტე).

**გაფრთხილება:** ხ. ლორენტე - იტურასპე, სან ხოსე, ანდერი, ირაისოსი

**კუთხური:** 9-4; **ჯარიმა:** 13-17; **თამაშგარე:** 3-5; **კარში დარტყმა:** 18-7 (6-2); **ბურთის ფლობა:** 58%-42%.

**მაყურებელი:** 18 200

**ვალენსია-ლევანტე 2:2**

**გოლები:** 0:1 იბორა (16), 1:1 ჟონასი (27), 2:1 სოლდადო (45+3), 2:2 ბარკერო (89)

**ვალენსია (4-2-3-1):** გუაიტა - ჟ. პერეირა, რუისი, მატიო, გუარდადო - ალბელდა (90. ვიერა), პარეხო - ფეგული, კანალესი (72. ტინო კოსტა), ჟონასი (77. ვალდესი) - სოლდადო.

**ლევანტე (4-2-3-1):** მუნუა - ვინტრა, ბალესტეროსი, დ. ნავარო, ხუანფრანი - იბორა, დიოპი (57. მიჩელი) - რიოსი (79. ხუანლუ), ბარკერო, რუბენ გარსია - აკვაფრესკა (57. მარტინსი).

**გაფრთხილება:** გუაიტა, გუარდადო - ბარკერო, ვინტრა, იბორა, ნავარო, ბალესტეროსი

**კუთხური:** 6-4; **ჯარიმა:** 13-17; **თამაშგარე:** 2-2; **კარში დარტყმა:** 19-8 (6-4); **ბურთის ფლობა:** 68%-32%.

**მაყურებელი:** 39 000

**გრანადა-მალიორკა 1:2**

**გოლები:** 1:0 ნოლიტო (8), 1:1 ალფარო (12), 1:2 ჰემედი (93)

**გრანადა (4-4-2):** ტონიო - ორტისი, ი. ლოპესი, მაინსი, სიკეირა - ბუონანოტე (86. ტორჯე), მ. რიკო, რესიო, ნოლიტო (65. ბრაიმი) - არანდა, იგჰალო (72. ელ-არაბი).

**მალიორკა (4-3-3):** ავატე - ჰატონი, ნუნიეში, ა. ასუნსაო, ლუნა - ტისონე (80. მარკესი), მარტი, პინა - ალფარო (86. მ. პერეირა), ვიქტორი (70. ჰემედი), ჯოვანი დოს სანტოსი.

**გაფრთხილება:** იგჰალო - ლუნა, ჰატონი

**კუთხური:** 7-1; **ჯარიმა:** 20-18; **თამაშგარე:** 1-3; **კარში დარტყმა:** 10-8 (5-5); **ბურთის ფლობა:** 64%-36%.

**მაყურებელი:** 18 000

**ესპანიოლი-ვალიადოლიდი 0:0**

**ესპანიოლი (4-2-3-1):** კასილია - ხ. ლოპესი, კოლოტო (37. კ. გომესი), მორენო, კაპდევილა - რ. როდრიგესი, ვ. სანჩესი - ლონგო (46. ვაკასო), ვერდუ, სიმაო - ს. გარსია.

**ვალიადოლიდი (4-2-3-1):** დ. ერნანდესი - რუკავინა, სერენო, რუედა, ბალენსიაგა - სასტრე, რუბიო - ლარსონი, ბუენო (66. ოსკარი), ომარი - მანუჩო (79. გერა).

**გაფრთხილება:** ლარსონი

**კუთხური:** 8-4; **ჯარიმა:** 7-16; **თამაშგარე:** 1-1; **კარში დარტყმა:** 11-7 (0-1); **ბურთის ფლობა:** 51%-49%.

**მაყურებელი:** 27 000

**მალაგა-ატლეტიკო 0:0**

**მალაგა (4-1-4-1):** კაბალიერო - გამესი, დემიკელისი (62. ლუგანო), ველიგტონი, ანტუნეში - ტულალანი - ხოაკინი (65. იტურა), პიაზონი, ისკო (72. სება ფერნანდესი), პორტილიო - სანტა კრუზი.

**ატლეტიკო (4-4-2):** კურტუა - ხუანფრანი, მირანდა, გოდინი, ფილიპე ლუიში - არდა თურანი, მ. სუარესი, კოკე, კ. როდრიგესი (66. რაულ გარსია) - ფალკაო, დ. კოშტა (61. ადრიან ლოპესი).

**გაფრთხილება:** ველიგტონი, ტულალანი - ხუანფრანი, სუარესი, კოშტა, კოკე

**კუთხური:** 3-4; **ჯარიმა:** 16-21; **თამაშგარე:** 1-1; **კარში დარტყმა:** 6-15 (2-2); **ბურთის ფლობა:** 41%-59%.

**მაყურებელი:** 29 000

**სოსიედადი-ბეტისი 3:3**

**გოლები:** 0:1 [illegible] (30), 0:2 პაბონი (49), 1:2 ველა (51), 2:2 ი. მარტინესი (56), 3:2 ჩაბი პრიეტო (62-პენ), 3:3 პაბონი (66)

**რეალ სოსიედადი (4-2-3-1):** ბრავო - კ. მარტინესი, მ. გონსალესი, ი. მარტინესი, დე ლა ბელა - ბერგარა, ზურუტუზა (72. პარდო) - ველა, ჩაბი პრიეტო (79. იფრანი), გრიზმანი - აგირეჩე.

**ბეტისი (4-2-3-1):** ადრიანი - ა. ლოპესი, მარიო, ამაია, ნაჩო - კანიასი, ბენიატი (83. ჩიკა) - კემპბელი (71. ნონო), პაბონი, ხუან კარლოსი (62. რ. კასტრო) - მოლინა.

**გაფრთხილება:** კ. მარტინესი - კემპბელი, ბენიატი, ლოპესი, კანიასი, ჩიკა

**კუთხური:** 12-4; **ჯარიმა:** 6-15; **თამაშგარე:** 6-1; **კარში დარტყმა:** 14-17 (7-4); **ბურთის ფლობა:** 56%-44%.

**მაყურებელი:** 25 000

**4 მარტი**

| | |
|---|---|
| სევილია-სელტა | 00:30 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბარსელონა | 26 | 22 | 2 | 2 | 83-30 | 68 |
| 2. ატლეტიკო | 26 | 18 | 3 | 5 | 48-23 | 57 |
| 3. რეალი | 26 | 17 | 4 | 5 | 64-24 | 55 |
| 4. მალაგა | 26 | 12 | 7 | 7 | 37-24 | 43 |
| 5. ვალენსია | 26 | 12 | 6 | 8 | 38-39 | 42 |
| 6. სოსიედადი | 26 | 11 | 8 | 7 | 44-34 | 41 |
| 7. ბეტისი | 26 | 12 | 4 | 10 | 37-38 | 40 |
| 8. ხეტაფე | 26 | 11 | 5 | 10 | 37-44 | 38 |
| 9. ვალეკანო | 26 | 12 | 2 | 12 | 34-43 | 38 |
| 10. ლევანტე | 26 | 10 | 5 | 11 | 32-40 | 35 |
| 11. ვალიადოლიდი | 26 | 9 | 7 | 10 | 34-33 | 34 |
| 12. სევილია | 25 | 9 | 5 | 11 | 34-37 | 32 |
| 13. ესპანიოლი | 26 | 8 | 8 | 10 | 31-35 | 32 |
| 14. ბილბაო | 26 | 8 | 5 | 13 | 31-50 | 29 |
| 15. ოსასუნა | 26 | 7 | 7 | 12 | 22-28 | 28 |
| 16. გრანადა | 26 | 7 | 5 | 14 | 25-38 | 26 |
| 17. სარაგოსა | 26 | 7 | 4 | 15 | 25-38 | 25 |
| 18. სელტა | 25 | 6 | 5 | 14 | 24-32 | 23 |
| 19. მალიორკა | 26 | 5 | 6 | 15 | 26-49 | 21 |
| 20. დეპორტივო | 26 | 3 | 8 | 15 | 29-56 | 17 |

**ბომბარდირები:** 39 - ლიონელ მესი (ბარსელონა); 24 - კრიშტიანო რონალდო (რეალი); 21 - რადამელ ფალკაო (ატლეტიკო); 13 - რობერტო სოლდადო (ვალენსია); 12 - არიც ადურისი (ბილბაო), რუბენ კასტრო (ბეტისი).

**მომდევნო ტური**

8 მარტი: ბეტისი-ოსასუნა.

9 მარტი: რაიო ვალეკანო-ესპანიოლი, ვალიადოლიდი-მალაგა, ბარსელონა-დეპორტივო, მალიორკა-სევილია.

10 მარტი: ბილბაო-ვალენსია, ლევანტე-ხეტაფე, სელტა-რეალი, ატლეტიკო-რეალ სოსიედადი.

11 მარტი: სარაგოსა-გრანადა.

**სეგუნდა დივიზიონი.**

**XXVIII ტური.**

**ლას პალმასი-ბარსელონა II** 3:3
გოლები: 1:0 ტატო (21), 1:1 რაფინია (45), 1:2 დეულოფეუ (71), 2:2 ალემანი (81), 2:3 დეულოფეუ (87), 3:3 ერნანი (90)
გაძევება: ოლასაბალი (79. ბარსელონა II)

**უელვა-ელჩე** 1:2
გოლები: 0:1 დ. სუარესი (38), 1:1 სიმანოვსკი (49), 1:2 კორომინასი (59)

**უესკა-ალკორკონი** 0:1
გოლი: 0:1 ო. რიერა (66)

**ერკულესი-ალმერია** 0:2
გოლები: 0:1 შარლესი (53), 0:2 შარლესი (86)

**გვადალახარა-საბადელი** 1:1
გოლები: 1:0 გონი (22 ს.კ.), 1:1 ლანსაროტე (35)

**მირანდესი-ლუგო** 1:0
გოლი: 1:0 რუპერი (90)

**მურსია-ხერესი** 3:1
გოლები: 1:0 კიკე (59), 2:0 ბერხონი (85), 3:0 ბერხონი (88), 3:1 ოგბეჩე (90)

**ნუმანსია-რასინგი** 2:0
გოლები: 1:0 ა. ტომასი (35), 2:0 პოკე (53)

**პონფერადინა-რეალი II** 2:0
გოლები: 1:0 მოსკერა (28 ს.კ.), 2:0 ლაფუენტე (76)

**სპორტინგი-ჟირონა** 4:0
გოლები: 1:0 ტრეხო (20), 2:0 ბილიჩი (25), 3:0 კარმონა (81), 4:0 დ. როდრიგესი (85)
გაძევება: ურტადო (68. ჟირონა)

**კორდობა-ვილიარეალი** 0:2
გოლები: 0:1 მუსაჩიო (27), 0:2 ხ. პერეირა (44)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ელჩე | 28 | 19 | 7 | 2 | 41-14 | 64 |
| 2. ალმერია | 28 | 15 | 7 | 6 | 50-30 | 52 |
| 3. ალკორკონი | 28 | 15 | 3 | 10 | 39-36 | 48 |
| 4. ჟირონა | 28 | 13 | 6 | 9 | 45-37 | 45 |
| 5. ვილიარეალი | 28 | 11 | 11 | 6 | 35-26 | 44 |
| 6. ბარსელონა II | 28 | 12 | 7 | 9 | 60-47 | 43 |
| 7. საბადელი | 28 | 12 | 7 | 9 | 42-36 | 43 |
| 8. ლას პალმასი | 28 | 11 | 9 | 8 | 43-41 | 42 |
| 9. პონფერადინა | 28 | 13 | 2 | 13 | 38-39 | 41 |
| 10. კორდობა | 28 | 11 | 8 | 9 | 32-29 | 41 |
| 11. უესკა | 28 | 12 | 4 | 12 | 35-41 | 40 |
| 12. სპორტინგი | 28 | 9 | 10 | 9 | 37-35 | 37 |
| 13. ნუმანსია | 28 | 9 | 10 | 9 | 33-32 | 37 |
| 14. ლუგო | 28 | 10 | 6 | 12 | 27-35 | 36 |
| 15. რეალი II | 28 | 10 | 4 | 14 | 47-48 | 34 |
| 16. მურსია | 28 | 9 | 7 | 12 | 31-36 | 34 |
| 17. გვადალახარა | 28 | 7 | 10 | 11 | 31-36 | 31 |
| 18. მირანდესი | 28 | 7 | 10 | 11 | 22-29 | 31 |
| 19. უესკა | 28 | 7 | 8 | 13 | 29-37 | 29 |
| 20. რასინგი | 28 | 7 | 6 | 15 | 22-38 | 27 |
| 21. ერკულესი | 28 | 6 | 7 | 15 | 27-41 | 25 |
| 22. ხერესი | 28 | 5 | 7 | 16 | 23-46 | 22 |

**ბომბარდირები:** 18 - შარლესი (ალმერია); 17 - ჟერარდ დეულოფეუ (ბარსელონა II); 15 - ორიოლ რიერა (ალკორკონი); 14 - ჩული (უელვა), ხესე როდრიგესი (რეალი II).

იტალი. სერია A. XXVII ტური

# ემოციები მოედნებზე და მოედნებს მიღმა

## კალჩო ჩვეულ სტიქიაში: ჩხუბი და ქვების სროლა

**XXVII ტურში ორი გამორჩეული მატჩი გაიმართა, ერთი ჯერ კიდევ პარასკევს, ხოლო მეორე შაბათს. ნეაპოლში „იუვენტუსი“ მდევარს ესტუმრა, მილანში კი „ლაციომ“ მესამე ადგილი „როსონერის“ დაუთმო. საინტერესოდ ვითარდებოდა მოვლენები მოედნებს მიღმაც – „იუვენტუსის“ ავტობუსი ნეაპოლელებმა ქვებით დაცხრილეს, ვალტერ მაცარიმ და ანტონიო კონტემ ერთმანეთს ხელი არ ჩამოართვეს, ანტონიო კასანომ და ანდრეა სტრამაჩონიმ კი გასახდელში იჩხუბეს... ამ ყველაფერზე ქვემოთ...**



ჯამპაოლო პაცინიმ „ლაციოს“ ორი გაუტანა

### ფრე ტურინელთა სასარგებლოდ

ამ მატჩის შესახებ შაბათის ნომერშიც ვწერდით და ამიტომ, მხოლოდ მატჩისშემდგომ მოვლენებზე გავამახვილებთ ყურადღება. მთელი 90 წუთის განმავლობაში „სტადიო სან პაოლოს“ ტრიბუნებზე სრული საგიჟეთი იყო, რაც მწვრთნელ-ფეხბურთელებსაც გადაედოთ. მაგალითად, თამაშის დასრულების შემდეგ, **ვალტერ მაცარიმ** და **ანტონიო კონტემ** ცივად ჩაუარეს ერთმანეთს და ხელიც არ ჩამოართვეს, რამაც იტალიურ სპორტულ პრესაში აჟიოტაჟი გამოიწვია.

**ვალტერ მაცარი (ნაპოლი):** *„პირველ ნახევარში უფრო გაგვიჭირდა, მეორეში კი უპირატესობა ვიგდეთ ხელთ და აუცილებლად უნდა გაგვეტანა გამარჯვების გოლი. მომენტები მეტოქეზე მეტი შევქმენით და ვფიქრობ, გამარჯვებასაც ვიმსახურებდით. ბრძოლა გრძელდება, ჩვენ რაღაც ფანტასტიკურს ვაკეთებთ და ეს ფრე განწყობას ვერ გაგვიფუჭებს“.*

**ანტონიო კონტე (იუვენტუსი):** *„პირველ ტაიმში რამდენიმე რეალური საგოლე მომენტი გვქონდა და თამაში ანტრაქტამდე უნდა მოგვემთავრებინა. ამით, დიდ ნაბიჯს გადავდგამდით სკუდეტოსკენ, მაგრამ არც ექვსი ქულაა მცირე უპირატესობა. საკმაოდ კომფორტულად ვართ, მაგრამ ეს მოდუნების უფლებას არ გვაძლებს. მადლობა შეგირდებს, რომლებმაც სრულიად არანორმალურ გარემოში გონება არ დაკარგეს და დავალებები პირნათლად შეასრულეს“.*

არანორმალური გარემო კონტეს პრესკონფერენციის დასრულების შემდეგ ელოდა, როდესაც „იუვენტუსის“ ავტობუსს ნეაპოლელი ულტრასები დაესხნენ და ქვები დაუშინეს. ტიფოზები ვერც კარაბინიერებმა გააჩერეს და შედეგად, ტურინელთა ავტობუსის რამდენიმე მინა ჩაიმსხვრა – ერთ-ერთ ფანჯარასთან **კვადვო ასამოა** იჯდა, რომელმაც ჭრილობა მიიღო და ექიმთა მისახედი გახდა. მოკლედ, ტრადიცია გრძელდება – ნეაპოლში ტურინელებს მშვიდი სტუმრობა არ უწერიათ.

### მილანი ისევ მესამეა

ვერ გეტყვით როგორ ითამაშებდა **მარიო ბალოტელი**, მაგრამ მისი შემცვლელი რომ შესანიშნავად გაისარჯა, ეს ფაქტია. **ჯამპაოლო პაცინიმ** „ლაციოს“ ორი გოლი გაუტანა და მატჩის გმირი გახდა. „მილანმა“ მეტოქეს სამი უპასუხო ბურთი აკმარა, თუმცა მეტიც შეეძლო, რაზეც სტატისტიკური მონაცემები ნათლად მეტყველებს... ერთი კია, არბიტრმა **ნიკოლა რიცოლიმ** წონადი წვლილი შეიტანა ლომბარდიელთა იოლ გამარჯვებაში - მატჩის მე-16 წუთი მიმდინარეობდა, **სტეფან ელ შაარავიმ** თანაგუნდელისგან შესანიშნავი პასი მიიღო და საჯარიმოში შერბოდა, როდესაც **ანტონიო კანდრევამ** მის წინააღმდეგ თამაშის წესი დაარღვია. მილანელები თერთმეტმეტრიანს ამაოდ ითხოვდნენ, როდესაც რიცოლიმ უკანასკნელი იმედის ჯარიმისთვის კანდრევას წითელი ბარათი აუფრიალა. ეს აშკარად მეტისმეტი იყო, რადგან ელ შაარავის გოლის გატანამდე ბევრი აკლდა და არც ანტონიოს უუხეშია განზრახ. მოკლედ, სტარტზევე „ლაციო“ კაცნაკლული დარჩა და ნათელი იყო, რომ „მილანი“ მეტოქეს უქულოდ დატოვებდა.

პირველი გოლი მე-40 წუთზე გავიდა და აქაც, მსაჯმა „გამოიჩინა თავი“ – ჯამპაოლო პაცინის თავური **ფედერიკო მარკეტიმ** აიღო, დამატებაზე კი მცველს უნდა ეთამაშა, როდესაც ელ შაარავი ფეხებში ჩაუვარდა და აშკარა წესების დარღვევით ბურთი ბოატენგს მიუგორა, ამ უკანასკნელს კი გატანა აღარ გასჭირვებია, 1:0. მოკლედ, რიცოლი დაეხმარა „მილანს“ და ამაზე არავინ დავობს, მაგრამ როგორც ასეთ დროს ამბობენ, ფორტუნაც ძლიერს ულიმის...

მსაჯს რომ თავი დავანებოთ, „მილანმა“ საკმაოდ მაღალი დონის ფეხბურთი აჩვენა – აშკარაა, რომ გუნდი უმატებს და გაცილებით მაღალ სისწრაფეებზე თამაშობს, ვიდრე თუნდაც სეზონის პირველ ნახევარში. შედეგად, „როსონერი“ მესამე ადგილზეა და ჩემპიონთა ლიგის მესამე საგზურისთვის ბრძოლაში ფავორიტია. თუმცა, „შავწითლები“ უკვე მეორე ადგილზეც ალაპარაკდნენ და თუ სატურნირო ცხრილს ჩავხედავთ, არც ეს მიზანი უნდა იყოს რეალობას აცდენილი.

### ინტერის ვნებები...

პარასკევს, „ინტერის“ რიგითი ვარჯიშის შემდეგ, **ანტონიო კასანომ** ჩვეულად იხუმრა, რაც **ანდრეა სტრამაჩონის** არ მოეწონა და ფეხბურთელს სერიოზულად მოქცევისკენ მოუწოდა – ამან კასანტა აანთო და მწვრთნელ-ფეხბურთელს შორის ხელჩართული ჩხუბი გაჩაღდა. მართალია, სტრამაჩონი ამბობს, რომ ხელით შეხებას არ ჰქონია ადგილი, მაგრამ ჟურნალისტებმა ისე დეტალურად აღწერეს ყველაფერი და იმდენად დაემთხვა სხვადასხვა გამოცემების სცენარები ერთმანეთს, რომ ამ შემთხვევაში, მწვრთნელს სწორედაც რომ არ დაეჯერება. ჩხუბი იყო და თანაც ისეთი, რომ გაშველებისას თითო **დეიან სტანკოვიჩსა** და **ვალტერ გარგანოსაც** მოხვდათ. შედეგად, კასანო მთავარი გუნდიდან მოკვეთილია, „ნერაძური“ კი სიცილიაზე მის გარეშე ჩავიდა და საოცარი მატჩი მოიგო.

პირველი ტაიმი „კატანიამ“ ორი ბურთის სხვაობით მოიგო და თითქოს ყველაფერი დასრულებული იყო, როდესაც საქმეში **როდრიგო პალასიო** ჩაერთო. არგენტინელმა ინერტული **ტომაზო როკი** შეცვალა და მოედანზე ცეცხლი დაანთო – ჯერ **რიკი ალვარესმა** გაქვითა ერთი ბურთი, შემდეგ კი პალასიომ შეასრულა დუბლი და მილანელებმა უმნიშვნელოვანესი ქულები ჩაიწერეს აქტივში. „ინტერს“ ეს „ქამ ბექი“ ნამდვილად სჭირდებოდა, მაგრამ სჭირდება კასანოც..

გვერდი მოამზადა
**ლაშა წიკლაურმა**



რომა-ჯენოა

**ნაპოლი-იუვენტუსი 1:1**

**გოლები:** 0:1 კიელინი (10), 1:1 ინლერი (43).

**მილანი-ლაციო 3:0**

**გოლები:** 1:0 პაცინი (40), 2:0 ბოატენგი (44), 3:0 პაცინი (60).

**მილანი (4-3-3):** აბიატი – აბატე, საპატა (46. ძაკარდო), იეპესი, დე შილიო - მონტოლივო, ფლამინი, ამბროზინი - ელ შაარავი, ბოატენგი (76. რობინიო), პაცინი (68. ნიანგი).

**ლაციო (4-5-1):** მარკეტი – პერეირინია (46. ცანა), ბიავა, დიასი, რადუ – გონსალესი, ლედესმა, კანდრევა, ერნანესი (71. ედერსონი), ლულიჩი – ფლოკარი (78. საა).

**გაფრთხილება:** იეპესი, ბოატენგი, პაცინი – ბიავა, რადუ.

**გაძევება:** კანდრევა (16. ლაციო).

**კუთხური:** 7-3; **ჯარიმა:** 13-11; **თამაშგარე:** 3-1; **კარში დარტყმა:** 22-7(7-3); **ბურთის ფლობა:** 64%-36%.

**მაყურებელი:** 70 000

**ტორინო-პალერმო 0:0**

**ტორინო (4-4-2):** ჟილე – დარმიანი (80. დამბროზიო), გლიკი, როდრიგესი, მაზიელო – ბრიგი, გაცი, ვივესი (56. სანტანა), ჩერჩი – ბარეტო (72. მეჯორინი), ბიანკი.

**პალერმო (3-4-2-1):** სორენტინო – ფონ ბერგენი, მუნიოსი, გარსია – მორგანელა (84. დიბალა), რიოსი, კურტიჩი, დოსენა – ილიჩიჩი, ფაბრინი (70. ფორმიკა) – ბოზელი (49. მიკოლი).

**გაფრთხილება:** ჩერჩი, ვივესი – ფონ ბერგენი, კურტიჩი.

**კუთხური:** 8-2; **ჯარიმა:** 16-12; **თამაშგარე:** 1-1; **კარში დარტყმა:** 6-11(1-2); **ბურთის ფლობა:** 46%-54%.

**მაყურებელი:** 16 000

**ბოლონია-კალიარი 3:0**

**გოლები:** 1:0 ტაიდერი (5), 2:0 დიამანტი (18), 3:0 პასკუატო (90).

**ბოლონია (4-2-3-1):** კურჩი – კერუბინი, სორენსენი, გარიჩი, მორლეო - პერესი, ტაიდერი – კონე (58. კრისტოდოლოპოლოსი), დიამანტი (76. მოსკარდელი), გაბიადინი (87. პასკუატო) – ჯილარდინო.

**კალიარი (4-3-1-2):** აგაცი – პიზანო, როსეტინი, ასტორი, არიაუდო – ეკდალი (58. კოსუ), კონტი, დესენა – ნაინგოლანი – იბარბო (59. პინილია), საუ (73. ნენე).

**გაფრთხილება:** კონე, დიამანტი – დესენა, კონტი, ნაინგოლანი, საუ, პინილია.

**კუთხური:** 4-6; **ჯარიმა:** 14-16; **თამაშგარე:** 4-2; **კარში დარტყმა:** 15-4(7-1); **ბურთის ფლობა:** 46%-54%.

**მაყურებელი:** 22 000

**კატანია-ინტერი 2:3**

**გოლები:** 1:0 ბერგესიო (7), 2:0 მარკეზე (19), 2:1 ალვარესი (54), 2:2 პალასიო (70), 2:3 პალასიო (90).

**კატანია (4-3-3):** ანდუხარი – ალვარესი, სპოლი, როლინი, მარკეზე - ისკო, ლოდი, ბიაჯანტი (77. ალმირონი) - კასტრო, გომესი, ბერგესიო (85. კანი).

**ინტერი (4-4-1-1):** ჰანდანოვიჩი – ძანეტი, ჟუან ჟესუსი, კივუ, პერეირა - სკელოტო, კუზმანოვიჩი (46. სტანკოვიჩი), გარგანო, ალვარესი – გუარინი (77. კამბიასო) – როკი (46. პალასიო).

**გაფრთხილება:** ალვარესი, როლინი, ბერგესიო, კანი – ჰანდანოვიჩი, სკელოტო.

**კუთხური:** 0-4; **ჯარიმა:** 13-22; **თამაშგარე:** 2-3; **კარში დარტყმა:** 11-14(4-6); **ბურთის ფლობა:** 43%-57%.

**მაყურებელი:** 20 000

**ფიორენტინა-კიევო 2:1**

**გოლები:** 1:0 პასკუალი (4), 1:1 კოფიე (38), 2:1 ლარონდო (78).

**ფიორენტინა (4-3-3):** ვივიანო – ტომოვიჩი, გონსალო, კომპერი, პასკუალი - პისარო, აკვილანი, ბორხა ვალერო – ლიაიჩი (46. რომულო), იოვეტიჩი (64. ლარონდო), ტონი (81. მილიაჩო).

**კიევო (5-3-2):** პუჯონი – ფრეი, დაინელი, ანდრეოლი, აჩერბი (76. კოფიე), იოკიჩი (70. სტოიანი) - ლ. რიგონი, გუანა (68. ლუსიანო), სეიმური – თერეუ, პალოსკი.

**გაფრთხილება:** აკვილანი, პისარო – ლ. რიგონი.

**კუთხური:** 5-3; **ჯარიმა:** 15-8; **თამაშგარე:** 1-3; **კარში დარტყმა:** 22-9(5-1); **ბურთის ფლობა:** 55%-45%.

**მაყურებელი:** 26 000

**პესკარა-უდინეზე 0:1**

**გოლი:** 0:1 დი ნატალე (8).

**პესკარა (5-3-2):** პელიცოლი – ბალცანო (46. ვეისი), კოსიჩი, ბოკეტი, კაპუანო, ძაური - კაშონე, ბლაზი (64. კუინტერო), ბარნასონი - კაპრარი, აბრუსკატო (55. სკული).

**უდინეზე (3-4-2-1):** ბრკიჩი – ერუ, დანილო, დომიცი – პერეირა, ბადუ, ალანი, გაბრიელ სილვა – მურიელი (70. კამპოს ტორო), მაიკოსუელი - დი ნატალე (85. მერკელი).

**გაფრთხილება:** ბარნასონი, სკული - ბრკიჩი.

**კუთხური:** 6-5; **ჯარიმა:** 17-16; **თამაშგარე:** 2-5; **კარში დარტყმა:** 14-9(4-5); **ბურთის ფლობა:** 53%-47%.

**მაყურებელი:** 15 000

**სამპდორია-პარმა 1:0**

**გოლი:** 1:0 იკარდი (58).

**სამპდორია (3-5-2):** რომერო – გასტალდელო, პალომბო, კოსტა - დე სილვესტრი, კრსტიჩიჩი, ობიანგი, პოლი, ესტიგარიბია – ედერი (71. სანსონე), იკარდი.

**პარმა (3-5-3):** მირანტე – ბენალოუანე, ლუკარელი, კოდა (46. მესბა) – როზი, ვალდესი, პაროლო (79. შტრასერი), მარკიონი, გობი (65. ამაური) - ბიაბიანი, სანსონე.

**გაფრთხილება:** გასტალდელო, პალომბო, კრსტიჩიჩი – როზი, ვალდესი, პაროლო, გობი, შტრასერი.

**კუთხური:** 8-3; **ჯარიმა:** 17-15; **თამაშგარე:** 2-4; **კარში დარტყმა:** 9-7(3-2); **ბურთის ფლობა:** 43%-57%.

**მაყურებელი:** 22 000

**სიენა-ატალანტა 0:2**

**გოლები:** 0:1 ბონავენტურა (3), 0:2 ბონავენტურა (68).

**სიენა (3-4-2-1):** პეგოლო – ტეიშეირა, ტერლიცი, ფელიპე – ბელმონტე (47. ბოგდანი), დელა როკა, რუბინი, ბოლცონი – სესტუ (69. აგრა), როზინა – ემეგარა (75. პაოლუჩი).

**ატალანტა (4-4-2):** კონსილი – რაიმონდი, სტენდარდო, ლუკინი, დელ გროსო – ჯორჯი (57. კანინი), ბიონდინი, კარმონა (77. რადოვანოვიჩი), ბონავენტურა – ლივაია (70. ბრიენცა), დენისი.

**გაფრთხილება:** რაიმონდი, კარმონა, კანინი (ატალანტა).

**კუთხური:** 5-6; **ჯარიმა:** 17-15; **თამაშგარე:** 2-2; **კარში დარტყმა:** 7-6(1-2); **ბურთის ფლობა:** 58%-42%.

**მაყურებელი:** 10 000

**რომა-ჯენოა 3:1**

**გოლები:** 1:0 ტოტი (16-პენ.), 1:1 ბორიელო (42-პენ.), 2:1 რომანიოლი (58), 3:1 [illegible] (88).

**რომა (3-4-2-1):** სტეკელენბურგი – პირისი, ბურდისო, რომანიოლი – ტოროსიდისი, პიანიჩი (40. ბრედლი), დე როსი, ბალცარეტი (56. მარკინიო) – ლამელა, ტოტი – ოსვალდო (81. პეროტა).

**ჯენოა (3-5-1-1):** ფრეი – ბოვო, პორტანოვა, მორეტი – პიზანო (72. ხორკერა), კუჩკა, ტოზცერი (62. იმობილე), ვარგასი, ანტონელი – ბერტოლაჩი (72. მ. რიგონი) – ბორიელო.

**გაფრთხილება:** ბურდისო, ლამელა, ტოტი, ბრედლი - ვარგასი.

**გაძევება:** კუჩკა (78. ჯენოა).

**კუთხური:** 5-14; **ჯარიმა:** 17-8; **თამაშგარე:** 4-4; **კარში დარტყმა:** 4-12(3-7); **ბურთის ფლობა:** 50%-50%.

**მაყურებელი:** 40 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. იუვენტუსი | 27 | 18 | 5 | 4 | 54-18 | 59 |
| 2. ნაპოლი | 27 | 15 | 8 | 4 | 47-22 | 53 |
| 3. მილანი | 27 | 14 | 6 | 7 | 47-31 | 48 |
| 4. ინტერი | 27 | 14 | 5 | 8 | 43-35 | 47 |
| 5. ლაციო | 27 | 14 | 5 | 8 | 36-31 | 47 |
| 6. ფიორენტინა | 27 | 13 | 6 | 8 | 48-33 | 45 |
| 7. რომა | 27 | 13 | 4 | 10 | 56-48 | 43 |
| 8. კატანია | 27 | 12 | 6 | 9 | 36-34 | 42 |
| 9. უდინეზე | 27 | 10 | 10 | 7 | 36-34 | 40 |
| 10. სამპდორია | 27 | 10 | 6 | 11 | 34-30 | 35 |
| 11. ბოლონია | 27 | 9 | 5 | 13 | 38-36 | 32 |
| 12. ტორინო | 27 | 7 | 12 | 8 | 32-32 | 32 |
| 13. პარმა | 27 | 8 | 8 | 11 | 32-36 | 32 |
| 14. კალიარი | 27 | 8 | 7 | 12 | 32-47 | 31 |
| 15. ატალანტა | 27 | 9 | 5 | 13 | 26-38 | 30 |
| 16. კიევო | 27 | 8 | 5 | 14 | 27-44 | 29 |
| 17. ჯენოა | 27 | 6 | 8 | 13 | 27-39 | 26 |
| 18. სიენა | 27 | 7 | 6 | 14 | 27-39 | 21 |
| 19. პალერმო | 27 | 3 | 12 | 12 | 22-39 | 21 |
| 20. პესკარა | 27 | 6 | 3 | 18 | 20-54 | 21 |

*შენიშვნა: სიენა - 6 ქულა, ატალანტა – 2, სამპდორია – 1, ტორინო – 1.*

**ბომბარდირები:** 18 - კავანი (ნაპოლი); 16 – ელ შაარავი (მილანი); 15 - დი ნატალე (უდინეზე); 12 – პაცინი (მილანი).

**მომდევნო ტური**

**8 მარტი:** ჯენოა-მილანი

**9 მარტი:** უდინეზე-რომა

**10 მარტი:** ატალანტა-პესკარა, კალიარი-სამპდორია, კიევო-ნაპოლი, იუვენტუსი-კატანია, პალერმო-სიენა, პარმა-ტორინო, ინტერი-ბოლონია, ლაციო-ფიორენტინა.

**სერია B. XXIX ტური**

**ჩეზენა-მოდენა 1:0**

გოლი: 1:0 სუჩი (50).

**ჩიტადელა-ტერნანა 1:0**

გოლი: 1:0 მინესო (12).

**კროტონე-ასკოლი 1:0 (ჩაიშალა)**

გოლი: 1:0 მაიელო (31).

**ემპოლი-ვარეზე 3:1**

გოლები: 1:0 მაკარონე (11), 2:0 მაკარონე (25), 2:1 ძეკინი (65-პენ.), 3:1 სინორელი (89).

**იუვე სტაბია-პრო ვერჩელი 1:1**

გოლები: 0:1 კრისტიანო (32), 1:1 ბრუნო (61-პენ.).

**ნოვარა-რეჯინა 1:1**

გოლები: 1:0 პეშე (39), 1:1 ანტონაცო (90).

**სასუოლო-გროსეტო 0:2**

გოლები: 0:1 პიოვაკარი (48), 0:2 პიოვაკარი (75).

**სპეცია-ლივორნო 1:2**

გოლები: 0:1 ბელინგერი (3), 0:2 ბელინგერი (50), 1:2 ბენედეტი (62).

**ლანჩანო-ბრეშა 0:2**

გოლები: 0:1 კორვია (74), 0:1 კორვია (85).

**4 მარტი**

**ვიჩენცა ბარი 22:00**

**ვერონა-პადოვა 00:00**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სასუოლო | 29 | 20 | 4 | 5 | 59-25 | 64 |
| 2. ლივორნო | 29 | 17 | 6 | 6 | 54-36 | 57 |
| 3. ვერონა | 28 | 15 | 8 | 5 | 41-21 | 53 |
| 4. ემპოლი | 29 | 12 | 10 | 7 | 48-41 | 46 |
| 5. ვარეზე | 29 | 13 | 8 | 8 | 39-35 | 46 |
| 6. პადოვა | 28 | 9 | 12 | 7 | 32-31 | 39 |
| 7. იუვე სტაბია | 29 | 10 | 9 | 10 | 42-41 | 39 |
| 8. ბრეშა | 28 | 8 | 13 | 7 | 35-30 | 37 |
| 9 მოდენა | 28 | 10 | 9 | 9 | 36-33 | 37 |
| 10. ჩიტადელა | 29 | 9 | 9 | 11 | 33-40 | 36 |
| 11. ნოვარა | 29 | 11 | 7 | 11 | 43-31 | 36 |
| 12. ჩეზენა | 28 | 8 | 10 | 10 | 32-45 | 34 |
| 13. ლანჩანო | 29 | 7 | 13 | 9 | 32-41 | 34 |
| 14. ტერნანა | 29 | 8 | 10 | 11 | 27-30 | 34 |
| 15. ასკოლი | 27 | 9 | 7 | 11 | 36-39 | 33 |
| 16. სპეცია | 29 | 8 | 9 | 12 | 38-47 | 33 |
| 17. კროტონე | 28 | 9 | 8 | 11 | 27-35 | 33 |
| 18. რეჯინა | 29 | 7 | 12 | 10 | 27-35 | 31 |
| 19. ვიჩენცა | 28 | 6 | 10 | 12 | 31-39 | 28 |
| 20. ბარი | 28 | 8 | 9 | 11 | 33-33 | 26 |
| 21. პრო ვერჩელი | 29 | 5 | 7 | 17 | 23-47 | 22 |
| 22. გროსეტო | 29 | 5 | 10 | 14 | 32-45 | 19 |

*შენიშვნა: ბარი – 7 ქულა, გროსეტო – 6, ნოვარა – 4, რეჯინა – 2, მოდენა – 2, კროტონე — 2, ემპოლი – 1, ასკოლი – 1, ვარეზე – 1 ქულა.*

**ბომბარდირები:** 18 — სანსოვინი (სპეცია); 16 – არდემანი (მოდენა); 15 — კაჩა (ვერონა)

**სერია C1/A**

ალბინოლეფე-რეჯანა 3:0, კრემონეზე-ენტელა 1:1, ფერალპიზალო-ტრიტიუმი 1:0, ლუმეცანე-კარპი 1:1, პავია-კომო 2:1, პორტოგრუარო-კუნეო 1:0, სუდტიროლი-ტრევიზო 2:1, ლეჩე-ტრაპანი 4 მარტს.

**სერია C1/B**

ვიარეჯო-სორენტო 2:1, ანდრია-ბენევენტო 1:1, ბარლეტა-გუბიო 1:2, ფროზინონე-ლატინა 2:1, ნოჩერინა-კატანძარო 1:1, პერუჯა-აველინო 1:1, პიზა-პაგანეზე 0:0, პრატო-კარარეზე 2:1.

## საფრანგეთი. ლიგა 1. XXVII ტური.



ალექსი და იბრაჰიმოვიჩი

# პარი სენ-ჟერმენი შერცხვა

## ჩემპიონატის მთავარმა ფავორიტმა კაცნაკლულ რეიმსთან წააგო

**მონპელიე-რენი 2:0**

**გოლები:** 1:0 ილტონი (75), 2:0 ს. კამარა (86).

**რეიმსი-პსჟ 1:0**

**გოლი:** 1:0 კრიხოვიაკი (64).
**გაძევება:** გლომბარი (60. რეიმსი).

**სტ. ეტიენი-ნიცა 4:0**

**გოლები:** 1:0 ობამეიანი (7-პენ), 2:0 ბრანდაო (60), 3:0 მოლო (70), 4:0 ბრანდაო (75).
**გაძევება:** ეისერიკი (24. ნიცა).

**ლორიანი-ვალანსიენი 1:1**

**გოლები:** 1:0 მონე-პაკე (4), 1:1 დანიკი (80-პენ).

**სოშო-ნანსი 1:2**

**გოლები:** 0:1 მუკანჯო (7-პენ), 0:2 ზიტე (40), 1:2 პრივატი (90).

**ბასტია-აიაჩო 1:0**

**გოლი:** 1:0 ტ. მაულიდა (47).
**გაძევება:** შალმე (80. აიაჩო), ოლიეჩი (90. აიაჩო), როტენი (90. ბასტია), ტოვენი (90. ბასტია), ანდრე (90. აიაჩო).

**ტულუზი-ევიანი 0:0**

**ბრესტი-ლიონი 1:1**

**გოლები:** 1:0 შაფნი (8), 1:1 მაკონდა (53-საკ. კარში).

**მარსელი-ტრუა 2:1**

**გოლი:** 0:1 მარკოსი (71), 1:1 ნკულუ (81), 2:1 ჟინიაკი (82).

**ლილი-ბორდო 2:1**

**გოლი:** 0:1 პლაშილი (31-პენ), 1:1 როდელინი (59), 2:1 კალუ (72).

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. პსჟ | 27 | 16 | 6 | 5 | 49-17 | 54 |
| 2. ლიონი | 27 | 15 | 7 | 5 | 47-26 | 52 |
| 3. მარსელი | 27 | 15 | 4 | 8 | 34-32 | 49 |
| 4. სტ. ეტიენი | 27 | 13 | 8 | 6 | 44-19 | 47 |
| 5. ნიცა | 27 | 12 | 9 | 6 | 39-32 | 45 |
| 6. მონპელიე | 27 | 13 | 5 | 9 | 43-32 | 44 |
| 7. ლილი | 27 | 11 | 10 | 6 | 37-27 | 43 |
| 8. რენი | 27 | 12 | 5 | 10 | 39-36 | 41 |
| 9. ლორიანი | 27 | 10 | 10 | 7 | 43-43 | 40 |
| 10. ბორდო | 27 | 9 | 11 | 7 | 27- 24 | 38 |
| 11. ვალანსიენი | 27 | 9 | 8 | 10 | 35-37 | 35 |
| 12. ტულუზი | 27 | 8 | 10 | 9 | 32-32 | 34 |
| 13. ბასტია | 27 | 8 | 6 | 13 | 30-51 | 30 |
| 14. აიაჩო | 27 | 7 | 10 | 10 | 29-37 | 29 |
| 15. ბრესტი | 27 | 8 | 5 | 14 | 28-37 | 29 |
| 16. რეიმსი | 27 | 6 | 9 | 12 | 23-31 | 27 |
| 17. სოშო | 27 | 7 | 6 | 14 | 28-40 | 27 |
| 18. ევიანი | 27 | 5 | 9 | 13 | 25-39 | 24 |
| 19. ნანსი | 27 | 4 | 9 | 14 | 24-45 | 21 |
| 20. ტრუა | 27 | 3 | 11 | 13 | 29-48 | 20 |

შენიშვნა: „აიაჩოს" – 2 ქულა

**ბომბარდირები:** 22 – იბრაჰიმოვიჩი (პარი სენ ჟერმენი); 15 – ობამეიანი (სენტ ეტიენი); 12 – ცვიტანიჩი (ნიცა), გომისი (ლიონი); 11 – ალიადიერი (ლორიანი)

27-ე ტურის მთავარი მოვლენა, რა თქმა უნდა, „პარი სენ-ჟერმენის" მარცხია. პარიზელებმა, 10-კაციან „რეიმსს" ვერაფერი მოუხერხეს და შინ უქულოდ გაბრუნდნენ. მიუხედავად იმისა, რომ **კარლო ანჩელოტიმ** მინდორზე ძირითადი შემადგენლობა გამოიყვანა, ფავორიტი აუტსაიდერს ბევრი ვერაფრით სჯობდა. უპირატესობას სტუმრები ფლობდნენ, მაგრამ პარიზელებს ბევრი საგოლე მომენტი ნამდვილად არ შეუქმნიათ. ყველაზე რეალური შანსი **ესეკილ ლავეცის** ჰქონდა, არგენტინელმა „რეიმსის" მეკარე **კოსი აგასას** ვერ აჯობა. მეორე ტაიმში, **კრისტოფ გლომბარის** გაძევების შემდეგ, როდესაც ყველა პსჟ-ს გოლის მოლოდინში იყო, ანგარიში მასპინძლებმა გახსნეს – გოლი შეხვედრის საუკეთესო ფეხბურთელმა, პოლონეთის ნაკრების წევრმა **გჟეგოშ კრიხოვიაკმა** გაიტანა.

„რეიმსს" საკუთარ მოედანზე ოქტომბრის შემდეგ არ ემარჯვა და საერთოდ, ბოლო 18 შეხვედრაში მხოლოდ 1 მოგება (!) ჰქონდა, ისიც სტუმრად „ნანსისთან". ოქტომბრის შემდეგ 1 მოგება, 7 ფრე და 10 წაგება – აი, ასეთ გუნდთან დამარცხდა პსჟ, რომელსაც ვერც ცვლილებაზე შემოსულმა **დევიდ ბექჰემმა** უშველა.

*„მატჩის მოგების საკმაოდ კარგი შანსები გვქონდა. ლავეცის ეპიზოდის გარდა, იბრამ გოლიც გაიტანა, მაგრამ არბიტრებმა საეჭვო თამაშგარე დააფიქსირეს. ეს მატჩი „სოშოსთან" გამართულ შეხვედრას ნამდვილად არ ჰგავდა, რადგან დღეს ჩვენ კონცენტრაციის ან მეტოქის დაუფასებლობის მხრივ პრობლემები არ გვქონია, უბრალოდ მოედნის საფარი იმდენაც ცუდ მდგომარეობაში იყო, რომ განსხვავებული სტილით, გრძელი პასებით მოგვიწია თამაშმა, რაც გახდა კიდევ ცუდი ასპარეზობის მიზეზი. საბოლოო ჯამში, ფეხბურთელებს ნამდვილად ვერ გავუბრაზდები, რადგან დღეს ჩვენ, ასე ვთქვათ, ტექნიკური სახის პრობლემა გვქონდა,"* – განაცხადა მატჩის შემდეგ **კარლო ანჩელოტიმ**.

კონკურენტის წაბორძიკებით ვერ ისარგებლა „ლიონმა", ვინც სტუმრად „ბრესტს" ვერ მოუგო. ანგარიში მასპინძლებმა ძალიან სწრაფად, მე-8 წუთზე გახსნეს – თავი **კამელ შაფნიმ** გამოიჩინა. მასპინძლები ცუდად არც ამის შემდეგ გამოიყურებოდნენ, მაგრამ „ლიონმა" ნელ-ნელა მოუმატა და უპირატესობას დაეუფლა. მეორე ნახევრის დასაწყისში, **ლისანდრო ლოპესის** აქტიურობის შემდეგ, ბურთი **ტრიპი მაკონდას** მოხვდა და მასპინძელთა კარში აღმოჩნდა. შეხვედრის ბოლო 10 წუთში ჯერ **მალბრანკს**, შემდეგ კი **გომისს** გამარჯვების მომტანი გოლის გატანა შეეძლოთ, მაგრამ მასპინძლები გადარჩნენ. მოკლედ, **რემი გარდის** გუნდმა პსჟ-ს დაწევის შესანიშნავი შანსი გაუშვა ხელიდან და ახლა პარიზელებს ორი ქულით ჩამორჩება.

ბოლო დროს კარგ ფორმაში მყოფი ორი გუნდი შეხვდა ერთმანეთს „ჟოფრუა გიშარზე". „სენტ ეტიენმა" ფავორიტის სტატუსი დაამტკიცა და „ნიცა" მიწასთან გაასწორა. მართალია, ბოლო დროს **კლოდ პუელის** გუნდიც კარგად ასპარეზობდა, მაგრამ სტუმრებს ამ შეხვედრაში სამი ლიდერი: **დარიო ცვიტანიჩი, ჟერემი პიე** (ტრამვების გამო) და **ფაბრის აბრიელი** (დისკვალიფიკაცია) არ ჰყავდათ. გასაკვირი სულაც არ არის, რომ მასპინძლებმა ანგარიში ძალიან მალე, მე-7 წუთზე გახსნეს – გოლი პენალტით **პიერ-ემერიკ ობამეიანმა** გაიტანა, რომელიც მოედანს უგოლოდ უკვე 7 მატჩია (ყველა ტურნირზე) არ ტოვებს.

შეხვედრის გადამწყვეტი მომენტი 24-ე წუთზე დადგა: **ვალენტინ ეისერიკმა ჟერემი კლემანის** წინააღმდეგ იუხეშა და წითელი ბარათი მიიღო, კლემანმა კი ფეხი მოიტეხა, რის გამოც გუნდს სეზონის ბოლომდე ვერ დაეხმარება. მასპინძელთა მწვრთნელმა **კრისტოფ გალტიემ** შეხვედრის შემდეგ თქვა, რომ ერჩივნა ეს მატჩი წაეგო, ოღონდ კლემანს ასეთი მძიმე ტრავმა არ მიეღო. მეორე ტაიმში, მასპინძლებმა 10-კაციან „ნიცას" კიდევ სამი გოლი გაუტანეს – ერთი ბურთი **იოან მოლომ** გაიტანა, დუბლი კი **ბრანდაომ** შეასრულა. საბოლოოდ, 4:0 და „სენტ ეტიენი" დროებით მესამე ადგილზე გადავიდა. „მწვანეებმა" ბოლო 7 შეხვედრაში 19 ქულა მოაგროვეს, რაც ლიგა 1-ში საუკეთესო შედეგია.

საოცარი მატჩი მოიგო „მარსელმა", რომელიც ბოლოადგილოსან „ტრუას" მასპინძლობდა და 81-ე წუთამდე მარცხდებოდა. ფავორიტმა მატჩი სათავისოდ 2-წუთიან მონაკვეთში შემოაბრუნა - ჯერ **ნკულუმ**, შემდეგ კი **ჟინიაკმა იოან ტურამის** კარი აილეს და „ოლიმპიკი" მესამე ადგილზე დააბრუნეს.

რამდენიმე სიტყვა კორსიკულ დერბიზეც უნდა ვთქვათ. მასპინძლებმა **ტეოფილი მაულიდას** გოლის წყალობით 1:0 მოიგეს და თანაკუნძულელთან დაუმარცხებელი სერია 6-მდე გაზარდეს. მატჩის მთავარი მოვლენები კი არბიტრის მიერ დამატებულ დროში განვითარდა. იქამდე, მე-80 წუთზე, წითელი ბარათი **მატიო შალმემ** მიიღო, რომელმაც ყოფილი თანაგუნდელი („ბორდოში") **ანტონი მოდესტი** წააქცია და მეორე ყვითელი დაიმსახურა. 93-ე წუთზე **დენის ოლიეჩმა**, რომელიც ბურთს მისდევდა, გაჩერება არ ინება და კარიდან გამოსულ **მიკელ ლანდროს** გაშლილი ფეხი ჩაარტყა. კენიელმა, რა თქმა უნდა, წითელი ბარათი მიიღო, მაგრამ ამ ეპიზოდს ფეხბურთელებს შორის ჩხუბი მოჰყვა, რაც კიდევ 3 წითელ ბარათში გადაიზარდა (**ჟერომ როტენი** და **ფლორიან ტოვენი** „ბასტიადან", **ბენჟამინ ანდრე** „აიაჩოდან"). მოკლედ, თამაში ისეთი გამოდგა, როგორიც დერბის ეკადრება.

**ტატო ბაციკაძე**

## ჰოლანდია. ერედივიზიე. XXV ტური

**ვიტესი-უტრეხტი 2:0**

**გოლები:** 1:0 ჰავენაარი (15), 2:0 ბონი (56).

**ბრედა-ჰერენვენი 1:2**

**გოლები:** 1:0 გუდელი (49), 1:1 ფინბოგასონი (82), 1:2 ფინბოგასონი (85).

**ზვოლე-ვილემ II 2:0**

**გოლები:** 1:0 ვალპოორტი (56), 2:0 კლიხი (60).

**პსვ-ვენლო 2:0**

**გოლები:** 1:0 დეპეი (3), 2:0 ვან ბომელი (90).

**ტვენტე-აიაქსი 0:2**

**გოლები:** 0:1 მოისანდერი (4), 0:2 ალდერვეირელდი (35).

**ნაიმეგენი-ფეიენოორდი 0:3**

**გოლები:** 0:1 ბოეტიუსი (11), 0:2 პელე (42), 0:3 ბოეტიუსი (83).

**ვაალვაიკი-ალკმაარი 2:1**

**გოლები:** 1:0 ლიდერი (39), 1:1 ალტიდორი (69), 2:1 ლიდერი (76).

**როდა-გრონინგენი 4:1**

**გოლები:** 1:0 დემუგი (1), 1:1 ტეშეირა (7), 2:1 ჰუპერტსი (29), 3:1 დემუგი (41), 4:1 მალკი (48)

**დენ ჰააგი-ჰერაკლესი 3:1**

**გოლები:** 1:0 ვან დუინენი (65), 1:1 ქასტილიონი (76), 2:1 ვან დუინენი (81), 3:1 ჩერი (87).

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. პსვ | 25 | 17 | 2 | 6 | 80-27 | 53 |
| 2. აიაქსი | 25 | 14 | 9 | 2 | 56-25 | 51 |
| 3. ფეიენოორდი | 25 | 15 | 5 | 5 | 50-32 | 50 |
| 4. ვიტესი | 25 | 14 | 6 | 5 | 50-31 | 48 |
| 5. ტვენტე | 25 | 12 | 8 | 5 | 40-24 | 44 |
| 6. უტრეხტი | 25 | 12 | 6 | 7 | 38-29 | 42 |
| 7. ნაიმეგენი | 25 | 10 | 6 | 9 | 35-41 | 36 |
| 8. დენ ჰააგი | 25 | 8 | 11 | 6 | 41-43 | 35 |
| 9. ჰერენვენი | 25 | 7 | 8 | 10 | 36-46 | 29 |
| 10. გრონინგენი | 25 | 8 | 5 | 12 | 24-39 | 29 |
| 11. ჰერაკლესი | 25 | 6 | 10 | 9 | 49-53 | 28 |
| 12. ბრედა | 25 | 7 | 6 | 12 | 27-42 | 27 |
| 13. ვაალვაიკი | 25 | 6 | 8 | 11 | 27-33 | 26 |
| 14. ზვოლე | 25 | 6 | 8 | 11 | 27-38 | 26 |
| 15. ალკმაარი | 25 | 6 | 7 | 12 | 35-43 | 25 |
| 16. როდა | 25 | 5 | 10 | 10 | 36-50 | 25 |
| 17. ვენლო | 25 | 5 | 7 | 13 | 28-51 | 22 |
| 18. ვილემ II | 25 | 2 | 8 | 15 | 23-55 | 14 |

**ბომბარდირები:** 23 – ბონი (ვიტესი); 19 – ფინბოგასონი (ჰერენვენი), პელე (ფეიენოორდი); 17 – ალტიდორი (ალკმაარი); 13 – ვეინალდუმი (პსვ ეინდჰოვენი); 12 – მერტენსი (პსვ ეინდჰოვენი).

**ტატო ბაციკაძე**

## არსენალი

# არსენალი არ იყიდება

გუშინ ინგლისურ მასმედიას მთავარი საწერი თემა „არსენალის" შესაძლო გაყიდვა ჰქონდა. გავრცელდა ინფორმაცია, რომ არაბეთის გაერთიანებული საამიროებისა და ყატარის წარმომადგენელთა მიერ დაარსებული ბიზნესკონსორციუმი მზად იყო, ჩრდილოლონდონურ კლუბში 1,5 მილიარდი ფუნტი (1,73 მილიარდი ევრო) გადაეხადა. როგორც ჩანს, საქმეს ადგილიდან დაძვრა არ უწერია. აქციათა საკონტროლო პაკეტის მფლობელი, ამერიკელი მილიარდერი **სტენ კროენკე** წილის დათმობაზე უარს აცხადებსო, იუწყება „მეთოფვეთა" პრესსამსახური.

**ლევან ბიბილაშვილი**



სტენ კროენკე



# უცხოური ფეხბურთი

## ინგლისი

### კონფერენსი

XXXVIII ტური

ბაროუ-ტამუორტი 2:0
კემბრიჯი-ფორესტ გრინი 0:0
გეიტსჰედი-ბრენტრი 1:2
ჰერეფორდი-ნანიტონი 0:0
ჰაიდი-ნიუპორტი 0:1
კიდერმინსტერი-ებსფლიტი 3:2
მენსფილდი-ტელფორდი 1:0
საუთპორტი-დარტფორდი 2:2
სტოკპორტი-ლუტონი 0:1
უოკინგი-ლინკოლნი 1:1
რექსემი-ალფრეტონი 1:1

## გერმანია

### რეგიონალლიგა (ჩრ)

XXIV ტური

კლოპენბურგი-ობერნოილანდი 5:1
ვილჰელმსჰავენი-კილი 0:0
ჰანოვერი II-ჰაიხი 2:2
სტ. პაული II-ვოლფსბურგი II 1:2
რედენი-გოსლარერი 2:2
ნოიმიუნსტერი-ჰამბურგი II 2:0
ოლდენბურგი-მეპენი 1:1
ჰაველსე-ვიქტორია 7:0

### რეგიონალლიგა (ჩ-ა)

XIX ტური

ლაიფციგი-რატენოვი 2:1
კოტბუსი II-ლოკ ლაიფციგი 1:1
ჰერტა II-აუერბახი 2:0

### რეგიონალლიგა (დას)

XXVI ტური

ბოხუმი II-შალკე II 1:1
დუისბურგი II-ვიქტორია 3:0
გლადბახი II-ვიდენბრუკი 0:3
ესენი-ბერგიში 4:1
ლოტე-ლევერკუზენი II 3:2
ზიგენი-პულსი 2:1
ფერლი-ფორტუნა 0:2
უუპერტალერი-კრაი 2:1
კიოლნი II-ობერჰაუზენი 2:3
ფელბერტი-ფორტუნა II 0:1

### რეგიონალლიგა (ს-დ)

XXIV ტური

ტრირი-ფრანკფურტი II 0:1
ჰოფენჰაიმი II-ვორმატია 2:0
მაინცი II-ეხბორნი 2:3
ფრაიბურგი II-ჰომბურგი 1:1

### რეგიონალლიგა (ბაიერნი)

XXVI ტური

ნიურნბერგი II-ფრონლახი 3:0

## საფრანგეთი

### II დივიზიონი

XXVII ტური

დიჟონი-ნიორი 1:1
გფკო აიაჩო-მონაკო 0:1
ჰავრი-შატორუ 1:0
არლი-ოსერი 2:1
ისტრი-სედანი 1:0
ლავალი-კლერმონი 1:1
ლე მანი-ანჟერსი 0:2
ტური-კაენი 1:1
გინგამი-ნიმი 3:0
ლანსი-ნანტი დღეს

### ნასიონალი

XXVI ტური

ბურჟი-ორლეანი 1:0
ამიენი-ბულონი 0:2
კარკეფუ-შერბური 2:0
კრეტეი-კევილი 3:0
რედ სტარი-პარიზი 2:0
პონ დე ბარი-ლუზენაკი 1:1
ფრეჟუსი-ვანი 2:1
კოლმარი-ბასტია 0:1
რუანი-ლე პუარი 1:1
ეპინალი-მეცი 1:0

## ბელგია

გადადებული მატჩი

შარლერუა-ვარეგემი 0:1

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ანდერლეხტი | 28 | 19 | 6 | 3 | 67-26 | 63 |
| 2. ვარეგემი | 28 | 18 | 6 | 4 | 45-25 | 60 |
| 3. გენკი | 28 | 13 | 10 | 5 | 55-37 | 49 |
| 4. ბრიუგე | 28 | 13 | 9 | 6 | 61-42 | 48 |
| 5. სტანდარდი | 28 | 14 | 5 | 9 | 50-31 | 47 |
| 6. ლოკერენი | 28 | 13 | 8 | 7 | 50-37 | 47 |
| 7. მეხელენი | 28 | 12 | 5 | 11 | 42-38 | 41 |
| 8. მონსი | 28 | 12 | 5 | 11 | 44-47 | 41 |
| 9. კორტრეიკი | 28 | 11 | 5 | 12 | 31-29 | 38 |
| 10. ბევერენი | 28 | 8 | 11 | 9 | 46-47 | 35 |
| 11. გენტი | 28 | 8 | 9 | 11 | 30-36 | 33 |
| 12. შარლერუა | 28 | 9 | 3 | 16 | 26-48 | 30 |
| 13. ვაასლანდი | 28 | 6 | 9 | 13 | 25-44 | 27 |
| 14. ლიერსი | 28 | 4 | 11 | 13 | 27-50 | 23 |
| 15. ბეერსხოტი | 28 | 5 | 5 | 18 | 26-57 | 20 |
| 16. სერკლი | 28 | 3 | 5 | 20 | 28-59 | 14 |

### II დივიზიონი

XXVII ტური

ვესტერლო-ბორინაჟი 2:0; ანტვერპენი-ეუპენი 1:0; რუზელარე-ტუბიზე 3:0; სტ. ნიკლაასი-დესელი 0:2; სტ. ტრუიდენი-ბრიუსელი 1:0; აალსტი-ლომელი 0:2; უდენაარდე-მუსკრონი 0:1; ოსტენდე-ვიზე 4:1; ვოლუვე-ჰაისტი 1:0.

## ჩრ. ირლანდია

გადადებული მატჩი

ბალიმენა-დონეგალი 2:2

## ბელგიის თასი

### 1/2 ფინალი

I მატჩი

კორტრეიკი-სერკლი 1:2

II მატჩი

გენკი-ანდერლეხტი 1:0 პენ. 7:6 (0:1)

## პორტუგალია

### II დივიზიონი

XXX ტური

ბენფიკა B-პორტიმონენსე 1:1
პორტუ B-სპორტინგი B 1:0
აროუკა-მარიტიმუ B 3:1
ბელენენსეში-ავეში 1:0
ფეირენსე-ოლივეირენსე 1:2
ტროფენსე-ატლეტიკო 3:2
ბრაგა B-პენაფიელი 3:1
ფრეამუნდე-კოვილია 1:1
სტ. კლარა-გიმარაეში B 1:0
უნიაო-ტონდელა გადაიდო

## შოტლანდია

გადადებული მატჩები

ჰარტსი-მაზერველი 1:2
როსი-ინვერნესი 0:0

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სელტიკი | 29 | 19 | 5 | 5 | 68-23 | 62 |
| 2. მაზერველი | 29 | 13 | 7 | 9 | 47-40 | 46 |
| 3. ინვერნესი | 29 | 10 | 13 | 6 | 53-46 | 43 |
| 4. როსი | 29 | 10 | 12 | 7 | 36-34 | 42 |
| 5. სტ. ჯონსტონი | 29 | 10 | 11 | 8 | 36-35 | 41 |
| 6. ჰიბერნიანი | 29 | 10 | 9 | 10 | 38-38 | 39 |
| 7. კილმარნოკი | 29 | 9 | 11 | 9 | 44-38 | 38 |
| 8. დანდი იუნ | 29 | 9 | 11 | 9 | 45-50 | 38 |
| 9. აბერდინი | 29 | 9 | 10 | 10 | 33-36 | 37 |
| 10. სტ. მირენი | 28 | 8 | 8 | 12 | 35-45 | 32 |
| 11. ჰარტსი | 29 | 7 | 9 | 13 | 28-41 | 30 |
| 12. დანდი | 28 | 3 | 6 | 19 | 16-53 | 15 |

### I დივიზიონი

XXVI ტური

დამბარტონი-კოუდენბითი 2:2; დანფერმლაინი-პარტიკი 0:4; ლივინგსტონი-ეირდრი 4:1.

### II დივიზიონი

XXVII ტური

ალბიონი-ალოა 1:5; არბროა-ეირი 1:4; ისტ ფაიფი-ქუინი 2:3; ფორფარი-სტრანრარი 3:1; სტენჰაუზმური-ბრეჩინი 3:3.

### III დივიზიონი

XXVII ტური

ანენი-ბერუიკი 2:2; კლაიდი-პიტერჰედი 2:0; ელჯინი-სტირლინგი 1:2; ქუინზ პარკი-მონროუზი 1:2; რეინჯერსი-ისტ სტირლინგი 3:1.

## შოტლანდიის თასი

### 1/4 ფინალი

სტ. მირენი-სელტიკი 1:2
ჰემილტონი-ფალკირკი 1:2
დანდი-დანდი იუნ 1:2
კილმარნოკი-ჰიბერნიანი 2:4

## ავსტრია

XXIV ტური

შტურმი-ადმირა 1:2
ზალცბურგი-ვიენერი 3:1
აუსტრია-ტიროლი 4:0
მატერსბურგი-რიდი 1:0
ვოლფსი-რაპიდი 2:1

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. აუსტრია | 24 | 19 | 3 | 2 | 61-18 | 60 |
| 2. ზალცბურგი | 22 | 13 | 6 | 3 | 53-24 | 45 |
| 3. რაპიდი | 24 | 12 | 4 | 8 | 38-24 | 40 |
| 4. შტურმი | 24 | 10 | 7 | 7 | 34-31 | 37 |
| 5. რიდი | 24 | 9 | 4 | 11 | 40-36 | 31 |
| 6. ვოლფსი | 22 | 7 | 7 | 8 | 33-35 | 28 |
| 7. მატერსბურგი | 23 | 7 | 4 | 12 | 24-46 | 25 |
| 8. ტიროლი | 24 | 7 | 1 | 16 | 19-47 | 22 |
| 9. ადმირა | 23 | 5 | 5 | 13 | 34-49 | 20 |
| 10. ვიენერი | 24 | 5 | 5 | 14 | 18-44 | 20 |

## კვიპროსი

XXIII ტური

ნეა სალამისი-დოქსა 0:1
ეთნიკოსი-ანორთოსისი 2:2
ომონია-აპოლონი 2:1
აელ-აეპ 4:0
აიია-ენოსისი 1:4
აეკ-აპოელ 0:1
ოლიმპიაკოსი-ალკი 2:2

## დანია

XXI ტური

სილკებორგი-ოლბორგი 3:2
მიდტიულანდი-სონდერიისკი 1:0
ნორდშილანდი-ჰორსენსი 1:0
ბრონდბიუ-რანდერსი 0:2
ოდენსე-კოპენჰაგენი 2:3
ესბერგი-აგფ ორჰუსი დღეს

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. კოპენჰაგენი | 21 | 15 | 5 | 1 | 49-19 | 50 |
| 2. ნორდშილანდ | 21 | 11 | 5 | 5 | 38-21 | 38 |
| 3. რანდერსი | 21 | 10 | 4 | 7 | 27-31 | 34 |
| 4. ოლბორგი | 20 | 10 | 2 | 8 | 35-27 | 32 |
| 5. ოდენსე | 20 | 9 | 4 | 7 | 35-28 | 31 |
| 6. აგფ ორჰუსი | 20 | 8 | 6 | 6 | 35-27 | 30 |
| 7. მიდტიულანდ | 21 | 6 | 7 | 8 | 28-32 | 25 |
| 8. ჰორსენსი | 21 | 5 | 8 | 8 | 19-30 | 23 |
| 9. სონდერიისკი | 21 | 6 | 3 | 12 | 29-42 | 21 |
| 10. სილკებორგი | 21 | 6 | 3 | 12 | 25-44 | 21 |
| 11. ესბერგი | 20 | 4 | 7 | 9 | 18-24 | 19 |
| 12. ბრონდბიუ | 21 | 3 | 8 | 10 | 21-34 | 17 |

## ფინეთი

### ლიგის თასი

მიუპა-ჰიკ 1:0
იარო-როვანიემი 1:3

## საბერძნეთი

XXIV ტური

კერკირა-პლატანიასი 2:1
პანთრაკიკოსი-ატრომიტოსი 0:1
ოფი-ოლიმპიაკოსი 0:4
ლევადია-ქსანთი 1:4
პაოკ-პანიონიოსი 4:2
იანინა-ასტერასი 1:2
აეკ-პანათინაიკოსი 0:2
ვერია-არისი დღეს

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ოლიმპიაკოსი | 24 | 20 | 3 | 1 | 53-14 | 63 |
| 2. ასტერასი | 24 | 14 | 5 | 5 | 34-16 | 47 |
| 3. პაოკ | 24 | 13 | 7 | 4 | 37-18 | 46 |
| 4. ატრომიტოსი | 24 | 10 | 11 | 3 | 23-16 | 41 |
| 5. პანათინაიკოს | 24 | 8 | 10 | 6 | 27-24 | 32 |
| 6. იანინა | 24 | 8 | 8 | 8 | 21-20 | 32 |
| 7. ქსანთი | 24 | 8 | 7 | 9 | 22-22 | 31 |
| 8. ლევადია | 24 | 8 | 5 | 11 | 18-26 | 29 |
| 9. პანიონიოსი | 24 | 9 | 1 | 14 | 27-34 | 28 |
| 10. პლატანიასი | 24 | 7 | 6 | 11 | 23-30 | 27 |
| 11. პანთრაკიკოს | 24 | 7 | 5 | 12 | 22-28 | 26 |
| 12. აეკ | 24 | 7 | 5 | 12 | 19-26 | 26 |
| 13. ოფი | 24 | 7 | 5 | 12 | 26-37 | 26 |
| 14. ვერია | 23 | 5 | 8 | 10 | 17-27 | 23 |
| 15. არისი | 23 | 4 | 10 | 9 | 21-34 | 22 |
| 16. კერკირა | 24 | 4 | 8 | 12 | 14-32 | 20 |

### II დივიზიონი

XXV ტური

ანაგენისი (ე)-პანსერაიკოსი 0:0; ანაგენისი (ი)-კალითეა 0:0; დოქსა-ირაკლისი (პ) 1:1; ეთნიკოსი-ვიცასი 0:1; ირაკლისი (ს)-ნიკი ვოლუ 0:0; კალონი-ტრასივულოსი 3:0; კავალა-პანახაიკი 2:1; პანაიტოლიკოსი-ფოკიკოსი 1:0; ოლიმპიაკოსი (ვ)-ლარისა 0:0; აპოლონი-ერგოტელისი დღეს.

## შვედეთის თასი

ელფსბორგი-ლიუნგსკილე 5:1
სირიუსი-გაის 0:2
ჰაკენი-ფალკენბერგი 1:2
ერებრო-ვარნამო 2:0
მალმიო-ოსტერი 1:1
ფრეი-სუნდსვალი 2:1
აიკ-ჰალმსტადი 1:2
იორგრიტე-სირიანსკა 2:1
ნორჩოპინგი-ლანდსკრონა 0:0
მიალბიუ-ანგელჰოლმი 1:1
გეფლე-ვარბერგსი 3:2
ჰელსინგბორგი-ასირისკა 1:1
გიოტებორგი-ბრაგე 2:0
ნიკოპინგი-კალმარი 2:1
ატვიდაბერგი-იონჩოპინგი 3:1
იურგორდენი-უმეა 3:0

## შვეიცარია

XXII ტური

ლუცერნი-თუნი 0:0
ციურიხი-სიონი 3:1
სერვეტი-ბაზელი 1:2
იანგ ბოიზი-სტ. გალენი 2:0
ლოზანა-გრასჰოპერსი 0:0

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. გრასჰოპერსი | 22 | 13 | 6 | 3 | 26-17 | 45 |
| 2. ბაზელი | 22 | 12 | 7 | 3 | 39-20 | 43 |
| 3. სტ. გალენი | 21 | 10 | 6 | 5 | 26-16 | 36 |
| 4. სიონი | 22 | 10 | 5 | 7 | 29-30 | 35 |
| 5. იანგ ბოიზი | 22 | 8 | 6 | 8 | 33-29 | 30 |
| 6. ციურიხი | 22 | 7 | 6 | 9 | 29-27 | 27 |
| 7. თუნი | 21 | 6 | 5 | 10 | 24-29 | 23 |
| 8. ლოზანა | 22 | 5 | 7 | 10 | 17-25 | 22 |
| 9. ლუცერნი | 22 | 4 | 8 | 10 | 21-32 | 20 |
| 10. სერვეტი | 22 | 3 | 6 | 13 | 16-35 | 15 |

### ჩელენჯლიგა

XXII ტური

ბელინცონა-ლოკარნო 0:0; ვილი-ვადუცი 2:3; ბილი-ლუგანო 0:1; კიასო-ვოლენი 0:3; არაუ-ვინტერტური დღეს.

## თურქეთი

### II დივიზიონი

XXIV ტური

ადანა დემირი-ქარსიაკა 0:2
რიზე-ქართალი 3:0
1461 ტრაბზონი-შანლიურფა 1:0
ბბ გაზიანთეფი-მანისა 0:1
თავშანლი-ადანა 0:0
ბუკა-ანკარაგუჯუ 0:0
სამსუნი-ქონია 1:1
ბოლუ-დენიზლი 1:1

## ბოსნია

XVI ტური

ჩელიკი-სარაევო 3:2
ზვიეზდა-ბორაცი 1:1
რადნიკი-ველეჟი 2:1
რუდარი-ოლიმპიკი 1:2
ჟელეზნიჩარი-ტრავნიკი 2:0
გაბელა-გრადინა 1:0
სლავია-შიროკი ბრიეგი 0:1
ზრინისკი-ლეოტარი 2:0

## ხორვატია

XXII ტური

ინტერი-ზაგრები 1:2
სპლიტი-ოსიეკი 0:0
სიბალია-ჰაიდუკი 0:2
ზადარი-ლოკომოტივა 1:0
დინამო-სლავენი 3:0
ისტრა-რიეკა 1:1

## ბულგარეთი

XVI ტური

სლავია-ბოტევი 2:2
ცსკა-ლიტექსი 0:2
ეტარი-მონტანა 2:1
ბოტევი-ბეროე 0:0
მინიორი-პირინი 2:0
ლოკომოტივი (პ)-ლოკომოტივი (ს) 2:0
ჩერნომორეცი-ლევსკი 0:2
ლუდოგორეცი-ჩერნო მორე 2:0

## ჩეხეთი

XVIII ტური

იგლავა-ლიბერეცი 0:0
ბუდეიოვიცე-სპარტა 0:2
პრშიბრამი-ტეპლიცე 3:1
იაბლონეცი-ბრნო 2:0
ჰრადეცი-სიგმა 0:2
სლავია-ბოლესლავი 1:1
პლზენი-ბანიკი 1:1
სლოვაცკო-დუკლა დღეს

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. პლზენი | 18 | 11 | 5 | 2 | 31-13 | 38 |
| 2. სპარტა | 18 | 11 | 4 | 3 | 29-12 | 37 |
| 3. იაბლონეცი | 18 | 10 | 5 | 3 | 31-17 | 35 |
| 4. სიგმა | 18 | 9 | 6 | 3 | 28-16 | 33 |
| 5. ბოლესლავი | 18 | 8 | 4 | 6 | 21-21 | 28 |
| 6. დუკლა | 17 | 5 | 8 | 4 | 27-23 | 23 |
| 7. ლიბერეცი | 18 | 6 | 5 | 7 | 23-25 | 23 |
| 8. იგლავა | 18 | 4 | 9 | 5 | 21-27 | 21 |
| 9. ბრნო | 18 | 6 | 3 | 9 | 21-32 | 21 |
| 10. სლოვაცკო | 17 | 5 | 5 | 7 | 21-24 | 20 |
| 11. სლავია | 18 | 4 | 7 | 7 | 21-22 | 19 |
| 12. ბანიკი | 18 | 4 | 7 | 7 | 23-29 | 19 |
| 13. ჰრადეცი | 18 | 3 | 8 | 7 | 17-22 | 17 |
| 14. ტეპლიცე | 18 | 4 | 5 | 9 | 19-29 | 17 |
| 15. ბუდეიოვიცე | 18 | 4 | 4 | 10 | 15-25 | 16 |
| 16. პრშიბრამი | 18 | 3 | 7 | 8 | 15-26 | 16 |

## ესტონეთი

I ტური

ტრანს ნარვა-სილამიაე 1:2
პაიდე-კალიუ 2:3
ინფონეტი-კურესაარე 0:0
ფლორა-ტალინა 4:1
ლევადია-ტამეკა 3:1

## უნგრეთი

XVIII ტური

პეჩი-მტკ 2:1
ეგერი-დიოშდიორი 0:1
კეჩკემეტი-დებრეცენი 0:0
პალადაში-შიოფოკი 2:1
უიპეშტი-პაკში 0:6
კაპოშვარი-დიორი 1:2
ლომბარდ პაპა-ფერენცვაროში 0:3
ჰონვედი-ვიდეოტონი 0:4

## ისრაელი

XXV ტური

ბნეი სახნინი-მაკაბი (თ-ა) 0:3
ირონი (რ-ჰ)-ირონი (ქ-შ) 0:1
ბნეი იეჰუდა-ჰაპოელი (ბ-შ) 1:0
ჰაპოელი (თ-ა)-აშდოდი 1:1
ჰაპოელი (რ-გ)-ჰაპოელი (ა) 1:2
ბეითარი-მაკაბი (ნ) 1:1
მაკაბი (ჰ)-ჰაპოელი (ჰ) დღეს

## მოლდოვა

XXI ტური

კოსტულენი-მილსამი 0:1
დაჩია-აკადემია 1:1
ოლიმპია-რაპიდი 1:3
ნისტრუ-ზიმბრუ 2:0
სპერანცა-შერიფი 0:2
ტირასპოლი-ისკრა 3:0

## ჩერნოგორია

XIX ტური

ბუდუჩნოსტი-ზეტა 3:3
ჩელიკი-რუდარი 1:0
გრბალი-ლოვჩენი 1:0
მლადოსტი-იედინსტვო 3:3
მოგრენი-სუტიესკა 0:2
პეტროვაცი-მორნარი 1:1

## პოლონეთი

XVII ტური

ლეხია-პოგონი 1:1
ლეხი-პოლონია 0:1
რუხი-ვიძევი 3:0
ლეგია-ბელხატოვი 0:0
პიასტი-ზაგლემბე 1:1
კორონა-შლიონსკი 1:1
გურნიკი-იაგელონია 1:2
ვისლა-პოდბესკიძე დღეს

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ლეგია | 17 | 10 | 4 | 3 | 34-17 | 34 |
| 2. პოლონია | 17 | 9 | 5 | 3 | 29-14 | 32 |
| 3. ლეხი | 17 | 10 | 2 | 5 | 24-15 | 32 |
| 4. გურნიკი | 17 | 8 | 7 | 2 | 25-13 | 31 |
| 5. შლიონსკი | 17 | 9 | 3 | 5 | 27-22 | 30 |
| 6. ლეხია | 17 | 7 | 4 | 6 | 23-20 | 25 |
| 7. პიასტი | 17 | 7 | 2 | 8 | 22-26 | 23 |
| 8. ზაგლემბე | 17 | 7 | 4 | 6 | 22-18 | 22 |
| 9. იაგელონია | 17 | 4 | 10 | 3 | 19-22 | 22 |
| 10. პოგონი | 17 | 6 | 4 | 7 | 17-20 | 22 |
| 11. ვიძევი | 17 | 6 | 3 | 8 | 18-24 | 21 |
| 12. კორონა | 17 | 5 | 5 | 7 | 16-21 | 20 |
| 13. ვისლა | 16 | 5 | 4 | 7 | 14-22 | 19 |
| 14. რუხი | 17 | 5 | 3 | 9 | 16-26 | 18 |
| 15. პოდბესკიძე | 16 | 2 | 3 | 11 | 20-29 | 9 |
| 16. ბელხატოვი | 17 | 1 | 5 | 11 | 10-27 | 8 |

## ლიგის სუპერთასი

ეკრანასი-ჟალგირისი 0:1 დ.დ.

## რუმინეთი

XXI ტური

გლორია-ჩახლაული 0:0
სტიაუა-გაზ მეთანი 3:0
კონსტანცა-უნივერსიტატეა 1:1
კლუჟი-ოცელული 0:1
პეტროლული-იაში 2:1
რაპიდი-დინამო 0:1
ბრაშოვი-კონკორდია დღეს
პანდური-ვასლუი დღეს
ტურნუ-ასტრა დღეს

## სერბეთი

XVII ტური

რადნიჩკი-ჰაიდუკი 1:0
ნოვი პაზარი-რადნიჩკი 1923 1:0
იავორი-სმედერევო 4:0
ვოივოდინა-სპარტაკი 2:1
სლობოდა-ბორჩა 1:0
პარტიზანი-დონი სრემი 2:0
ოფკ-იაგოდინა 1:3
რადი-ცრვენა ზვეზდა 1:1

## სლოვაკეთი

XX ტური

სლოვანი-მორავცე 4:1
ტრენჩინი-მიიავა 1:0
ტრნავა-ნიტრა 2:0
ჟილინა-ბისტრიცა 0:1
კოშიცე-პრეშოვი 3:0
სენიცა-რუჟომბეროკი 0:3

## სლოვენია

XXII ტური

გორიცა-პუბლიკუმი 0:0
მარიბორი-ტრიგლავი 4:1
დომჟალე-კოპერი 1:1
რუდარი-ალუმინი 3:0
მურა-ოლიმპია გადაიდო

## უკრაინა

XIX ტური

შახტარი-ვოლინი 4:1
ილიჩივეცი-მეტალურგი (ზ) 1:0
დნიპრო-არსენალი 3:0
მეტალისტი-მეტალურგი (დ) 3:2
ზორია-გოვერლა 2:1
ტავრია-კარპატი 0:2
ჩერნომორეცი-ვორსკლა 1:0
დინამო-კრივბასი 1:1

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. შახტარი | 19 | 18 | 0 | 1 | 56-10 | 54 |
| 2. დნიპრო | 19 | 12 | 5 | 2 | 34-13 | 41 |
| 3. მეტალისტი | 19 | 12 | 3 | 4 | 38-17 | 39 |
| 4. დინამო | 19 | 12 | 2 | 5 | 35-16 | 38 |
| 5. ჩერნომორეცი | 19 | 10 | 3 | 6 | 22-19 | 33 |
| 6. მეტალურ (დ) | 19 | 7 | 5 | 7 | 26-25 | 26 |
| 7. ილიჩივეცი | 19 | 7 | 4 | 8 | 21-17 | 25 |
| 8. ზორია | 19 | 7 | 4 | 8 | 21-23 | 25 |
| 9. ვოლინი | 19 | 6 | 5 | 8 | 19-27 | 23 |
| 10. არსენალი | 19 | 6 | 5 | 8 | 18-29 | 23 |
| 11. კარპატი | 19 | 6 | 4 | 9 | 25-28 | 22 |
| 12. კრივბასი | 19 | 6 | 4 | 9 | 19-30 | 22 |
| 13. ტავრია | 19 | 6 | 3 | 10 | 12-23 | 21 |
| 14. ვორსკლა | 19 | 5 | 5 | 9 | 18-23 | 20 |
| 15. გოვერლა | 19 | 2 | 5 | 12 | 19-41 | 11 |
| 16. მეტალურ (ზ) | 19 | 0 | 3 | 16 | 5-47 | 3 |

## არგენტინა

IV ტური

კილმესი-ატ. რაფაელა 3:3
ნიუელსი-ბელგრანო 2:0
კოლონი-ესტუდიანტესი 3:3
არსენალი-ინდეპენდიენტე 1:0
გოდოი-არგ. ხუნიორსი 0:0
სან ლორენსო-რივერ პლეიტი 2:0
ტიგრე-ოლ ბოისი 2:1
რასინგი-ლანუსი გვ. დასრულდა
ბოკა-სანტა ფე გვ. დასრულდა
ველესი-სან მარტინი დღეს

## ბრაზილია

### პაულისტა

X ტური

ოესტე-ბარბარენსე 2:0
პირასიკაბა-მირასოლი 2:2
ბრაგანტინო-სოროკაბა 1:2
ლინენსე-პონტე პრეტა 0:0
სან კაეტანო-ბოტაფოგო 0:1
სანტოსი-კორინთიანსი 0:0
პენაპოლენსე-სან პაულუ გვ. დასრულდა
გუარანი-მოჟი მირიმი გვ. დასრულდა
სან კაეტანო-იტუანო გვ. დასრულდა

## ჩილე

VI ტური

უნ. ესპანიოლა-ნუბლენსე 2:2
კობრესალი-უნ. ჩილე 1:3
ო'ჰიგინსი-აუდაქსი 3:1
უაჩიპატო-დეპ. იკიკე 2:1
სან მარკოსი-ევერტონი 2:2
კობრელოა-უნ. კატოლიკა 4:2
ლა კალერა-რეინჯერსი 2:0
კოლო კოლო-ანტოფაგასტა გვ. დასრულდა
ს. უონდერერს-პალესტინო გვ. დასრულდა

## კორეა

I ტური

ულსანი-დაეგუ 2:1
სეული-პოჰანგი 2:2
ჩუნამი-ჯეჯუ 0:1
სეონგნამი-სუვონი 1:2
ინჩეონი-გიეონგნამი 0:0
ბუსანი-განგვონი 2:2
დაეჯეონი-ჯეონბუკი 1:3

## კოლუმბია

V ტური

დეპ. კალი-ატ. უილა 0:1
[illegible] 3:0
მილიონარიოსი-ჩიკო 2:1
პატრიოტასი-სანტა ფე 1:1
ლა ეკიდადი-ონსე კალდასი 0:0
დეპ. ტოლიმა-დეპ. პასტო 3:0
ხუნიორი-დეპ. კუკუტა გვ. დასრულდა
მედელინი-ენვიგადო გვ. დასრულდა
დ. კინდიო-ატ. ნასიონ გვ. დასრულდა

## ეკვადორი

VI ტური

დეპ. კუენკა-ლდუ ლოხა 1:1
დეპ. მაკარა-დეპ. კიტო 2:2
უნ. კატოლიკა-ინდეპენდიენტე 1:0
ლდუ კიტო-მანტა 2:0
ელ ნასიონალი-დეპ. კევედო 1:2

## პარაგვაი

IV ტური

ოლიმპია-რუბიო ნუ 1:1
პრეზიდენტე-დეპ. კარაპეგუა 2:2
დეპ. კაპიატა-ნასიონალი 0:1
ხენერალ დიასი-სოლ დე ამერიკა 2:0
ლუკენიო-გუარანი გვ. დასრულდა
ლიბერტადი-ს. პორტენ გვ. დასრულდა

## პერუ

IV ტური

კახამარკა-სესარ ვალიეხო 1:0
ინტი გასი-პასიფიკო 1:1
სენსიანო-უნივერსიტარიო 1:1
ალიანსა ლიმა-რეალი 1:0
ლეონი-მელგარი 0:0
ხუან აურიჩი-სპ. კრისტალი 3:0
სპორტი-კომერსიო 1:0
სან მარტინი-ხ. გალვეს გვ. დასრულდა

## ურუგვაი

II ტური

პროგრესო_დანუბიო 1:0
სენტრალი-ხუვენტუდი 1:2
სერო ლარგო-ნასიონალი 1:1
ფენიქსი-რასინგი 0:1
ბელა ვისტა-ელ ტანკე 0:1
სერო-ლივერპული 1:0
დეფენსორი-უონდერერსი 1:0
რ. პლეიტი-პენიაროლი გვ. დასრულდა

## მექსიკა

IX ტური

ხაგუარესი-ს. ლაგუნა 1:3
ამერიკა-კრუს ასული 3:0
კერეტარო-მონტერეი 1:0
პაჩუკა-სან ლუისი 2:1
ტიგრესი-მორელია 1:1
ლეონი-პუებლა 0:1
ატლასი-ტიხუანა 1:0
პუმასი-გვადალახარა 1:1
ატლანტე-ტოლუკა გვ. დასრულდა

## აშშ

I ტური

ფილადელფია-კანზას სიტი 1:3
ვანკუვერი-ტორონტო 1:0
ჰიუსტონი-დი სი იუნაიტედი 2:0
დალასი-კოლორადო 1:0
სიეტლი-მონრეალი 0:1
ჩივასი-კოლამბუსი 0:3
ლოს ანჯელესი-ჩიკაგო გვ. დასრულდა
პორტლენდი-ნიუ იორკი გვ. დასრულდა
სან ხოსე-სოლტ ლეიკი გვ. დასრულდა

## იაპონია

I ტური

ვეგალტა-კოფუ 1:1
იოკოჰამა-შონანი 4:2
ნაგოია-ივატა 1:1
სერეზო-ნიიგატა 1:0
ჰიროშიმა-ურავა 1:2
ტოსუ-კაშიმა 1:1
ომიია-შიმიზუ 2:2
ოიტა-ტოკიო 1:2
კაშივა-კავასაკი 3:1

## ავსტრალია

XXIII ტური

ადელაიდა-ბრისბენი 0:1
სენტრალ კოუსტი-ვესტერნ სიდნეი 0:1
პერტი-სიდნეი 2:1
ველინგტონი-მელბურნ ჰ 1:0
მელბურნ ვ-ნიუკასლი 5:0

## აზერბაიჯანი

XXII ტური

ქიაფაზი-სიმურგი 1:1
აზალ-ქაბალა 6:1
ბაქო-რავანი 2:1
ხაზარი-სუმგაიტი 2:2
თურანი-ნეფთჩი 2:3
ყარაბახი-ინტერი 0:0

## ამხანაგური მატჩები

ფრემი-სალერადი 0:2
კონგსვინგერი-ფოლო 1:1
სანდნესი-ბრინი 4:0
ლილესტრიომი-ულ კისა 1:2
ვექსფორდი-შელბურნი 0:0
ლონგფორდი-ბრეი 0:1
ჰამარბიუ-დეგერფორსი 2:1
სპარტაკი-მოლდე 2:0

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძიუდო. ვარშავის ტურნირი

# ისევ ქართული ფინალი

## ოქროთი დაწყებულ-დასრულებული ტურნირი

**2 ოქრო, 1 ვერცხლი და გუნდური პირველი ადგილი - ასეთია ჩვენი ვაჟ ძიუდოისტთა ნაკრების მონაგარი ვარშავის „ევროპის ღია თასზე“. ამჯერად ჩემპიონები ნუგზარ ტატალაშვილი (73) და ლევან ნიკლაური (81) გახდნენ, ზებედა რეხვიაშვილი (73) კი მეორეზე გავიდა.**

როგორც ვხედავთ, ქართული ფინალი აქაც გაიმართა - 73-ში. ანალოგიური ერთი კვირის წინათაც ვიხილეთ დიუსელდორფის „დიდ მუზარადზე“, ოღონდ - 81-ში, როცა ფინალში იგივე ნიკლაური **ავთანდილ ჭრიკიშვილთან** დამარცხდა. ნიკლაურის მეორე ფინალიც ალსანიშნავი ფაქტია, უფრო კი - მისი ჭიდაობის საკმაოდ მაღალი ხარისხი. ეს ტურნირი სიძლიერით ბევრად ჩამოუვარდებოდა გერმანიისას - 37 გუნდი კი გამოდიოდა, მაგრამ ნაკლებად იყვნენ ვარსკლავები, ხოლო იაპონიისა და სამხრეთ კორეის გუნდები საერთოდ არ ჩასულან პოლონეთში. ამის მიუხედავად, ასე ზედიზედ მიწყობილი ქართული ფინალები ან თუნდაც იმავე ნიკლაურის მიღწევები მაინც სასიამოვნო ფაქტია.







გერმანიისგან განსხვავებით, თანაგუნდელთა ახლანდელი საფინალო შეხვედრა თვალსასეირო სანახავი არ გამოდგა, გამარჯვებულის ბედი გაფრთხილებებით გადაწყდა - რეხვიაშვილმა სამი შიდო მიილო, ტატალაშვილმა - ორი და ოქროს მედალიც დაისაკუთრა. მის ჭიდაობაშიც იგრძნობოდა პროგრესი, რასაც, იმედია, კიდევ გააგრძელებს.

ტატალაშვილმა ხუთი ორთაბრძოლიდან სამში იპონით იმარჯვა - ირლანდიელ **ლოიდ მანინგთან**, პოლონელ **დამიან სზვარნოვიცკისთან** დ გერმანელ **სოშინ კაცუმისთან**, რუს **დენის იარცევს** კი გაფრთხილებით მოუგო.

რეხვიაშვილმა პირველ წრეში გერმანელი **შტეფან ფრიდრიხი** ვაზარით დაამარცხა, ესპანელი ევროპის ჩემპიონი **კიოში უემაცუ** - იუკოთი, ხოლო უკრაინელ **სერგეი დრებოტსა** და ბრიტანელ **იან გოსიევსკის** გაფრთხილებებით გასცდა.

ნიკლაური პირველ წრეში ისვენებდა, მერე კი მიჰყვა და იპონებით გავიდა ფინალში - სერბი **ალექსეი ნეფედოვი** ორ წუთზე ცოტა მეტ დროში დააიპონა, ესტონელმა **ევგენი სალეევმა** იუკო კი აართვა, მაგრამ 3 წუთზე მეტი ვერ გაუძლო, თითქმის ოთხ წუთამდე გაუძალიანდა ფრანგი **კვენტინ ჟუბერი**, ნახევარფინალში კი რუს **მაქსიმ ბუგასთან** მეოთხე წუთი იწურებოდა, როცა მშვენივრად შეეკრა და მეტად ლაზათიანი ბრუნით წმინდად დაახეთქა ტატამზე. ფინალში მისი მეტოქე გამოცდილი ლატვიელი **კონსტანტინ ოვჩინიკოვსი** იყო, რომელმაც ჯეროვანი წინააღმდეგობა ვერ გაუწია - ნიკლაურმა ვაზარ-იუკოთი მოიგო.

სამწუხაროდ, ამ ტურნირზე დამაიმედებელს მეტს ვერაფერს დავწერთ, გერმანული ტურნირის მსგავსად აშკარად იგრძნობოდა ლიდერებსა და სათადარიგოებს შორის დამაფიქრებელი სხვაობა - რამდენადაც საგრძნობია პირველთა წინსვლა, იმდენად ჩამორჩებიან სამარქაფოები. პოლონეთშიც შანსი ძირითადად ამათ მისცეს, თუმცა შედეგი, რბილად რომ ვთქვათ, არასახარბიელოა. ვარშავაში თუ ვინმემ რამე ალსანიშნავი გააკეთა, ისევ ლიდერთა ჯგუფის წარმომადგენლებმა. ამ სამი მედალოსნის გარდა ჩვენგან კიდევ 8 ჭიდაობდა, მაგრამ ისე წააგეს, დამამშვიდებელში მხოლოდ ერთი გადავიდა - **შალვა ქარდავა** (66). შეგახსენებთ, რომ გერმანიაში მესამე იყო. ამჯერად პირველ შეხვედრაში ავსტრიელი **ალექსანდერ ვაიხინგერი** გვარიანად დაჯაბნა - იუკოც აართვა, კიდეც გააფრთხილებინა და ბოლოს იპონზეც დასცა. ჰოლანდიელ **იესპერ დე იონგს** გაფრთხილებებით მოუგო, მეოთხედფინალში კი ფრანგ **კილიან ლე ბლუშთან** იპონზე დაეცა. სანუგეშოში პირველივე შეხვედრაში წმინდად წააგო პორტუგალიელ **სერგეი ოლეინიჩთან**.

ჩვენი დანარჩენი მონაწილეებიდან **ხვიჩა ხუციშვილი** (81), **ლაშა ტაველური** (90) და **დავით ლორიაშვილი** (100) პირველივე შეხვედრაში დამარცხდნენ, **ვაჟა მარგველაშვილმა** (60), **პაატა მერებაშვილმა** (60), **პაატა ლვინიაშვილმა** (81), და **ლომერ ჟორჟოლიანმა** (100) მხოლოდ თითო შეხვედრა მოიგეს, **ბექა ლვინიაშვილმა** (90) - ორი. თანაც, უმეტესობამ უსახელო მეტოქესთან წააგო. ამას ვერ ვიტყვით მხოლოდ მარგველაშვილზე, რომელმაც ბრაზილიელ **დიეგო სანტოსთან** დათმო პაექრობა, და პაპინაშვილზე - ის მომავალ ჩემპიონთან, ყაზახ **იელდოშ სმეტოვთან** დამარცხდა, ვინც თბილისის წლევანდელ ტურნირზე იმავე მარგველაშვილსა და **ამირან პაპინაშვილს** მოუგო.

განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობდა ბექა ლვინიაშვილი, როგორც ტალანტი. სამწუხაროდ, მან იმედები ვერ გაგვიმართლა. თავიდან უკრაინელ **ანდრეი სპირიდონოვს** იპონით მოუგო, უნგრელ **კრისტიან ტოტთან** კი გამარჯვება მეტოქის ტრავმამ მოუტანა, როცა ორივეს თითო გაფრთხილება ჰქონდა. ამ შეხვედრაში ყველაზე დასამახსოვრებელი ბექას საქციელი იყო, როცა მეტოქეს წამოდგომაში და ტატამიდან გასვლაში მიეხმარა, რითაც დარბაზის აპლოდისმენტები დაიმსახურა, მესამე წრეში კი ფრანგ **ლუდოვიკ გობერთან** წააგო და ტურნირიდანაც გამოვარდა. იქნებ ამ პაექრობის არბიტრს ცოტა შევედაოთ კიდეც, რომ მეტოქე დაინდო და არ გააფრთხილა, მაგრამ ჩვენებურსაც მეტი მართებდა.

სხვა ჩვენებურებიდან ასევე ყურადღებას იქცევდა ჟორჟოლიანის დაბრუნების მცდელობა, მაგრამ მან თავი მხოლოდ ლიტველ **კაროლის ბაუზასთან** მოგებით დაგვამახსოვრა, მონღოლ **ენკბატ ერდენებილეგთან** წაგება მიაყოლა.

### კვარცხლბექი

**60 კგ.** 1. იელდოშ სმეტოვი; 2. აიბეკ იმაშევი; 3. რუსტამ იბრაიევი (სამივე - ყაზახეთი), ბოლდბაატარ ჩიმედ-იონდონი (მონღოლეთი).

**66 კგ.** 1. გიორგი ზანთარაია (უკრაინა); 2. იაკუბ შამილოვი (რუსეთი); 3. ბოლდბაატარ განბატი (მონღოლეთი), კილიან ლე ბლუში (საფრანგეთი).

**73 კგ. ნუგზარ ტატალაშვილი; 2. ზებედა რეხვიაშვილი (ორივე - საქართველო)**; 3. იან გოსიევსკი (ბრიტანეთი), სოშინ კაცუმი (გერმანია).

**81 კგ. 1. ლევან ნიკლაური (საქართველო)**; 2. კონსტანტინ ოვჩინიკოვსი (ლატვია); 3. მაქსიმ ბუგა (რუსეთი), კვენტინ ჟუბერტი (საფრანგეთი).

**90 კგ.** 1. მარკ ოდენტალი გერმანია); 2. ლუდოვიკ გობერტი (საფრანგეთი); 3. ცოგტგერელ ხუტაგი (მონღოლეთი), მილან რანდლი (სლოვაკეთი).

**100 კგ.** 1. ორ სასონი (ისრაელი); 2. ტომა ნიკიფოროვი (ბელგია); 3. დავიდ ალარზა (ესპანეთი), კლემენტ დელვერტი (საფრანგეთი).

**+100 კგ.** 1. სერგეი პროხინი; 2. რენატ საიდოვი (ორივე - რუსეთი); 3. იუჰან მეტისი (ესტონეთი), ალესიო მასკეტი (იტალია).

**ირაკლი თავაძე**

ჭადრაკი. გუნდური მსოფლიოს ჩემპიონატი



გოგა ჩანადირის ფოტო

# მოგებით დაიწყეს

ასტანაში გუშინ სტარტი აიღო მოჭადრაკე ქალთა გუნდურმა მსოფლიოს ჩემპიონატმა, რომელშიც საპრიზო ადგილებისთვის 10 ქვეყნის წარმომადგენლები ასპარეზობენ. თითოეულ ნაკრებში 4 ძირითადი და 1 სათადარიგო მოთამაშეა. გამარჯვებული 9375 ევროთი დაჯილდოვდება. მეორე-მესამე ადგილებზე გასულნი, შესაბამისად, 7000 და 2375 ევროს დაიმსახურებენ, დაფების მიხედვით პირველ-მესამეადგილოსნები 700, 500 და 250 ევროს მიიღებენ.

შეჯიბრებაში მონაწილეობს მსგავსი შეჯიბრების 2011 წლის ბრინჯაოს პრიზიორი საქართველოს ნაკრები (**ნანა ძაგნიძე, ბელა ხოტენაშვილი, ლელა ჯავახიშვილი, ნინო ხურციძე, სალომე მელია**, კაპიტანი **ნინო გურიელი**, მწვრთნელები - **ზურაბ სტურუა** და **ლაშა ჯანჯღავა**, დელეგაციის ხელმძღვანელი - ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტი **გიორგი გიორგაძე**), რომლის წევრებიც ყაზახეთში გამგზავრებამდე უწმინდესმა და უნეტარესმა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ რეზიდენციაში მიიღო, გზა დაულოცა და წარმატებები უსურვა.

პირველ ტურში ჩვენებურებს წილისყრით თურქები ერგოთ. გუნდის ლიდერმა ნანა ძაგნიძემ შავი ფიგურებით ბეთულ ილდიზის დასამარცხებლად 25 სვლა იკმარა, ლელა ჯავახიშვილმა მე-3 დაფაზე, ასევე, შავებით კარდელენ კემხანს 39-ე სვლაზე აჯობა, ნინო ხურციძემ თეთრებით სუვლენ სოფს 23-ე სვლაზე გააჩერებინა საათი. გუნდისთვის მე-4 ქულა მე-2 დაფაზე ბელა ხოტენაშვილს უნდა მოეტანა, რომელიც თეთრებით კობრა ოზთურქს ეთამაშებოდა. ქართველი დიდოსტატი 55-ე სვლამდე უპირატესობას ინარჩუნებდა, მაგრამ ნელ-ნელა [illegible] მეტოქეს გადააბარა, ზედიზედ სამჯერ - მე-60, 62-ე და 65-ე სვლებზე შეცდომა დაუშვა, რომლებიც შესანიშნავად გამოიყენა ოზთურქმა და 67-ე სვლაზე გაიმარჯვა.

დანარჩენი შეხვედრები ასე დამთავრდა: **უკრაინა - ინდოეთი** 3:1 (კატერინა ლაგნო - ეიშა კარავადე 0,5:0,5, ნიშა მოჰოტა - ანა უშენინა 0:1, მარია მუზიჩუკი - რუთ რადმინი 1:0, ენ მერი გომესი - ინა იანოვსკა-გაპონენკო 0,5:0,5), **რუმინეთი - რუსეთი** 0,5:3,5 (ადელა ქრისტინა ფოიშორი - ვალენტინა გუნინა 0:1, ალექსანდრა კოსტენიუკი - ირინა ბულმაგა 0,5:0,5, ალინა ლამი - ალისა გალიამოვა 0:1, ოლგა გირია - კარმენ ვოიცუ-იაგოდინსკი 1:0), **ყაზახეთი - აშშ** 2:2 (გულისკან ნახბაიევა - ანა ზატონსკიხი 0,5:0,5, ირინა კრუში - გულმირა დაულეტოვა 1:0, დინარა სადუაკასოვა - საბინა ფოიშორი 0,5:0,5, ვიქტორია ნი - მადინა დავლეტბაიევა 0:1), **ჩინეთი - საფრანგეთი** 3,5:0,5 (ცზიუ ვენძიუნი - ნინო მაისურაძე 1:0, ანდა შაფრანსკა - თან ჟონი 0:1, გუო ძი - სილვია კოლასი 1:0, ნატაშა ბენმეშბახი - შენ იანი 0,5:0,5).

ამდენად, პირველი ტურის შემდეგ: ჩინეთი (3,5), რუსეთი (3,5), საქართველო (3), უკრაინა (3) - 2-2. ყაზახეთი (2), აშშ (2) - 1-1, ინდოეთი (1), თურქეთი (1), რუმინეთი (0,5), საფრანგეთი (0,5) - 0-0 ქულა.

დღეს მე-2 ტურში საქართველოს ნაკრები სამგზის მსოფლიოს ჩემპიონ ჩინეთს დაუპირისპირდება. ინდოეთი - საფრანგეთი, აშშ - თურქეთი, რუსეთი - ყაზახეთი, უკრაინა - რუმინეთი.

**ვაჟა დანელია**

# ფანცულაია დაწინაურდა

ირანულ ხაზარში დაიწყო მოჭადრაკეთა მე-11 ფესტივალი, რომლის A ტურნირში ოთხი ქართველი მონაწილეობს. სამი ტურის შემდეგ **ლევან ფანცულაია** უდანაკარგოდ ლიდერთა კვარტეტში იყო. **ბაჩანა მორჩიაშვილმა** 2,5 ქულა მოაგროვა, **შოთა აზალაძეს** და **დავით ბენიძეს** 2-2 ქულა ჰქონდათ. შოთა და დავითი ირანული მეშხედის საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობდნენ, სადაც, შესაბამისად, მეორე და მეოთხე ადგილები დაიკავეს. ხაზარში ჩასვლა დააგვიანეს, ამიტომ პირველ ტურში ავტომატურად წაგებები ჩაეწერათ.

გუშინ მე-4 ტურის შეხვედრები გაიმართა. ლევან ფანცულაიამ თეთრი ფიგურებით არაშ როგხანი (ირანი) დაამარცხა და 4 ქულით ერთპიროვნულად დაწინაურდა. ბაჩანა მორჩიაშვილი - მურად ნური (აზერბაიჯანი, 2,5) 1:0, დაზავდნენ: მიხაილ მოჟაროვი (რუსეთი, 3) - სერგეი ვოლკოვი (რუსეთი, 3), დავით ბენიძე - მოჰამად ხადემი (ირანი, 2,5), მომენი (2,5) - შოთა აზალაძე. ოთხი ტურის შემდეგ ლიდერს ნახევარ-ნახევარი ქულით რვა მოჭადრაკე ჩამორჩება, მათ შორის - მორჩიაშვილი, რომელიც დღეს თეთრი ფიგურებით ბენიძეს შეხვდება, ფანცულაია შავებით ვოლკოვს დაუპირისპირდება, აზალაძე კი ბარდია გელახდარის (ირანი) გაუწევს მეტოქეობას.

**ვაჟა დანელია**

სამთო თხილამურობა




# კვარცხლბეკამდე ცოტა დააკლდა

იტალიურ მონტე კრუ კამელიოში ახალგაზრდა სამთო მოთხილამურეთა პირველობაში 35 გოგონა მონაწილეობდა, მათ შორის **ნინო ნიკლაური**, რომელმაც შაბათს სლალომში (1.40,24) მე-4 ადგილი დაიკავა. ჩვენებურს მასპინძლებმა - მირიამ კოსტნერმა (1.34,83), ნატალი რიზოლიმ (1.38,82) და დარია კარპენამ (1.39,35) აჯობეს. გუშინ კი ნიკლაურმა პირველი დისტანცია ვერ ჩაამთავრა.

ავსტრიულ ინეკრემზში იასპარეზა **ჯაბა გელაშვილმა** - სწრაფდაშვებაში მან (1.11,42) 32-ე ადგილი დაიკავა. პირველ-მესამე ადგილებზე ავსტრიელები გავიდნენ: მანუელ კრამერი (1.08,41), დანიელ ჰემეტსბერგერი (1.08,72), კრისტოფერ ჰოერლი (1.08,96).

ავსტრიაშივე წარუმატებლად იასპარეზეს სლალომში **იასონ აბრამაშვილმა და ალექსი ბენიაიძემ**: აბრამაშვილმა მე-2 დაშვებისას დისკვალიფიკაცია მიილო, ბენიაიძეს კი მე-2 დისტანციაზე სტარტი არ აუღია.

**ვაჟა დანელია**

ტყვიის სროლა. ევროპის პირველობა

# უმედლო დასასრული

## ეკიმოვმა მაინც იმარჯვა

დანიაში დასრულდა ევროპის ჩემპიონატი პნევმატური პისტოლეტიდან სროლაში. ჩვენი ბოლო მონაწილე **ლევან ქადაგიძე** იყო, რომელმაც შესარჩევ ეტაპზე 565 ქულა დააგროვა. ზუსტად იმდენი, რამდენიც დანიელმა **რენე ვოგნმა** და პოლონელმა **ვოიცეხ ბროდამ**. უკეთესი დამატებითი მაჩვენებელი დანიელს აღმოაჩნდა და მას 43-ე ადგილი ერგო 61 მონაწილეს შორის, ქადაგიძე კი 44-ზე გავიდა.

ჩვენებურმა ტურნირი წარუმატებლად დაიწყო - პირველ სერიაში 92 ქულა დააგროვა, რაც, სამწუხაროდ, მეხუთეშიც გაიმეორა. ორჯერ სერია 95-ით დაასრულა, ერთხელ - 94-ით, ყველაზე კარგი მაჩვენებელი კი მეოთხე სერიაში აჩვენა - 97 ქულა.

ევროპის ჩემპიონი რუსთა ვარსკვლავი **ლეონიდ ეკიმოვი** გახდა იმის მიუხედავად, რომ ძლივს შეაღწია ფინალში - თავის უფროს თანაგუნდელს, ევროპის, მსოფლიოსა და ოლიმპიადის ბრინჯაოს მედალოსან **ვლადიმირ ისაკოვს** მხოლოდ დამატებითი მაჩვენებლებით გადაუსწრო. საინტერესოა, რომ რუსთა ნაკრების სამივე წევრმა - ეკიმოვმაც, ისაკოვმაც და **ანტონ გურიანოვმაც** სლოვაკ **იურა ზუტინსკის** დარად, 578 ქულა დააგროვეს, თუმცა სლოვაკმა დამატებითი მაჩვენებლებით აჯობა რუსებს, რომელთაგანაც ისაკოვი ფინალურ ოქტეტში ზედმეტი აღმოჩნდა.

ფინალში ეკიმოვმა 199.2 ქულა დააგროვა, მეორეზე კი გურიანოვი გავიდა 198.6-ით, ხოლო ბრინჯაო ევროპის შანდელმა ესპანელმა ჩემპიონმა **პაბლო კარერამ** ირგუნა 177.2-ით, ვინც შესარჩევში მეორე იყო. საკვალიფიკაციო ეტაპის გამარჯვებული, სერბი ევროპის ორგზის ჩემპიონი და ლონდონის ოლიმპიადის ბრინჯაოს მედალოსანი **ანდრია ზლატიჩი** ძალზე ცუდად გამოვიდა - მხოლოდ 96.6 ქულა დააგროვა და საბოლოოდ მეშვიდეზე დარჩა.

ეს ჩემპიონატი ძველი წესებითაც რომ გამართულიყო, სავარაუდოდ, მაინც ეკიმოვი გაიმარჯვებდა - ის და კარერა 777.2 ქულას დააგროვებდნენ და მაშინ გამარჯვებულს დამატებითი მაჩვენებლები გამოავლენდა. სამაგიეროდ, ესპანელი ვერცხლს მოიპოვებდა ანუ გურიანოვიჩს გაუცვლიდა ადგილს, თუმცა მოგეხსენებათ, ტყვიის სროლაში წესები შეიცვალა - ახლა ფინალში საკვალიფიკაციოში ნაჩვენები შედეგი არ გადაჰყვებათ და იქ ათვლა ნულიდან იწყება.

ამდენად, ევროპის აღნიშნული პირველობა უმედლოდ დავამთავრეთ - ჩვენგან საუკეთესო შედეგი ევროპის, მსოფლიოსა და ოლიმპიურ ჩემპიონ **ნინო სალუქვაძის** მეხუთე ადგილია. ახლა ჩვენი მსროლელები მსოფლიოს თასისთვის მოემზადებიან, რომელიც 2-10 აპრილს კორეულ ჩანჯოუში ჩატარდება. იმედია, იქ წასასვლელად გუნდს დააფინანსებენ, ხოლო ევროპის ჩემპიონატი სპორტული პისტოლეტიდან სროლაში ივლის-აგვისტოს მიჯნაზე ხორვატულ ოსიეკში გაიმართება.

**ირაკლი თავაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## კალათბურთი

სუპერლიგა 2012-13. XVI ტური

# ბათუმის გზაზე

## სენსაციის ამაო მოლოდინი

| | არმია | სოხუმი |
|---|---|---|
| | 91 | 84 |

| | I | II | III | IV |
|---|---|---|---|---|
| არმია | 29 | 21 | 21 | 20 |
| სოხუმი | 22 | 26 | 16 | 20 |

| არმია | წთ | მ | პ | შ | ჩ | დ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| გამყრელიძე | 27 | 3 | 9 | 3 | 3 | 0 | 12 |
| ბაბიაშვილი | 21 | 3 | 2 | 1 | 0 | 0 | 19 |
| გოისა | 18:08 | 5 | 2 | 0 | 0 | 0 | 5 |
| უგრეხელიძე | 12 | 2 | 0 | 2 | 0 | 0 | 2 |
| წივწივაძე | 19 | 2 | 1 | 1 | 1 | 0 | 6 |
| გ. ლეჟავა | 22 | 5 | 1 | 1 | 0 | 0 | 6 |
| საყვარელიძე | 13 | 2 | 2 | 0 | 1 | 0 | 2 |
| შარაბიძე | 13 | 1 | 1 | 0 | 0 | 1 | 2 |
| ჯღერენაია | 25 | 11 | 2 | 2 | 2 | 2 | 13 |
| ფარლალავა | 25 | 4 | 2 | 2 | 4 | 0 | 24 |

| სოხუმი | წთ | მ | პ | შ | ჩ | დ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ჩლაიძე | 36 | 2 | 4 | 3 | 0 | 0 | 21 |
| კოვალიანი | 17 | 2 | 2 | 0 | 0 | 0 | 5 |
| შვანგირაძე | 20 | 1 | 0 | 2 | 0 | 1 | 6 |
| ბააკაშვილი | 15 | 1 | 2 | 0 | 0 | 0 | 3 |
| ქადარია | 36 | 10 | 1 | 4 | 1 | 0 | 14 |
| ათუაშვილი | 31 | 17 | 2 | 3 | 1 | 1 | 18 |
| კარლის მუიჟნიეკსი | 3 | 0 | 0 | 0 | 1 | 1 | 0 |
| სტოიაკოვიჩი | 38 | 7 | 6 | 3 | 0 | 0 | 17 |

*მსაჯები: მაკა კუპატაძე, ზაზა მაჩალაძე, ირაკლი ბერიშვილი*

| | შსს აკადემია | სტუ |
|---|---|---|
| | 78 | 59 |

| | I | II | III | IV |
|---|---|---|---|---|
| შსს აკადემია | 24 | 9 | 26 | 19 |
| სტუ | 13 | 20 | 14 | 12 |

| შსს | წთ | მ | პ | შ | ჩ | დ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ვონი | 18 | 4 | 4 | 1 | 1 | 0 | 4 |
| როგავა | 17 | 1 | 1 | 4 | 3 | 1 | 4 |
| ბოქოლიშვილი | 33 | 2 | 3 | 3 | 2 | 0 | 16 |
| ლონდარიძე | 30 | 9 | 1 | 5 | 4 | 1 | 15 |
| ჩარხიანი | 7 | 1 | 2 | 3 | 0 | 0 | 0 |
| ლომთური | 24 | 3 | 1 | 1 | 1 | 0 | 8 |
| ანთაძე | 12 | 3 | 1 | 6 | 1 | 0 | 0 |
| ბექაური | 19 | 7 | 2 | 1 | 0 | 0 | 6 |
| რეიმონდი | 36 | 11 | 4 | 0 | 0 | 2 | 25 |

| სტუ | წთ | მ | პ | შ | ჩ | დ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ჩაჩიბაია | 20 | 3 | 0 | 2 | 2 | 0 | 9 |
| თევზაძე | 23 | 0 | 2 | 1 | 2 | 1 | 5 |
| კვეტენაძე | 19 | 3 | 0 | 1 | 0 | 0 | 7 |
| კორკოტაძე | 22 | 3 | 1 | 4 | 2 | 0 | 6 |
| მინაშვილი | 11 | 0 | 1 | 1 | 0 | 0 | 0 |
| მაჩალაძე | 27 | 9 | 1 | 2 | 4 | 1 | 12 |
| პირველაშვილი | 29 | 6 | 4 | 4 | 2 | 0 | 8 |
| დ. დვალიშვილი | 2 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| კუჭავა | 18 | 1 | 2 | 3 | 0 | 0 | 3 |
| ჯანაშია | 17 | 1 | 1 | 1 | 0 | 0 | 9 |
| ქორიძე | 5 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |

*მსაჯები: დავით ბერეკაშვილი, დავით ბერიშვილი, გურამ მიქელაძე*

სუპერლიგაში 11 გუნდია. მათგან ერთი, „დინამო" მე-16 ტურში ისვენებდა. გუნდები ისე იყვნენ განაწილებულნი, რომ ამ ტურში ცხრილის ზედა კვინტეტის მკვიდრნი ქვედა ექვსეულის წარმომადგენლებს შეხვდნენ. შესაბამისად, არათანაბარ თამაშებს ველოდით, თუმცა პარასკევს, „ბათუმის" მიერ კარგად დაწყებული საქმე (შეგახსენებთ, რომ მეოთხე პერიოდის ბოლოს „ბათუმი" ქუთაისში 63:53-ს იგებდა, თუმცა დამარცხდა) „სოხუმმა" და სტუ-მ ასევე განაგრძეს, ფავორიტებს დიდი თავსატეხი გაუჩინეს და გულშემატკივარმაც თანაბარი ორთაბრძოლები იხილა.

### ოცდაოთხი

„არმიასთვის" „სოხუმთან" გამარჯვება შარშანაც არ იყო იოლი. გავიხსენოთ თუნდაც ერთი მატჩი, რომელშიც ძალოვნებს **ლევან ფაცაციას** შეჩერება ძალიან გაუჭირდათ. მას მერე სიტუაცია შეიცვალა, ამ სეზონის დასაწყისში სოხუმელთა რიგებში უკეთესად ათამაშდნენ **ჩლაიძე და ქადარია,** დაემატათ **ათუაშვილი** და **სტოიაკოვიჩი.** „არმიადან" კი პირველი წრის შემდეგ ყველა ლეგიონერი წავიდა, თუმცა ეს გუნდი სუპერლიგის ერთ-ერთ ფავორიტად რომ რჩება კიდევ ერთხელ დავრწმუნდით. გადამწყვეტ მომენტში არმიელებმა დამაჯერებელი თამაშით შეხვედრა გამარჯვებამდე მიიყვანეს.

ჩემპიონთა რიგებიდან ის ორი კალათბურთელი გამოირჩა, რომელიც შარშან სწორედ „სოხუმის" ღირსებას იცავდა - **ლაშა ფარლალავა** და **გიორგი ჯღერენაია.** ლაშამ 25 წუთში 24 ქულა ჩააგდო.



„ოლიმპის" 21-ე ნომერმა აკაკი დვალიშვილმა „სამედიცინოსთან" 21 ქულა ჩააგდო

*თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო*

სროლის სიზუსტე არ დაეწუნებოდა: 10-დან 7 ორქულიანი, 4-დან 2 სამიანი, 4-დან 4 საჯარიმო. იგი ჟურნალისტებმა ტურის საუკეთესო კალათბურთელად დავასახელეთ.

### უკირკოდ

როგორც ნამატჩევს „შსს აკადემიას" თავკაცმა **გიორგიოს კეცელიდისმა** გვითხრა, რუსთავში მიღებული ტრავმის გამო **კირკ არჩიბეკს** სტუ-სთან მატჩამდე სათანადოდ არ უვარჯიშია და ამიტომ გადაწყვიტა მისი დასვენება. ასევე ტრავმა იყო **ჩად პრუიტის** უთამაშებლობის მიზეზი. მწვრთნელს **დეონტა ვონის** დასვენებაც ჰქონდა გადაწყვეტილი და ტექნიკოსებთან პირველ ტაიმში ამიტომაც არ გამოუყვანია, მაგრამ მეორე ნახევარში დასჭირდა.

სტუ-ელები საწყისი 25 წუთის განმავლობაში ღირეულად ებრძოლნენ ფავორიტს. სიტყვა „ღირსეულში" ისიც იგულისხმება, რომ მეტოქეს არც ფარქვეშ უთმობდნენ რამეს, სწრაფი შეტევებითაც ანერვიულეს და არც ანგარიშში დაწინაურება იყო მათთვის უცხო. თუმცა მესამე პერიოდის შუაში შსს-ელებმა 12:0 გაქცევა მოაწყვეს და მას მერე სტუ ახლოსაც არ მიუშვეს.

ძალოვანთა მწვრთნელებმა საკმარისად დატვირთეს ახალწვეული **ბენჯამინ რეიმონდი,** რომელიც ნელ-ნელა შედის ფორმაში. მან შაბათს 37 წუთში 25 ქულა და 11 მოხსნა გაიფორმა.

### ლეგიონერი

## შენგელია დაბრუნდა: ჯერ დუბლი, შემდეგ 29

*- იგი მაღალი დონის კალათბურთელია. NBA-ში 10-12-წლიანი წარმატებული კარიერა ელის, - თქვა „სპრინგფილდ არმორის" მთავარმა მწვრთნელმა* **ბობ მაკქიმონმა თორნიკე შენგელიას** *შესახებ.*

როგორც მიხვდით, „ბრუკლინ ნეთსის" ხელმძღვანელობამ მიმდინარე სეზონში მესამედ გაანათხოვრა 21 წლის ქართველი ფორვარდი NBA-ის განვითარების ლიგის გუნდ „სპრინგფილდში". შაბათს, თბილისის დროით გამთენიისას თორნიკემ „უეინ მედ ანთსის" წინააღმდეგ 39 წუთი ითამაშა, 21 ქულა, 10 მოხსნა, 2 პასი და 1 ჩაჭრა მოაგროვა. პასივში კი 9 შეცდომა და 5 ფოლი ჩაიწერა, რაც სათამაშო პრაქტიკის არქონით უნდა აიხსნას. მას ხომ 26 იანვრის შემდეგ არ უთამაშია, ჯერ ტვინის შერყევის გამო ისვენებდა, შემდეგ „ბრუკლინის" განაცხადში კი ხვდებოდა, მაგრამ მწვრთნელს მოედანზე არ შეჰყავდა.

მატჩი საინტერესო სანახავი გამოდგა, გამარჯვებულის გამოვლენას ორი ოვერტაიმი დასჭირდა. საბოლოოდ „სპრინგფილდმა" 110:119 წააგო.

■ ■ ■

მეორე დღეს „არმორმა" არანაკლებ დრამატულ შეხვედრაში „კანტონ ჩარჯთან" მინიმალური სხვაობით დათმო.

საფინალო სირენას 8 წუთი უკლდა, როცა თორნიკე შენგელია საჯარიმოს ხაზზე დადგა, ორიდან ერთი ტყორცნა გამოიყენა და „სპრინგფილდი" 111:109 დააწინაურა. გავიდა 3 წამი და „ჩარჯის" უკანახაზელმა **გიბსონმა** წარმოუდგენელი სირთულის სამქულიანი ჩააგდო და - 112:111. მატჩი ასეც დასრულდა.

ქართველმა თავდამსხმელმა, მართალია, ორმაგი დუბლი ვერ გაიფორმა, მაგრამ 29 ქულით შეხვედრის ბომბარდირი გახდა. მის ანგარიშზე 7-დან 3 სამქულიანი, 12-დან 6 ორიანი და 9-დან 8 საჯარიმო იყო. გარდა ამისა, 33 წუთში შენგელიამ 2 მოხსნა, 1 პასი და 4 ჩაჭრა მიითვალა.

მიმდინარე სეზონში „სპრინგფილდს" 13 მოგება და 23 წაგება აქვს, მომდევნო მატჩს 4 მარტს „ბეიჰოუქსთან" ჩაატარებს.

### აკაკი

„ოლიმპს" მეოთხე მატჩია ვერ ეხმარება სასტარტო ცენტრი **სტეფან მილოშევიჩი,** რომელსაც სათანადოდ ცვლის **აკაკი დვალიშვილი.** აკაკიმ „სამედიცინოსთან" მატჩში მორიგი ორმაგი დუბლი მიითვალა - 21 ქულა, 16 მოხსნა.

სამწამიან ზონაში მისი, პერიმეტრიდან **ფაცაცია-სოკი-ბერიშვილის** ტრიოს (3-3 სამიანი ჩააგდეს) სიზუსტის წყალობით „ოლიმპმა" „სამედიცინო" 110:63 დაამარცხა და სატურნირო ცხრილში „არმიას" გაუთანაბრდა. ორივეს 12-12 მოგება აქვს (2-2 მარცხი).

სხვათა შორის, „ოლიმპსა" და „არმიას" მომდევნო ტურში სერიოზული გამოცდა ელით. 8 მარტს პირველი ქუთაისში ითამაშებს, 9-ში „არმია" „შსს აკადემიას" დაუპირისპირდება.

| გუნდი | თ | მ | წ | სხ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. შსს აკადემია | 15 | 13 | 2 | 1254/999 | 28 |
| 2. რუსთავი | 15 | 12 | 3 | 1300/1079 | 27 |
| 3. არმია | 14 | 12 | 2 | 1296/945 | 26 |
| 4. ოლიმპი | 14 | 12 | 2 | 1253/996 | 26 |
| 5. ქუთაისი | 15 | 9 | 6 | 1208/1078 | 24 |
| 6. დინამო | 14 | 9 | 5 | 1084/1035 | 23 |
| 7. თსუ | 15 | 5 | 10 | 1057/1204 | 20 |
| 8. სოხუმი | 14 | 4 | 10 | 1069/1167 | 18 |
| 9. ბათუმი | 15 | 3 | 12 | 1024/1239 | 18 |
| 10. სამედიცინო | 14 | 1 | 13 | 876/1299 | 15 |
| 11. სტუ | 15 | 0 | 15 | 957/1337 | 15 |

| | ოლიმპი | სამედიცინო |
|---|---|---|
| | 110 | 63 |

| | I | II | III | IV |
|---|---|---|---|---|
| ოლიმპი | 23 | 21 | 31 | 35 |
| სამედიცინო | 8 | 14 | 24 | 17 |

| ოლიმპი | წთ | მ | პ | შ | ჩ | დ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| გულისაგდაშვილი | 12 | 1 | 1 | 1 | 1 | 0 | 0 |
| ტომარაძე | 23 | 4 | 2 | 0 | 1 | 0 | 9 |
| სოკი | 27 | 3 | 9 | 1 | 1 | 0 | 16 |
| ბერიშვილი | 32 | 15 | 3 | 2 | 2 | 1 | 25 |
| თავართქილაძე | 16 | 3 | 6 | 0 | 2 | 0 | 3 |
| მიქელაძე | 4 | 0 | 2 | 1 | 0 | 0 | 0 |
| თენიეშვილი | 10 | 2 | 1 | 0 | 0 | 0 | 7 |
| ფაცაცია | 27 | 5 | 7 | 2 | 1 | 0 | 22 |
| დვალიშვილი | 24 | 16 | 1 | 1 | 3 | 1 | 21 |
| ლობჟანიძე | 3 | 2 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 |
| ანდრიუკაიტისი | 17 | 8 | 1 | 0 | 0 | 0 | 7 |

| სამედიცინო | წთ | მ | პ | შ | ჩ | დ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ჯიქია | 10 | 0 | 3 | 2 | 1 | 0 | 3 |
| არწივიძე | 14 | 2 | 2 | 3 | 2 | 0 | 5 |
| შიოლაშვილი | 10 | 0 | 0 | 1 | 0 | 1 | 6 |
| ტუკვაძე | 18 | 4 | 3 | 0 | 0 | 0 | 4 |
| გაბისონია | 27 | 9 | 3 | 4 | 0 | 1 | 5 |
| რევაზაშვილი | 29 | 7 | 2 | 1 | 0 | 0 | 10 |
| კევლიშვილი | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| გაფრინდაშვილი | 27 | 1 | 7 | 2 | 1 | 0 | 8 |
| ზ. მაისურაძე | 29 | 9 | 1 | 2 | 0 | 0 | 8 |
| ფერიაშვილი | 30 | 7 | 0 | 2 | 1 | 0 | 14 |

*მსაჯები: დავით ბერეკაშვილი, ირაკლი ბერიშვილი, მიხეილ ანდღულაძე*

ქართველი NBA-ში

# გორტატი ფაჩულიას ჩრდილიდან ჯერაც ვერ გამოვიდა




„ატლანტა ჰოქსმა" ამერიკის დასავლეთში მოგზაურობისას ფინიქსში შეიარა, სადაც **ზაზა ფაჩულიას** არაერთი ნაცნობი დახვდა: „ფინიქს სანსის" ერთ-ერთი მწვრთნელია **იგორ კოკოშკოვი** (საქართველოს ნაკრების თავკაცი), რომლის გუნდში თამაშობენ ევრობასკეტზე ჩვენი მომავალი მეტოქეები პოლონელი **მარცინ გორტატი** და სლოვენიელი **გორან დრაგიჩი.** სწორედ ამ უკანასკნელის წინამძღოლობით „ფინიქსმა" „ატლანტა" ბოლო წუთებზე 92:87 დაამარცხა და ჯორჯიელებს ოთხმატჩიანი მოგებათა სერია შეაწყვეტინა.

მართალია, რიცხვების ორმაგ ნიშნულს ვერ ასცდა, მაგრამ თამამად შეიძლება ითქვას, რომ ზაზამ სეზონის ერთ-ერთი გამორჩეული მატჩი ჩაატარა. 25 წუთში მან 8-8 ქულა-მოხსნა და 2-2 პასი-ჩაჭრა გაიფორმა. რაც ასევე მნიშვნელოვანია, ფაჩულიას შეტევაში ერთი შეცდომა არ დაუშვია - 2 ორქულიანი, 4 საჯარიმო სტყორცნა და ყველა ჩააგდო. ქართველ ცენტრს პოლონელი გორტატის მეურვეობა უწევდა, რასაც თავი შესანიშნავად გაართვა: მარცინმა მხოლოდ 2-2 ქულა-მოხსნა (6-დან 1 ორქულიანი) მიითვალა, მაშინ როცა იგი მიმდინარე სეზონში საშუალოდ 11.2 ქულასა და 8.5 მოხსნას აგროვებს.

რაც შეეხება სლოვენიელ გორან დრაგიჩს, იგი „ფინიქს სანსის" ბომბარდირი გახდა - 19 ქულა და 6 პასი ჩაიწერა.

დღეს გამთენიისას „ატლანტა" ლოს ანჯელესში „ლეიკერსთან" ითამაშებდა.

**ფინიქსი-ატლანტა 92:87**

**ზაზა ფაჩულია:** 25 წუთი, 8 ქულა (2/2 ორქულიანი, 4/4 საჯარიმო), 8 მოხსნა, 2 პასი, 2 ჩაჭრა, 2 შეცდომა, 2 ფოლი.

| II პერიოდი | | |
|---|---|---|
| 11:45 | მოხსნა: შეტ-0, დაც-1 | 19-21 |
| 11:23 | მოხსნა: შეტ-1, დაც-1 | 19-21 |
| 7:58 | საჯარიმოები: 2/2 (2ქ) | 26-27 |
| 7:33 | პასი: 1 (ჰორფორდი 2ქ) | 28-27 |
| 6:54 | მოხსნა: შეტ-1, დაც-2 | 30-27 |
| 6:01 | შეცდომა: 1 | 33-29 |
| 5:46 | მოხსნა: შეტ-1, დაც-3 | 33-30 |
| 4:31 | ჩაჭრა: 1 (დრაგიჩს აართვა) | 33-32 |
| 3:11 | ჩატენვა: 4ქ | 37-34 |
| 2:00 | პასი: 2 (სმიტი 2ქ) | 39-36 |
| 1:13 | მოხსნა: შეტ-1, დაც-4 | 39-38 |

| III პერიოდი | | |
|---|---|---|
| 9:52 | სტივენსონი შეცვალა | 40-50 |
| 8:33 | ფოლი: 1 | 45-50 |
| 6:24 | მოხსნა: შეტ-1, დაც-5 | 50-56 |
| 5:22 | ორქულიანი: 6ქ | 54-58 |
| 3:16 | საჯარიმოები: 2/2 (8ქ) | 58-63 |
| 2:59 | ჩაჭრა: 2 (მარშალს აართვა) | 58-63 |
| 2:46 | ფოლი: 2 | 58-63 |
| 2:06 | შეცდომა: 2 | 61-67 |

| IV პერიოდი | | |
|---|---|---|
| 10:26 | მოხსნა: შეტ-1, დაც-6 | 67-74 |
| 10:22 | მოხსნა: შეტ-2, დაც-6 | 68-74 |
| 9:10 | კორვერმა შეცვალა | 68-78 |

გვერდი მოამზადა
**ვაჟა სიმონიშვილმა**

კალათბურთის ფედერაცია და ვეტერანი კალათბურთელები მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა თბილისის „დინამოს" ყოფილი კალათბურთელი, საბჭოთა კავშირის ჩემპიონი, სპორტის ოსტატი

**ზურაბ ლეონტიევი**

და სამძიმარს უცხადებენ გარდაცვლილის ოჯახს.

გამოსვენება: სამშაბათს, 5 მარტს, 14 საათზე. გროზნოს ქ. 9 (მალაკნების ბაზართან)

ეროვნული ბიბლიოთეკა

● საქართველოს ჩემპიონატი

# აშკარა დაუჯერებელი

**ლელო-ლოკომოტივი 49:29**

ლელო (15-9) ყიასაშვილი, ნიჟარაძე, ანდღულაძე, ცერცვაძე (კოპაძე 66), გუგავა (გეგენავა 44), ხმალაძე, კაჭარავა. (1-8) გოგიშვილი (სანიკიძე 57), ბელქანია (ხიდეშელი 74), პატარაია, ჭეიშვილი (ხორბალაძე 62), ქოიავა, მძინარიშვილი, დარასელია, ჭყოიძე (სურგულაძე 65).

ხლ: კაჭარავა (2), ყიასაშვილი (2), ბელქანია, გუგავა. 5გ,2ს: ყიასაშვილი. ა: ხმალაძე.

სინბინი: ჭეიშვილი, ჭყოიძე.

ლოკომოტივი (15-9) ნიკლაური, (კობერიძე 63), ბინაძე, ჭურღულია (შიოშვილი 50), კავთიძე, ქავთარაძე, კვინიხიძე. (1-8) გასვიანი, გენებაშვილი, მარსაგიშვილი, გეგია, ცუხიშვილი, სულთანიშვილი, ჩიტიძე (ფოფხაძე 47), მაისურაძე.

4ლ: ღვინჯილია, მაისრაძე, ბინაძე, საჯარიმო. 3გ: კავთიძე, ნიკლაური (2). ს: ნიკლაური.

მსაჯი: რიჩარდ კელი (ახალი ზელანდია)

საქართველოს ჩემპიონატის ლიდერ თბილისის „ლელოსა" და ქვეყნის მრავალგზის ჩემპიონის „ლოკომოტივს" შორის დაპირისპირებაში, როგორც ყოველთვის, ყველა მძიმე, უკიდურესად დაძაბულ ბრძოლას ელოდა. ძნელად თუ ვინმე წარმოიდგენდა, რომ ამ გუნდებს შორის გამარჯვებულის ვინაობა უკვე პირველი ტაიმის შემდეგ გახდებოდა ცნობილი.

არადა, პირველი ტაიმი მართლაც საინტერესო, მოვლენათა სწრაფი ცვლით დახუნძლული გამოდგა. მატჩში გასული ათი ლელოდან, შვიდი სწორედ შეხვედრის პირველ ნახევარზე მოდის, რომელიც მეორე ტაიმზე ბევრად უკეთესი გამოდგა.

გამარჯვება ორივე გუნდს ჰაერივით სჭირდებოდა. „ლელოს" ლიდერობის განმტკიცება სურდა, „ლოკომოტივი" კი, მისთვის უჩვეულო მეექვსე ადგილზეა და პლეი ოფში ადგილის დაბევებას ცდილობს. ცხადი იყო, რომ ორივე გუნდი ყველაფერს ილონებდა საწადელის მისაღწევად, მაგრამ თამაშის ასეთი უცნაური სცენარით წარმართვას არავინ ელოდა.

თამაში „ლელომ" აქტიურად დაიწყო და პირველივე იერიში შედეგიანი გამოუვიდა. მე-3 წუთზე საქართველოს ნაკრების ფულბეკმა **ირაკლი ყიასაშვილმა** ანგარიში გახსნა - 3:0. წინდაწინ უნდა ითქვას, რომ ირაკლიმ გუნდს ყველაზე მეტი, 26 ქულა შესძინა. მის ანგარიშზე ორი ლელო, ორი საჯარიმო და ხუთი გარდასახვაა.

რკინიგზელებმა დიდხანს არ გვალოდინეს და ექვს წუთში საჯარიმო დარტყმით, „ბორჯღალოსანთა" კიდევ ერთმა ფულბეკმა **ბექა ნიკლაურმა** ანგარიში გაათანაბრა - 3:3. სამი წუთის შემდეგ ლელოელებს ნერვებმა უმტყუნათ. მატჩის ახალზელანდიელმა არბიტრმა **რიჩარდ კელიმ** ჩხუბის წამოწყების გამო „ლელოს" მეორეხაზელი **ნოდარ ჭეიშვილი** გაასინბინა, ორ წუთში კი ყვითელი ბარათი კიდევ ერთ ლელოელს, მესამეხაზელ **გიორგი ჭყოიძეს** უჩვენა. „ლელო" მოედანზე 13 კაცით დარჩა, რაც რკინიგზელებმა უნარიანად გამოიყენეს და ორი ლელო გაიტანეს.

მე-16 წუთზე „ლოკომოტივმა" კარგად ნაცადი ხერხის, მოლის გამოყენება სცადა. რკინიგზელებმა დერეფანი იოლად მოიგეს, მოლი შეკრეს და მიზანთან ახლოს იყვნენ, როცა „ლელომ" თამაშის წესი დაარღვია. ახალზელანდიელმა არბიტრმა საჯარიმო ლელო უყოყმანოდ დააფიქსირა. ნიკლაურმა გარდასახა - 10:3.

„ლომმოტივი" რიცხობრივ უპირატესობას კარგად იყენებდა და მეორე ლელო სამ წუთში მიითვალა. რკინიგზელებმა ამჯერადაც მოლით სცადეს ფონს გასვლა, მაგრამ ლელოელები მაგრად დაუხვდნენ. მოლიდან ბურთი მეამეხაზელმა **ზვიად მაისურაძემ** გამოიტანა, თუმცა მისი შეჩერება მალევე შეძლეს, წარმოქმნილი რაკიდან ბურთი ცხრა ნომერმა **ირაკლი ღვინჯილიამ** აიტაცა და ცრუ მოძრაობის გამოყენებით ლელოში შეაღწია. ნიკლაურმა ისევ ზუსტად გარდასახა - 17:3.

„ლოკომოტივი" საგრძნობლად დაწინაურდა. ერთი შეხედვით ისე ჩანდა, რომ „ლელო" სავალალო მდგომარეობაში აღმოჩნდა. არავის ახსოვს, როდესმე რკინიგზელებს 14-ქულიანი უპირატესობა გაენიავებინოს. თუმცა, მოხდა საპირისპიროდ. მას შემდეგ, რაც „ლელოს" ორივე გაძევებული მოედანზე დაბრუნდა, ანგარიშში დასაწინაურებლად რვა წუთი დასჭირდათ. დასკვნით ათ წუთში კი ლელოელებმა მეტოქის ჩათვლის მოედნის ხაზი ოთხჯერ გადაკვეთეს.

ანგარიშის შემცირება 23-ე წუთზე მეეზავის **ლაშა ხმალაძის** არეკნით დაიწყო - 6:17. ორ წუთში კი, „ლელოს" შერკინების კვაჭმა **რეზო ბელქანიამ** იერიში მოედნის საკუთარი ნახევრიდან წამოიწყო და მარცხენა ფრთაზე შეტევაში გარემარბი **ალექსანდრე ნიჟარაძე** ჩართო, მერე შეტევა ლაშა ხმალაძემ განაგრძო, მას შუამარბი **თორნიკე ცერცვაძე** წამოეშველა და ასე ხელდახელ ბურთაობით მიაღწიეს „ლოკომოტივის" ჩათვლის მოედნამდე. იქ ხმალაძემ ბურთი ცხრა ნომერ **გიორგი კაჭარავას** გადააწოდა, რომელსაც ხელს აღარავინ უშლია. ყიასაშვილმა გარდასახვა ზუსტად დაარტყა - 13:17.

ხუთ წუთში ისევ კაჭარავამ იყოჩაღა. „ლელომ" ხუთმეტრიანი დერეფანი სუფთად მოიგო და მოლის აგორება სცადა. თამაში რაკში გადავიდა. მორკინალების ორი მოკლე დარტყმის შემდეგ ბურთი კაჭარავამ აიტაცა და ცრუ მანევრით მეტოქის მცველები უსაქმოდ დატოვა. ყიასაშვილმა ამჯერადაც ივარგა - 20:17.

კაჭარავამ ეს ლელო 31-ე წუთზე გაიტანა. ლელოელებმა საკუთარი თამაში იპოვეს და ტაიმის დასრულებამდე დარჩენილ ცხრა წუთში კიდევ სამი ლელო მიითვალეს. ჯერ შერკინების კვაჭმა რეზო ბელქანიამ იყოჩაღა და კარგად დაძრული მოლის შემდეგ ჩათვლის მოედანში შეაღწია. მერე მრავალფაზიანი, მიმართულების ცვლით განხორციელებული შეტევა გარემარბმა **ლექსო გუგავამ** რაკიდან მორკინალის სტილში, აილე-მიეძალეთი დაასრულა, ბოლოს კი, მეორეხაზელმა ნოდარ ჭეიშვილმა „დანაშაული" გამოისყიდა, მოედნის ცენტრში მეტოქის ხაზი გაჭრა, ლელომდე ირბინა და იქ ბურთი იქვე მიმყოლ ირაკლი ყიასაშვილს გადააწოდა, რომელმაც ამ სამი ლელოდან, მხოლოდ ერთი ვერ გარდასახა - 39:17. ასე დასრულდა პირველი ტაიმი.



მატჩის გამარჯვებულის ვინაობა ცხადი გახდა, გასარკვევი ისღა იყო, შეძლებდა თუ არა „ლელო" პრემიალური ქულის მოპოვებას ანუ მატჩში მეტოქეზე სამზე მეტი ლელოს გატანას. მეორე ტაიმის დასაწყისმა თითქოს იმედი ჩაუსახათ ლელოელთა ქომაგებს, რომ გუნდი მიზანს მიაღწევდა, მით უფრო რომ 61-ე წუთზე მორიგი იერიშის შედეგად ყიასაშვილმა მარჯვენა ფრთაზე, კიდესთან ახლოს კიდევ ერთი ლელო გაიტანა, რომელიც თვითონვე გარდასახა - 49:17.

თუმცა, „ლოკომოტივმა" ფარ-ხმალი არ დაყარა, ბოლომდე იბრძოლა და მატჩის დასკვნით ათ წუთში ორი ლელოს გატანა მოახერხა. თავი გარემარბმა **გიორგი ბინაძემ** და მესამეხაზელმა **ზვიად მაისურაძემ** გამოიჩინეს. შუამარბმა **ვახტანგ კავთიძემ** ერთი ლელო გარდასახა - 29:49. შედეგად „ლელო" პრემიალურის გარეშე დარჩა.

# ჯიქებმა მიზანს მიაღწია, პლეი ოფი ჯიბეშია

**ყოჩები-ჯიქები 8:45**

ყოჩები (15-9) კვარაცხელია, ხულელიძე (გ. ჯმუხაძე 55), კობაური, გუშაშვილი, მახარაშვილი, გაბუნია, ჯაფარიძე. (1-8) ესაკია (ჭილლაძე 50), ცუცქირიძე, შენგელია, ტვილდიანი, როყვა (მირზაშვილი 60), თოდაძე, ცაგარეიშვილი, მალალურაძე.

ლ: კვარაცხელია. ს: გაბუნია.

ჯიქები (15-9) კიკნაძე, ხარაზიშვილი, კუპრეიშვილი, ამაშუკელი (კ. ჯმუხაძე 41), ნოზაძე (გიორგაძე 38), კალანდაძე, ზაბახიძე. (1-8) გოგოლაძე, სვანიძე, ოქრიაშვილი, მიქაძე (ტრაპაიძე 29), მჭედლიშვილი (ტალახაძე 18), ტუჩაშვილი, შენგელია, კიკვიძე.

7ლ: კიკვიძე (2), ნოზაძე, კ.ჯმუხაძე, კიკნაძე, ხარაზიშვილი, ტალახაძე. 5გ: კუპრეიშვილი (4), გიორგაძე.

მსაჯი: ნოდარ რობიტაშვილი

საქართველოს ჩემპიონატის დებიუტანტი, მიმდინარე გათამაშების ერთ-ერთი ყველაზე ახალგაზრდული გუნდი თბილისის „ჯიქები" დიდი ხანია შეჯიბრების აღმოჩენად აღიარეს. ერთი თბილისური უბნის გუნდი უმაღლეს ლიგაში საკმაოდ მრისხანე ძალად იქცა.

აღსანიშნავია, რომ „ჯიქებმა" ზამთრის არდადეგები ნაყოფიერად გამოიყენეს. გუნდი ახლა უფრო დალვინებულის, თავის შესაძლებლობებში მტკიცედ დარწმუნებულის შთაბეჭდილებას ტოვებს. **გიორგი ამირხანაშვილის** სამწყსომ საქართველოს ჩემპიონატის მეორე ეტაპზე სამი თამაშიდან სამივე მოიგო და მოწინავეთა შორის გაიმყარა პოზიცია.

წინა, მე-14 ტურში დებიუტანტებმა ქვეყნის მრავალგზის ჩემპიონი „ლოკომოტივი" დაამარცხეს - 15:13. ამჯერად კი, საკმაოდ იოლად სძლიეს მეორე, არანაკლებ სახელოვან და ტიტულოვან თბილისის „ყოჩებს" - 45:8, რომელსაც ძნელბედობის ჟამი უდგას და 7 ქულით აუტსაიდერია.

„ჯიქებმა" თამაში აქტიურად დაიწყეს და ლელო მეორე წუთზე გაიტანეს. მოედნის ცენტრის მისადგომებთან მეტოქის დაცვის ხაზი მათმა მეორეხაზელმა **გიორგი მჭედლიშვილმა** გაჭრა და „ყოჩების" 22-მეტრიან ზონაში შეაღწია. იქ წარმოქმნილი რაკიდან ცხრა ნომერმა **ალექსანდრე ზაბახიძემ** ბურთი მარცხნივ, ხაზზე გამოათამაშა და ჩათვლის მოედანში გარემარბმა **გიორგი ნოზაძემ** შეაღწია. შაუმარბმა **ვლადიმერ კუპრეიშვილმა** გარდასახვა ზუსტად დაარტყა - 7:0.

„ყოჩებმა" ათ წუთში საჯარიმოდან შეძლეს ანგარიშის შემცირება. ზუსტად მათი მგეზავი **გიორგი გაბუნია** გაისარჯა - 3:7. პირველი ტაიმის დარჩენილ დროში, ვერ ვიტყვით, რომ „ჯქები" აშკარა უპირატესობას ფლობდნენ, თუმცა ორი ლელოს გატანა მაინც მოახერხეს. დასკვნით 15 წუთში მათი მესამეხაზელის **ჯაბა კიკვიძის** ბენეფისი შედგა.

28-ე წუთზე „ჯიქებმა" მორიგი სწრაფი იერიში წამოიწყეს, რომელიც მორკინალების მოკლე დარტყმებით გაგრძელდა და კიკვიძის ლელოთი დასრულდა. ტაიმის ბოლო წუთზე კი, მანვე საკუთარი მოედნის 22-მეტრიანი ზონიდან წარმოუდგენელი სოლო რეიდი განახორციელა. კიკვიძემ მეტოქის მორაგბეთა შორის ისე გაიარა, ხელით ნაპოტინებაც ვერავინ შეძლო და „ჯიქების" ერთ-ერთმა ლიდერმა ლელომდე ოთხმოცი მეტრი ირბინა. კუპრეიშვილმა ესეც გარდასახა - 21:3.



შესვენების შემდეგ, მეორე ტაიმის საწყის ათ წუთში „ჯიქების" უპირატესობა კიდევ უფრო გამოიკვეთა. დროის ამ მონაკვეთში გატანილმა კიდევ ორმა ლელომ საბოლოოდ ცხადყო, რომ „ყოჩებს" გამარჯვების მოპოვების შანსი აღარ დარჩათ.

46-ე წუთზე ისევ „ჯიქების" მორკინალებმა იაქტიურეს, მეტოქე საგრძნობლად შეავიწროვეს. ჩათვლის მოედანთან ახლოს წარმოქმნილი რაკიდან ბოლოს ბურთი შეცვლაზე შესულმა მეორეხაზელმა **გიორგი ტალახაძემ** აიტაცა და ლელოში შეიტანა. კუპრეიშვილმა გარდასახვა ზუსტად დაარტყა - 28:3.

ამას ოთხ წუთში აუტიდან ხელდახელ გათამაშებული კომბინაცია მოჰყვა, რომელშიც წვლილი მთელმა უკანა ხაზმა შეიტანა. ლელო კი ფულბეკის **დიტო კიკნაძის** ანგარიშზეა. შეცვლაზე შესულმა **ნუგზარ გიორგაძემ** ვერ გარდასახა - 33:3.

„ყოჩებს" 30-ქულიანი ჩამორჩენის მიუხედავად ბრძოლა წამითაც არ შეუწყვეტიათ და 53-ე წუთზე ერთი პრესტიჟის ლელოს გატანა მოახერხეს. თავი ფულბეკმა **ლუკა კვარაცხელიამ** გამოიჩინა, გაბუნიამ გარდასახვა ვერ გამოიყენა - 8:33.

მატჩის დარჩენილ დროში ისევ „ჯიქები" დომინირებდნენ და მეტოქის ჩათვლის მოედანში კიდევ ორჯერ შეაღწიეს. ორივე ლელო უკანახაზელების **რამაზ ხრაზიშვილისა** და **კოტე ჯმუხაძის** ანგარიშზეა. გიორგაძემ მხოლოდ ერთის გარდასახვა მოახერხა და „ჯიქებმა" დიდი ანგარიშით დაამარცხეს მეტოქე - 45:8 და ამ გამარჯვებით პლეი ოფში თამაშის უფება მოიპოვეს, ახლა გასარკვევი ისღაა, რომელიც ადგილზე დაასრულებს დებიუტანტი რეგულარულ გათამაშებას.

■ ■ ■

ტურის დანარჩენი მატჩებიდან აღსანიშნავია მესამეადგილოსანი ქუთაისის „აიას" გამარჯვება სტუმრად თბილისის „არმაზთან" - 19:7, როემლიც ახლა უკვე რვა ქულით ჩამორჩება ქუთათურთა გუნდს.

ასევე პრინციპული მატჩი გაიმართა „შევარდენის სანაკრებო ბაზაზე" უმაღლეს ლიგაში დარჩენისთვის მებრძოლთა შორის. თბილისის „აკადემიამ", რომელიც სატურნირო ცხრილში ბოლოსწინა ადგილზეა, უშუალო კონკურენტთან, „ბათუმთან" წააგო - 15:30. შავიზღვისპირელები ახლა მეტოქეს ერთი ქულით უსწრებენ და თანაც თადარიგში ერთი მატჩი აქვთ.

**XV ტური**

| | |
|---|---|
| არმაზი-აია | 7:19 |
| აკადემია-ბათუმი | 15:30 |
| ხარები-არმია | 18:21 |

**სატურნირო მდგომარეობა**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ლელო | 15 | 13 | 0 | 2 | +226 | 61 |
| 2. არმია | 15 | 13 | 0 | 2 | +149 | 60 |
| 3. აია | 15 | 10 | 2 | 3 | +174 | 50 |
| 4. არმაზი | 15 | 10 | 0 | 5 | +30 | 42 |
| 5. ჯიქები | 15 | 8 | 0 | 7 | +61 | 40 |
| 6. ლოკომოტივი | 15 | 5 | 2 | 8 | 0 | 30 |
| 7. ხარები | 14 | 4 | 0 | 10 | -99 | 21 |
| 8. ბათუმი | 14 | 4 | 0 | 10 | -98 | 19 |
| 9. აკადემია | 15 | 4 | 0 | 11 | -240 | 18 |
| 10. ყოჩები | 15 | 1 | 0 | 14 | 203 | 7 |

**XVI ტური**

არმია-აკადემია, აია-ხარები, ბათუმი-ყოჩები, არმაზი-ლოკომოტივი, ჯიქები-ლელო.

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**

თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტოები

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზე რაგბი



მორნი სტეინი

# დაუმარცხებლად ხუთი გუნდი ასპარეზობს

**ზე რაგბის გათამაშების მესამე ტურის შემდეგ დაუმარცხებლად ასპარეზობას ხუთი გუნდი განაგრძობს. ავსტრალიის კონფერენციაში ლიდერი კანბერის „ბრამბიზი“ ამჯერად ისვენებდა. დარჩენილ ორ მატჩში კი მწვავე ბრძოლები გაიმართა.**

სიდნეის „ვორათაზმა“, რომელმაც ასპარეზობა წარუმატებლად დაიწყო, მესამე ტურში შინ დაამარცხა „მელბურნ რებლზი“ - 31:26. აღსანიშნავია, რომ სტუმრებმა პირველ ტაიმში ბევრად უკეთ ითამაშეს და ათი ქულით დაწინაურდნენ 16:6. შესვენების შემდეგ სიდნეელები მაქსიმალური ძალისხმევით ამოქმედდნენ და 61-ე წუთზე ანგარიშში დაწინაურებაც შეძლეს - 21:16.

დასკვნით 19 წუთში თამაში გათანაბრდა და გუნდებმა მონაგარს კიდევ ათ-ათი ქულა შემატეს. **ჯეიმზ ოკონორმა** (მელბურნ რებლზი) და **ბერნარდ მაკკიბინმა** (ვორათაზი) 16-16 ქულა მოაგროვეს (ორი გარდასახვა და ოთხი საჯარიმო).

ავსტრალიის კონფერენციის სავარაუდო ფავორიტმა ბრისბენის „რედსმა“ ახალი ზელანდიის კონფერენციის ბინადარს, ველინგტონის „ჰარიკენზს“ უმასპინძლა და 18:12 მოუგო. „წითლები“ ინიციატივას მთელი თამაშის განმავლობაში ფლობდნენ. სტუმრები მხოლოდ მატჩის მიწურულს, როცა ანგარიში 18:12 იყო, საგრძნობლად გააქტიურდნენ, მაგრამ ბრისბენელებმა ანგარიშის შენარჩუნება შეძლეს.

### ავსტრალია

ვორათაზი-მელბუნ რებლზი 31:26, რედსი-ჰარიკენზი 18:12

### სატურნირო მდგომარეობა

1. ბრამბიზი - 9 ქულა, 2. რედსი - 8, 3. მელბურნ რებლზი - 5, 4. ვორათაზი - 4, 5. ფორსი - 1.

### IV ტური

**მელბურნ რებლზი-რედსი, ბრამბიზი-ვორათაზი**

ახალი ზელანდიის კონფერენციას ორი ლიდერი ჰყავს. შარშანდელი ჩემპიონი ჰემილთონის „ჩიფსი“ და ოქლენდის „ბლუზი“. ჰემილთონელებმა შინ სამხრეთ აფრიკის კონფერენციის აუტსაიდერი ბლუმფონტეინის „ჩიტაზი“ მიიღეს და დიდი ანგარიშით 45:3 დაამარცხეს.

აღსანიშნავია, რომ ანგარიში მე-14 წუთზე საჯარიმო დარტყმით ბლუმფონტეინელებმა გახსნეს. მასპინძლებმა კი, პირველი ქულები მე-17 წუთზე მოიპოვეს, როცა მეტოქეს საჯარიმოთივე უპასუხეს. მატჩში გარდატეხა მეორე ტაიმის დასაწყისში მოხდა. ჰემილთონელებმა საბოლოოდ მეტოქეს ექვსი ლელო გაუტანეს. ყველაზე მეტი ქულა კი გუნდს ფულბეკმა **გარეთ ანსკომბმა** შესძინა. მან ერთი ლელო, ექვსი გარდასახვა და ერთი საჯარიმო გაიტანა (20 ქულა).

სენსაციური გამარჯვება მოიპოვა შინ ზე რაგბის გათამაშების მრავალგზის გამარჯვებულს, ქრაისთჩერჩის „კრუსეიდერზთან“ მატჩში ოქლენდის „ბლუზმა“ - 34:15. „ჯვაროსნები“ 25-ე წუთამდე ანგარიშში წინ იყვნენ, თუმცა ლეგენდარული **ჯონ ქირვანის** სამწყსოს დაძლევა მაინც ვერ მოახერხეს.

**რიჩი მაქოას** გარეშე მოასპარეზე „კრუსეიდერზმა“ ლელოს გატანა ვერ მოახერხა და მხოლოდ მგეზავის, **დენ კარტერის** ხუთ საჯარიმოს დასჯერდა. ოქლენდელებმა კი ხუთი ლელო მიითვალეს, აქედან ორი გარემარბის **ფრენკ ჰალაის** ანგარიშზეა.

### ახალი ზელანდია

ბლუზი-კრუსეიდერზი 34:15, ჩიფსი-ჩიტაზი 45:3

### სატურნირო მდგომარეობა

1. ჩიფსი - 10 ქულა, 2. ბლუზი - 10, 3. ჰარიკენზი - 1, 4. ჰაილენდერზი - 0, 5. კრუსეიდერზი - 0.

### IV ტური

**ჰარიკენზი-კრუსეიდერზი, ჰაილენდერზი-ჩიტაზი, ბლუზი-ბლუ ბულზი.**

მოულოდნელობების გარეშე დასრულდა ორი მატჩი სამხრეთ აფრიკის კონფერენციაში. გათამაშების ფავორიტმა პრეტორიის „ბლუ ბულზმა“ შინ დიდი გაჭირვებით სძლია ავსტრალიურ პერთის „ფორსს“. პირველი ტაიმი „ლურჯმა ხარებმა“ ორი ქულის სხვაობით 11:9 მოიგეს.

თუმცა შესვენების შემდეგ, საწყის 15 წუთში სტუმრებმა ანგარიშში დაწინაურება შეძლეს - 26:19 და პრეტორიელები მარცხის რეალური საფრთხის წინაშე აღმოჩნდნენ. „ბლუ ბულზმა“ ძალების კონცენტრაცია დასკვნით ათ წუთში მოახერხა, მეტოქეს ორი ლელო გაუტანა და მარცხს თავი დააღწია. საუკეთესო მექულე, როორც ყოველთვის, სამხრეთაფრიკელთა მგეზავი **მორნი სტეინი** იყო, რომელმაც ერთი ლელო, ორი გარდასახვა და ოთხი საჯარიმო გაიტანა (21 ქულა).

დაუმარცხებლად ასპარეზობს დურბანის „ნატალ შარქსიც“, რომელმაც შინ დაამარცხა კეიპთაუნის „სტორმერზი“ - 12:6. აღსანიშნავია, რომ მატჩის პირველი ტაიმი ფრედ 0:0 დასრულდა. შესვენების შემდეგ კი, მასპინძელთა მგეზავის **პეტ ლამბიეს** ოთხ საჯარიმოს, სტუმართა ფულბეკმა **იოჰან პიტერსენმა** მხოლოდ ორით უპასუხა.

### სამხრეთ აფრიკა

ბლუ ბულზი-ფორსი 36:26, ნატალ შარქსი-სტორმერზი 12:6

### სატურნირო მდგომარეობა

1. ბლუ ბულზი - 9 ქულა, 2. ნატალ შარქსი - 8, 3. საუთერნ კინგზი - 4, 4. სტორმერზი - 1, 5. ჩიტაზი - 1.

### IV ტური

**სტორმერზი-ჩიფსი, საუთერნ კინგზი-ნატალ შარქსი.**

**ბესიკ ჯანგავაძე**

კალათბურთი. NBA რეგულარული ჩემპიონატი

# ტონი პარკერი: ერთი თვე თამაშგარეთ

არც ისეთ სახარბიელო სიტუაციაში აღმოჩნდა რეგულარული ჩემპიონატის დასკვნით ნაწილში დასავლეთი კონფერენციის ლიდერი „სან ანტონიო“. ამ გუნდის ძირითადმა გამთამაშებელმა **ტონი პარკერმა** „საკრამენტოსთან“ მატჩის (130:102) მესამე მეოთხედში მარცხენა ფეხის ტრავმა მიიღო და დაახლოებით ერთი თვე ვერ შეძლებს თამაშს.

„საკრამენტოსთან“ შეხვედრაში ფრანგმა კალათბურთელმა 25 წუთი გაატარა მოედანზე და 13 ქულა და 7 შედეგიანი პასი დააგროვა.

## პოპოვიჩი აშშ-ის გაწვრთნას დათანხმდა

ამასობაში, „სან ანტონიოს“ მთავარმა მწვრთნელმა **გრეგ პოპოვიჩმა** თანხმობა განაცხადა აშშ-ის ნაკრების განვრთნაზე.

*„ნებისმიერი ადამიანისთვის დიდი პატივი იქნება ნაკრების თავკაცობა. მე არ ვარ გამონაკლისი საერთო წესიდან“*, - ამბობს პოპოვიჩი ამერიკული პრესისთვის მიცემულ კომენტარში.

შეგახსენებთ, რომ ამერიკის ნაკრების ამჟამინდელმა მწვრთნელმა **მაიკ კრჟიჟევსკიმ** კატეგორიული უარი განაცხადა ეროვნულ გუნდში მუშაობის გაგრძელებაზე.

## 10-დღიანი კონტრაქტი ჰოვარდისთვის

„მაიამი ჰიტმა“ გადაწყვიტა 10-დღიანი კონტრაქტი გააფორმოს ვეტერან ფორვარდ **ჯუვან ჰოვარდთან**, - წერს სააგენტო AP.

ჰოვარდმა ბოლო ორი სეზონი სწორედ ფლორიდული კლუბის შემადგენლობაში გაატარა, მაგრამ გასულ ზაფხულს ვერ შეძლო ჩემპიონთა შემადგენლობაში მოხვედრა. მიმდინარე რეგულარული ჩემპიონატის მსვლელობისას, 40 წლის კალათბურთელი ინდივიდუალური ვარჯიშებით ინარჩუნებდა სპორტულ ფორმას.

ჰოვარდს 18 სეზონი აქვს გატარებული ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში. მისი საშუალო კარიერული მონაგარი 13.4 ქულასა და 6.2 მოხსნას შეადგენს.

## გარნეტმა ოლაჯუონს გაუსწრო

გასულ უქმეებზე „ბოსტონ სელტიქსის“ მძიმე ფორვარდმა **კევინ გარნეტმა** 13 მოხსნა მიითვალა „გოლდენ სტეიტთან“ მატჩში, რითაც მოხსნების ყველა დროის სიაში გაუსწრო ლეგენდარულ ცენტრ **ჰაკიმ ოლაჯუვონს**, რომლის მონაგარი 13 748 მოხსნა იყო. ახლა, გარნეტის მაჩვენებელი 13 756-ს უტოლდება.

„ბოსტონის“ ფორვარდი შესაბამის სიაში მე-11 ადგილზე იმყოფება. სავარაუდოდ, გარნეტი მალე შეაბიჯებს ათეულში, რადგან მეათე ადგილზე მყოფ **უეს ანსელდს** კარიერაში 13 769 მოხსნა აქვს დაგროვებული.

## მილიონი ლებრონს მეჯიქ ჯონსონისგან

ლეგენდარული **მეჯიქ ჯონსონი** მზად არის, ჩატენვების კონკურსის საპრიზო ფონდს ერთი მილიონი დოლარი დაამატოს, თუ მასში მონაწილეობას მიიღებს „მაიამის“ ლიდერი **ლებრონ ჯეიმსი**.

*„ლებრონს უმორჩილესად ვთხოვ, მონაწილეობა მიიღოს ჩატენვების კონკურსში. მზად ვარ, ამისთვის მილიონ დოლარს შეველიო. სწორედ ეს თანხა შეხვდება კონკურსში გამარჯვებულს“*, - განაცხადა მეჯიქმა ESPN-ის ეთერში.

დღევანდელი წესებით, ამ კონკურსის გამარჯვებული 100 ათას დოლარს იღებს.

ლებრონ ჯეიმსს არასოდეს მიუღია მონაწილეობა „ყველა ვარსკვლავის უქმეებზე“ ჩატენვების კონკურსში. არადა, რეგულარული ჩემპიონატის მატჩების წინ, მოთელვებისას ლებრონი ისეთ ილეთებს ასრულებს, რომ თავისუფლად განაცხადებდა პრეტენზიას კონკურსში გამარჯვებაზე.

### 1 მარტი

**ტორონტო-ინდიანა 81:93**

13:17, 21:22, 17:25, 30:29

**ტ:** გეი (21), ანდერსონი (14), ლუკასი (10).
**ი:** ჯორჯი (22+10 მოხსნა), ჰიბერტი (18), უესტი (15+11 მოხსნა).

**ვაშინგტონი-ნიუ იორკი 88:96**

23:26, 25:28, 29:19, 11:23

**ვ:** ბილი (29+11 მოხსნა), უოლი (16+6 პასი+3 ჩაჭრა), არიზა (15), ოკაფორი (11+10 მოხსნა).
**ნ-ი:** ენტონი (30), ფელტონი (23), სმიტი (13+12 მოხსნა+3 ჩაჭრა), სტაუდმაიერი (12), ჩენდლერი (6+10 მოხსნა).

**ორლანდო-ჰიუსტონი 110:118**

32:31, 29:33, 26:22, 23:32

**ო:** ჰარისი (27+10 მოხსნა), აფლალო (19), ვუჩევიჩი (18+10 მოხსნა+3 ჩაჭრა), ნიკოლსონი (17), ჰარკლესი (13), მური(9+11 პასი).
**ჰ:** ჰარდენი (24+7 მოხსნა+8 პასი+3 ჩაჭრა), პარსონსი (21), დელფინო (21), მოტეიუნასი (17), ბევერლი (13+6 პასი+3 ჩაჭრა), ლინი (11), აშიქი (9+12 მოხსნა).

**ბოსტონი-გ. სტეიტი 94:86**

31:20, 19:26, 19:16, 25:24

**ბ:** პირსი (26+8 მოხსნა), გრინი (18+3 დაფარება), გარნეტი (7+13 მოხსნა).
**გ-ს:** კარი (25+6 პასი), ჰ. ბარნსი (16+3 ჩაჭრა), ტომპსონი (15+9 მოხსნა), ლენდრი (11), ლი (10+19 მოხსნა).

**მაიამი-მემფისი 98:91**

16:20, 26:21, 25:25, 31:25

**მაი:** უეიდი (22+8 პასი), ჯეიმსი (18+8 მოხსნა+10 პასი), ბატიე (14), ბოში (13), ალენი (10).
**მემ:** გასოლი (24+9 მოხსნა), რენდოლფი (14+9 მოხსნა), კონლი (14+8 პასი), პონდექსტერი (10).

**ქლივლენდი-კლიპერსი 89:105**

23:31, 22:23, 23:23, 21:28

**კლივ:** უეიტერსი (17+6 პასი), მაილზი (16+3 ჩაჭრა), ტომპსონი (15+12 მოხსნა), ლივინგსტონი (10), სპეიტსი (10).
**კლიპ:** კროუფორდი (24), გრიფინი (16+11 მოხსნა+3 ჩაჭრა+3 დაფარება), ბატლერი (13), პოლი (11+15 პასი), ოდომი (10+7 მოხსნა), ჯორდანი (10).

**ბრუკლინი-დალასი 90:98**

21:22, 28:26, 14:29, 27:21

**ბ:** უილიამსი (24+4 ჩაჭრა), ლოპესი (19+9 მოხსნა), ჯონსონი (11+6 პასი), უოტსონი (11), ევანსი (0+11 მოხსნა).
**დ:** ნოვიცკი (20+8 მოხსნა), კარტერი (20), მაიო (17).

**ნიუ ორლეანი-დეტროიტი 100:95**

23:27, 24:22, 27:20, 26:26

**ნ-ო:** ვასკესი (25+9 პასი), გორდონი (21), ანდერსონი (19+13 მოხსნა), ლოპესი (10+5 დაფარება), ამინუ (8+14 მოხსნა).
**დ:** მონრო (27+10 მოხსნა), ნაითი (22), მაქსიელი (10), სინგლერი (10), კალდერონი (7+11 პასი).

**სან ანტონიო-საკრამენტო 130:102**

34:21, 29:28, 34:20, 33:33

**ს-ა:** ბლეირი (16), გრინი (15), სპლიტერი (14+11 მოხსნა), ლეონარდი (14), დანკანი (13+10 მოხსნა+3 ჩაჭრა+3 დაფარება), პარკერი (13+7 პასი), ბონერი (13), მილზი (12), ჯინობილი (9+15 პასი+3 ჩაჭრა).
**ს:** ტორნტონი (25), ტომასი (18), ტ. ევანსი (10).

**იუტა-შარლოტი 98:68**

21:9, 26:15, 21:24, 30:20

**ი:** კანტერი (23+22 მოხსნა), კეროლი (19+3 ჩაჭრა), ჯ. ევანსი (14+9 მოხსნა), ჰეივორდი (14), ბერქსი (10+7 მოხსნა).
**შ:** მალენსი (12+7 მოხსნა), სეშენსი (11).

**ფინიქსი-ატლანტა 92:87**

21:19, 23:20, 28:22, 20:26

**ფ:** დრაგიჩი (19+6 პასი+3 ჩაჭრა), მორისი (16), ჯონსონი (15), ო'ნილი (12).
**ა:** ჰორფორდი (20+7 მოხსნა+3 ჩაჭრა), კორვერი (17+8 მოხსნა), ჰარისი (12+6 პასი), ტოლივერი (11), სმიტი (5+10 მოხსნა).

**დენვერი-ოკლაჰომა 105:103**

26:29, 30:18, 29:28, 20:28

**დ:** ჩენდლერი (35), მილერი (14+7 პასი), ბრიუერი (14+5 ჩაჭრა), ლოუსონი (11+7 პასი), კუფოსი (8+13 მოხსნა+3 დაფარება).
**ო:** უესტბრუკი (38), დურანტი (25+14 მოხსნა+3 დაფარება), იბაკა (17+8 მოხსნა), სეფოლოშა (8+12 მოხსნა).

### 2 მარტი

**ფილადელფია-გ. სტეიტი 104:97**

20:31, 31:23, 31:27, 22:16

**ფ:** ჰოლიდეი (27+7 პასი+4 ჩაჭრა), ტერნერი (22+10 მოხსნა+9 პასი), აივი (17), ტ. იანგი (14+16 მოხსნა), რაიტი (13+7 მოხსნა).
**გ-ს:** კარი (30+8 პასი+3 ჩაჭრა), ტომპსონი (29+3 ჩაჭრა), ლი (13+16 მოხსნა+7 პასი), ლენდრი (12).

**ჩიკაგო-ბრუკლინი 96:85**

27:27, 26:12, 24:20, 19:26

**ჩ:** ნოა (21+10 მოხსნა), ბუზერი (20+8 მოხსნა+5 ჩაჭრა), ბატლერი (13), რობინსონი (12), ჰაინრიხი (12).
**ბ:** ლოპესი (22+3 დაფარება), უილიამსი (14+6 პასი), ბლეტჩი (13+4 ჩაჭრა), ჯონსონი (11+5 პასი), ევანსი (0+10 მოხსნა).

**მილუოკი-ტორონტო 122:114 (ო)**

23:32, 31:23, 28:19, 22:30, 18:10

**მ:** ილიასოვა (29+11 მოხსნა), ელისი (23+3 ჩაჭრა), რედიკი (16), სანდერსი (13+12 მოხსნა+5 დაფარება), ჯენინგსი (11+19 პასი), მბა ა მუტე (10).
**ტ:** ანდერსონი (21), ჯონსონი (19+9 მოხსნა), დეროზანი (18+9 პასი), ლუკასი (16), ფილდსი (15+7 მოხსნა+4 ჩაჭრა), ბარნიანი (11+7 მოხსნა), ლოური (10+10 მოხსნა+10 პასი+5 ჩაჭრა).

**პორტლენდი-მინესოტა 109:94**

31:19, 20:25, 32:27, 26:23

**პ:** ლილარდი (24), ჰიქსონი (18+16 მოხსნა), ოლდრიჯი (17+8 მოხსნა), ლეონარდი (12+8 მოხსნა), ბატუმი (12+7 მოხსნა+3 დაფარება), კლავერი (10), მეინორი (7+12 პასი).
**მ:** უილიამსი (23+8 მოხსნა+3 დაფარება), რიდნური (18+6 პასი), კანინგემი (16+8 მოხსნა), ბარეა (14), რუბიო (12+9 მოხსნა+9 პასი+3 ჩაჭრა).

**გია თვალაბეიშვილი**

# თვის ლაურეატები

ეროვნულმა საკალათბურთო ასოციაციამ გასული თვის საუკეთესო მოთამაშეებად დაასახელა: აღმოსავლეთში „მაიამი ჰიტის“ ფორვარდი **ლებრონ ჯეიმსი** და დასავლეთში - „ლოს ანჯელეს ლეიკერსის“ მცველი **კობი ბრაიანტი**.

თებერვალში ჯეიმსი თავის გუნდს 13-დან 12 მატჩის მოგებაში დაეხმარა, თანაც ეს 12 შეხვედრა ფლორიდულმა კლუბმა ზედიზედ მოიგო და სერია ახლაც გრძელდება. ჯეიმსი საშუალოდ მატჩში 29.8 ქულას, 7.8 შედეგიან გადაცემას, 7.5 მოხსნასა და 1.85 ჩაჭრას აგროვებდა.




კვირის მოთამაშეები

„ლეიკერსმა“ გასულ თვეში ასევე 13 მატჩი ჩაატარა და ცხრაჯერ მოიგო. თებერვალში ბრაიანტის საშუალო სტატისტიკა 23.9 ქულას, 6.7 მოხსნასა და 6.6 შედეგიან გადაცემას უდრიდა.

■ ■ ■

ტრადიციულად, გამოვლინდნენ თვის საუკეთესო დებიუტანტებიც. დასავლეთში ზედიზედ მეოთხედ დასახელდა თვის ახალბედად „პორტლენდის“ გამთამაშებელი **დამიენ ლილარდი**. ეს კალათბურთელი ლიდერია ყველა დებიუტანტს შორის ქულებისა (18.4) და შედეგიანი გადაცემების რაოდენობით (6.4). შეგახსენებთ, რომ ლილარდმა „ყველა ვარსკვლავის უქმეებზე“ მოიგო ოსტატობის კონკურსი.

აღმოსავლეთ კონფერენციაში თებერვლის საუკეთესო დებიუტანტი გახდა „კლივლენდის“ მცველი **დიონ უეიტერსი**. გასულ თვეში მისი სტატისტიკა ასეთი იყო - 15.8 ქულა, 3.1 შედეგიანი პასი და 1.1 ჩაჭრა. სხვათა შორის, უეიტერსი აღმოსავლეთის ყველა დებიუტანტს შორის საუკეთესოა შედეგიანობისა და პასების რაოდენობით.

რაც შეეხებათ გასული თვის მწვრთნელებს, საუკეთესოებად დასახელდნენ „მაიამის“ დამრიგებელი **ერიკ სპოელსტრა** (აღმოსავლეთი) და „მემფისის“ თავკაცი **ლიონელ ჰოლინზი** (დასავლეთი).

**გია თვალაბეიშვილი**

## მძლეოსნობა



ჯენიფერ სური და მისი რეკორდი

# ელენას რეკორდი მოუხსნეს

ისტორიულ მომენტს ჰქონდა ადგილი გუშინ ამერიკის ქალაქ ალბუკერკში, სადაც აშშ-ის ჩემპიონატი მიმდინარეობს მძლეოსნობაში. ქალთა ჭოკით ხტომაში დაემხო ლეგენდარული **ელენა ისინბაევას** რეკორდი დახურული არენებისთვის. 31 წლის ამერიკელმა **ჯენიფერ სურმა** 5.02 მეტრი სიმაღლე აიღო, რაც ერთი სანტიმეტრით ჯობნის რუსის შედეგს.

ბოლო რვაწლინახევრის განმავლობაში ქალთა ჭოკით ხტომაში რეკორდებს მხოლოდ ისინბაევა ამყარებდა. ის პირველი და ერთადერთი ქალი მხტომელი იყო, რომელმაც 5 მეტრი სიმაღლის ალება შეძლო. მაგრამ, როგორც რუსმა ერთხელ თქვა, კონკურენციის დეფიციტმა უარყოფითად იმოქმედა მის გამოსვლაზე და ელენამ წაგებებს მოუხშირა. მაგალითად, 2009 წელს გამართულ მსოფლიოს ჩემპიონატზე რუსმა ვერც ერთი სიმაღლე ვერ აილო, თუმცა რამდენიმე დღის შემდეგ, ციურიხის ტურნირზე ღია არენებისთვის ახალი რეკორდი დაამყარა - 5.06 მეტრი, რომელიც დღემდე ძალაშია.

მომდევნო ორ დიდ ტურნირზე - მსოფლიოს 2011 წლის ჩემპიონატსა და 2012 ლონდონის თამაშებზე ისინბაევა მხოლოდ ვერცხლით დაკმაყოფილდა და სერიოზულად დაფიქრდა კარიერის დასრულებაზე, თუმცა ჯერ საბოლოო გადაწყვეტილება არ მიუღია. წელს, მძლეოსნობაში მსოფლიოს ჩემპიონატი მოსკოვში გაიმართება და ელენას საკუთარი პუბლიკის წინაშე გამოსვლის სურვილი აქვს.

ამასობაში, ლონდონის თამაშების ჩემპიონმა **ჯენიფერ სურმა** დაამტკიცა, რომ მისი პროგრესი გრძელდება. კვირას გამართულ შეჯიბრში მან ჯერ 4.55 მეტრი აილო, შემდეგ 4.90 მეტრით ამერიკის რეკორდი დაამხო, ბოლოს, 5.02 მეტრზე გადახტა და დარბაზებისთვის მსოფლიოს რეკორდი დაამყარა. მან ასევე სამჯერ მიიტანა იერიში 5.07 მეტრზე, მაგრამ სამივე ცდა უშედეგო იყო.

გამარჯვების შემდეგ სურმა განაცხადა, რომ ზაფხულში მსოფლიოს ჩემპიონატზე შეეცდება ისინბაევას მეორე რეკორდის გაუმჯობესებას. თუ რუსი კარიერის დასრულებას გადაიფიქრებს და მოსკოვში მსოფლიოს ჩემპიონატზე გამოვა, ისინბაევასა და სურის დაპირისპირება პირველობის ერთ-ერთი მთავარი ინტრიგა გახდება.

## სამთო თხილამურები

# ახალი ისტორია სლოვენიელისგან

სლოვენიელი **ტინა მაზესთვის** სეზონი შეიძლება დასრულებულად ჩაითვალოს. არა, სეზონის ლიდერს ტრავმა არ მიუღია, უბრალოდ, მან 2012-13 წლებში ყველანაირ წარმატებას მიაღწია და მოტივაცია პრაქტიკულად აღარ დარჩა.

წინა ეტაპების მიმოხილვისას ვწერდით, რომ მაზეს უნდა გადაელახა 2000-ქულიანი ზღვარი და პირველი ქალი გახდებოდა ისტორიაში, ვინც ასეთ შედეგს მიაღწევდა, აგრეთვე გააუმჯობესებდა ლეგენდარული **ჰერმან მაიერის** რეკორდს, რომელმაც 2000 წელს, მსოფლიოს თასის გენერალურ კლასიფიკაციაში 2000 ქულა დააგროვა. მაზეს კიდევ ერთი ამოცანა შემდეგში მდგომარეობდა - სლოვენიელს უნდა მოეგო სწრაფდაშვების სტარტი და ამ შემთხვევაში, მას მიმდინარე სეზონში ხუთივე დისციპლინაში ექნებოდა მოპოვებული პირველი ადგილი. აქამდე, ასეთი შედეგის მიღწევა მხოლოდ ლეგენდარულმა ხორვატმა **იანიცა კოსტელიჩმა** შეძლო, რომელმაც 2006 წელს მოიგო სწრაფდაშვება, სუპერგიგანტი, გიგანტური სლალომი, სპეციალური სლალომი და სუპერკომბინაცია.

შაბათს გერმანიის კურორტ გარმიშში სწორედ სწრაფდაშვების სტარტი შედგა და მაზემ ორივე ამოცანა წარმატებით გადაჭრა - 39 მეასედი წამი მოუგო მეორე ადგილზე გასულ ამერიკელ **ლორენ როსს** და საერთო ჩათვლაში თავისი მონაგარი 2024 ქულამდე აიყვანა, რაც ყველა დროის საუკეთესო შედეგია როგორც ქალებში, ასევე მამაკაცებში.

მაზესთვის ეს იყო წელს რიგით მეცხრე გამარჯვება. სეზონის დასრულებამდე კიდევ ექვსი სტარტია დარჩენილი და როგორც ვთქვით, სლოვენიელს მოტივაცია პრაქტიკულად აღარ დარჩა, მაგრამ მას აქვს შანსი მორიგი ისტორიული მიღწევის ავტორი გახდეს - ტინას შეუძლია ბროლის მცირე გლობუსი მოიგოს ხუთივე კატეგორიაში (საერთო ჩათვლა მას უკვე მოგებული აქვს).

მაზეს განაღდებული აქვს პირველობა გიგანტურ სლალომსა და სუპერკომბინაციაში, 65 ქულით ლიდერობს სუპერგიგანტში, ერთი ქულით ჩამორჩება სწრაფდაშვების ჩათვლაში ამერიკელ **ლინდსი ვონს**, რომელმაც უკვე დაასრულა სეზონი. ყველაზე რთული იქნება სპეციალიურ სლალომში ბროლის გლობუსის მოგება, რადგან ამერიკელი **მიკაელა შიფრინი** 33 ქულით არის წინ და კარგ ფორმაშიც იმყოფება (17 წლის ვუნდერკინდმა ამ სახეობაში მსოფლიოს ჩემპიონატიც მოიგო). სეზონის დასრულებამდე სლალომში ორი სტარტი უნდა გაიმართოს და ახლა, სწორედ ეს არის მაზეს მთავარი პრიორიტეტი.


მაზე რეკორდს ზეიმობს

### სწრაფდაშვება

#### ქალები

1. **ტინა მაზე** (სლოვენია) - 1:40.46; 2. **ლორენ როსი** (აშშ) - 1:40.85; 3. **მარია რიში** (გერმანია) - 1:40.96; 4. **ლარა გუტი** (შვეიცარია) - 1:41.20; 5. **სტეფანი მოზერი** (ავსტრია) - 1:41.26; 6. **ჯულია მანკუზო** (აშშ) - 1:41.39...

#### საერთო ჩათვლა

1. **ტინა მაზე** (სლოვენია) - 2024 ქულა; 2. **მარია რიში** (გერმანია) - 970; 3. **ანა ფენინგერი** (ავსტრია) - 784; 4. **ჯულია მანკუზო** (აშშ) - 743; 5. **ლინდსი ვონი** (აშშ) - 740; 6. **კატრინ ცეტელი** (ავსტრია) - 697.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

## ცხელი ხაზი

### კალათბურთი

| გერმანია | |
|---|---|
| ბაიერნი-ბამბერგი | 85:71 |
| სკაილაინერსი-ალბა | 65:62 |
| ტელეკომი-ვესენი | 94:56 |

| საბერძნეთი | |
|---|---|
| კავალა-ოლიმპიაკოსი | 76:94 |

| ესპანეთი | |
|---|---|
| ბარსელონა-კახა ლაბორალი | 67:69 |
| ობრადოირო-სარაგოსა | 72:64 |
| უნიკახა-ბილბაო | 63:59 |
| ხუვენტუდი-ფუენლაბრადა | 86:92 |
| რეალი-მურსია | 86:69 |
| გრან კანარია-კანარიასი | 78:70 |
| ესტუდიანტესი-ვალიადოლიდი | 77:80 |

| იტალია | |
|---|---|
| აველინო-კანტუ | 63:52 |
| ბიელა-ვირტუსი | 87:76 |
| ბრინდიზი-სასარი | 93:95 |
| მონტეგრანარო-ვენეცია | 88:64 |
| რომა-ვანოლი | 79:71 |
| სკავოლინი-რეჯო ემილია | 65:68 |
| მილანი-მონტეპასკი | 72:68 |

| თურქეთი | |
|---|---|
| ალიაგა-ეფესი | 57:59 |
| გაზიანთეფი-ბეშიქთაში | 76:66 |

### ჰოკეი

| კჰლ | |
|---|---|
| სიბირი-ავანგარდი | 3:0 |
| ბარისი-ტრაქტორი | 4:2 |
| ს. იულიაევი-მეტალურგი (მ) | 5:4 |

| [illegible] | |
|---|---|
| ვილახი-ლინცი | 2:3 |
| გრაცი-კლაგენფიურტი | 0:3 |
| ზალცბურგი-ზაგრები | 2:5 |
| ზნოიმო-ვენა | 0:7 |

| გერმანია | |
|---|---|
| აისბარენი-ვოლფსბურგი | 5:4 |
| ჰამბურგი-კიოლნი | 2:1 |
| ჰანოვერი-ნიურნბერგი | 2:1 |
| მანჰაიმი-მიუნხენი | 4:2 |
| ინგოლშტადტი-იზერლონი | 3:0 |
| კრეფელდი-დიუსელდორფი | 4:2 |
| შტრაუბინგი-აუგსბურგი | 1:2 (ო) |

| დანია | |
|---|---|
| ოდენსე-ოლბორგი | 2:3 (ო) |
| როდოვრე-ჰერნინგი | 2:1 |
| ჰერლევი-ფრედრიკშავნი | 2:3 (ო) |
| ესბერგი-სონდერიისკი | 1:0 |

| სლოვაკეთი | |
|---|---|
| ბისტრიცა-ტრენჩინი | 3:0 |
| ჟილინა-კოშიცე | 0:7 |
| მარტინი-პოპრადი | 2:5 |
| ნიტრა-პიესტანი | 6:0 |
| სკალიცა-ზვოლენი | 8:2 |

| ჩეხეთი | |
|---|---|
| კარლოვი ვარი-ლიბერეცი | 4:2 |
| ბრნო-ხომუტოვი | 3:2 (ო) |

### ჩოგბურთი

| WTA. ქუალა ლუმპური | |
|---|---|
| მატეკი-პლიშკოვა | 6:1, 5:7, 3:6 |

## TV პროგრამა

### 4 მარტი. ორშაბათი

#### GMG-ფეხბურთი

**10:00** ბრაზილიის ჩემპიონატი. პაულისტას ლიგა. X ტური. სანტოსი-კორინთიანსი.
**12:00** გერმანიის ჩემპიონატი. XXIV ტური. ჰოფენჰაიმი-ბაიერნი.
**14:00** არგენტინის ჩემპიონატი. IV ტური. რასინგი-ლანუსი.
**16:00** ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. XXVIII ტური. ჩელსი-ვესტ ბრომვიჩი.
**18:00** ჰოლანდიის ჩემპიონატი. XXV ტურის მიმოხილვა.
**19:00** ბრაზილიის ჩემპიონატი. პაულისტას ლიგა. X ტური. ლინენსე-პონტე პრეტა.
**21:00** გერმანიის ჩემპიონატი. XXIV ტურის მიმოხილვა.
**22:00** მსოფლიო ფეხბურთის ლიდერები.
**23:00** პროგრამა - საფეხბურთო ლამე.
**00:00** ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. XXVIII ტური. ასტონ ვილა-მანჩესტერ სიტი (LIVE).

#### GMG-სპორტი 1

**10:00** ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. XXVIII ტური. ტოტენჰემი-არსენალი.
**12:00** სპორტ-NEWS.
**12:15** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. კლიპერსი-ოკლაჰომა.
**15:00** ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ფორტუნა-მაინცი.
**17:00** რაგბი. ჰაინეკენის თასი. კარდიფი-მონპელიე.
**19:00** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
**19:30** სპორტ-NEWS.
**20:00** ფეხბურთი. ჰოლანდიის ჩემპიონატი. ეინდჰოვენი-ვენლო.
**22:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ფინალი. ნოვაკ ჯოკოვიჩი-ტომაშ ბერდიხი. დუბაი. საამიროები.
**00:30** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ნიუ იორკი-მაიამი.

#### GMG-სპორტი 2

**10:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. ინდიანა უელსი. აშშ.
**12:45** სპორტ-NEWS.
**13:15** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. ინდიანა უელსი. აშშ.
**15:30** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მიმოხილვა. აკაპულკო. მექსიკა.
**16:30** სპორტ-NEWS.
**17:00** ფეხბურთი. ჰოლანდიის ჩემპიონატი. ნიიმეგენი-ფეიენოორდი.
**19:00** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. მილუოკი-ფილადელფია.
**21:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. ინდიანა უელსი. აშშ.

## ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი

### 1 მარტი

**სტ ლუისი-ედმონტონი 4:2**

0:2, 2:0, 2:0

**გოლები:** ტ. ჰოლი-4 (ებერლე-9, შულცი-8), 0:2 რაიან უიტნი-1 (რ. სმიტი-5, იაკუპოვი-6), 1:2 შვარცი-2 (ოში-9, ბეკსი-11), 2:2 შატენკირკი-2 (სობოტკა-6, კ. სტიუარტი-7), 3:2 სობოტკა-2 (კრაკნელი-1, პორტერი-1), 4:2 ბეკსი-3 (ოში-10, შვარცი-3).

**ჩიკაგო-კოლამბუსი 4:3 (ო)**

1:1, 2:1, 0:1, 1:0

**გოლები:** 0:1 პროსპალი-7 (დორსეტი-6, ლეტესტუ-6), 1:1 სტალბურგი-6 (საადი-2, პ. კეინი-15), 1:2 ანისიმოვი-5 (ატკინსონი-2), 2:2 შარპი-5 (კეიტი-11), 3:2 ბიკელი-3, 3:3 იოჰანსენი-1 (ფოლინო-7, უმბერგერი-4), 4:3 სირუკი-3 (ტეივზი-9, სტალბურგი-4).

**ანაჰაიმი-მინესოტა 3:2**

2:0, 1:0, 0:2

**გოლები:** 1:0 გეტცლაფი-7 (პერი-13, პალმიერი-3), 2:0 სელიანე-6 (სბისა-4, რაიანი-10), 3:0 ბელესკი-4 (ვინიკი-5, კოლიანო-5), 3:1 ბროძიაკი-2, 3:2 სეტოგუჩი-4 (რუპი-1, რ. სატერი-13).

### 2 მარტი

**ფილადელფია-ოტავა 2:1**

0:0, 2:1, 0:0

**გოლები:** 1:0 ვორაჩეკი-9 (ფედოტენკო-5, ლ. შენი-5), 2:0 სიმონდსი-9 (ბ. შენი-13, ბრიერი-8), 2:1 მეტოტი-1 (გრინინგი-7).

**ბოსტონი-ტამპა ბეი 3:2**

0:2, 2:0, 1:0

**გოლები:** 0:1 სტემკოსი-15 (პურსელი-16, მ-ა. ბერჟერონი-4), 0:2 კილორნი-3 (პურსელი-17, სან ლუი-21), 1:2 სეგუინი-4 (დ. ჰემილტონი-9, კრეიჩი-10), 2:2 პევერლი-3 (მაკუეიდი-2, პეი-4), 3:2 მარჩანდი-11 (პ. ბერჟერონი-11).

**ბაფალო-ნიუ ჯერსი 4:3 (ბ)**

0:0, 1:1, 2:2, 0:0

**გოლები:** 1:0 პომინვილი-8 (ჰოჯსონი-10, მ. უებერი-4), 1:1 ბერნიე-6 (რ. კარტერი-4, ფეინი-4), 1:2 ენრიკე-5, 2:2 პომინვილი-9 (ჰოჯსონი-11, ოტი-7), 3:2 ჰეხტი-1 (გრიგორენკო-3), 3:3 ლაკტიონოვი-3 (მატონ-2, კოვალჩუკი-11).

**ბულიტები გაიტანეს:** პომინვილი (ბაფალო), ენისი (ბაფალო).

**ვინიპეგი-ვაშინგტონი 0:3**

0:0, 0:1, 0:2

**გოლები:** 0:1 ჰენდრიქსი-4 (რიბეირო-17, ერსკინი-2), 0:2 ბოუერი-9 (ბექსტრიომი-14), 0:3 რიბეირო-7 (ოვეჩკინი-8, ფერი-4).

**მონრეალი-პიტსბურგი 6:7 (ო)**

1:1, 3:3, 2:2, 0:1

**გოლები:** 1:0 პრუსტი-3 (კაბერლე-2), 1:1 ბ. სატერი-5 (ლეტანგი-13, ბენეტი-2), 2:1 პასიორეტი-7 (გალაჰერი-4, კაბერლე-3), 2:2 კუნიტცი-10 (კროსბი-23, ენგელანდი-3), 2:3 კუკი-4 (ორპიკი-5, ლეტანგი-14), 2:4 კუკი-5, 3:4 ბ. ჯონტა-5 (ბუიონი-5, ელერი-8), 4:4 სუბანი-4 (გალაჰერი-5, პასიორეტი-11), 5:4 დეშარნე-5 (ემელინი-4, მარკოვი-8), 5:5 კუნიტცი-11 (კროსბი-24, ლეტანგი-15), 5:6 კროსბი-10 (ლეტანგი-16, კუნიტცი-16), 6:6 ბ. ჯონტა-6 (ელერი-9, ემელინი-5), 6:7 ბ. სატერი-6 (დესპრე-4, ჯ. ნილი-8).

**კაროლინა-ფლორიდა 6:2**

3:1, 2:1, 1:0

**გოლები:** 1:0 ი. იოკინენი-3 (რაილი ნეში-2, ფოლკი-6), 2:0 ტლუსტი-10 (სიომინი-13), 3:0 ი. იოკინენი-4 (რაილი ნეში-3), 3:1 მატიასი-4 (სმიტსონი-3, პაროსი-1), 4:1 რაილი ნეში-1 (დუაიერი-5, ი. იოკინენი-3), 5:1 ე. სტაალი-11 (სიომინი-14), 5:2 კუბა-1 (გოკი-5, სტრაჩანი-2), 6:2 ე. სტაალი-12 (სიომინი-15, მაკბეინი-4).

**ფინიქსი-ანაჰაიმი 5:4 (ბ)**

1:1, 1:2, 2:1, 0:0

**გოლები:** 0:1 კოლიანო-6 (ს. კოივუ-12, ლიდმანი-3), 1:1 ლომბარდი-2 (ტორესი-3, დოუნი-6), 2:1 კორპიკოსკი-5 (მოსი-7, იენდლი-9), 2:2 კოლიანო-7 (ლავჯოი-5), 2:3 კოლიანო-8 (ვინიკი-6, ს. კოივუ-13), 3:3 კორპიკოსკი-6 (ვერმეტი-6), 3:4 ს. კოივუ-7 (რაიანი-11, სბისა-5), 4:4 სალივანი-5 (ეკმან-ლარსონი-11, ბოდკერი-12).

**ბულიტები გაიტანეს:** სალივანი (ფინიქსი).

**ვანკუვერი-ლოს ანჯელესი 5:2**

1:0, 3:2, 1:0

**გოლები:** 1:0 ჰამჰუისი-2 (ბაროუზი-7, ჰ. სედინი-16), 1:1 ჯასტინ უილიამსი-2 (მუზინი-2, კოპიტარი-12), 2:1 რეიმონდი-6 (ჰანსენი-5, ბუტი-1), 2:2 ნოლანი-2, 3:2 დ. სედინი-8 (ჰ. სედინი-17, ბაროუზი-8), 4:2 ჰანსენი-4 (რეიმონდი-5, ჰამჰუისი-10), 5:2 ჰიგინსი-5.

**სან ხოსე-ნეშვილი 2:1**

1:0, 1:0, 0:1

**გოლები:** 1:0 ბოილი-3 (ჯ. ტორნტონი-17, კუტური-7), 2:0 პაველსკი-7 (კუტური-8, ჯ. ტორნტონი-18), 2:1 გ. ბურკი-5 (სპალინგი-2).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი. ტურნირები

# ნოვაკმა ახალი სერია დაიწყო


ნოვაკ ჯოკოვიჩი

გასულ კვირას, ჩოგბურთელები ექვს ტურნირზე იყვნენ გაფანტულნი, მაგრამ უკვე ამ კვირას ისინი ერთად მოიყრიან თავს ინდიან უელსში, სადაც ამ სეზონის პირველი მასტერსი აიღებს სტარტს.

უკვე ნახსენები ექვსი ტურნირიდან ორი გამორჩეულ ინტერესს იწვევდა - დუბაიში თამაშობდა პლანეტის ორი უძლიერესი ჩოგბურთელი - **ნოვაკ ჯოკოვიჩი** და **როჯერ ფედერერი**, აკაპულკოში კი დაბრუნების შემდეგ მესამე ტურნირში გამოდიოდა **რაფაელ ნადალი**. მექსიკაში მისთვის სერიოზული გამოცდა უნდა მოეწყოთ **ნიკოლას ალმაგროსა** და **დავიდ ფერერს**.

რა თქმა უნდა, დუბაიში ყველა ელოდა ჯოკოვიჩისა და ფედერერის ფინალს, მაგრამ უკვე ვწერდით, რომ როჯერის სვლა **ტომაშ ბერდიხმა** შეაჩერა და ის შეხვდა გადამწყვეტ მატჩში ნოვაკს. მანამდე ჩეხი და სერბი 13-ჯერ დაუპირისპირდნენ ერთმანეთს და ბერდიხს ერთადერთხელ ჰყავდა დამარცხებული ჯოკოვიჩი - 2010 წლის უიმბლდონის ნახევარფინალში.

დუბაის ფინალი იმით დაიწყო, რომ ორივე ჩოგბურთელი ცდილობდა მორგებოდა მეტოქის მოწოდებას. პირველმა ეს გააკეთა ბერდიხმა და სერბის მოწოდებაზე ბრძოლა გაჩაღდა. ჩეხმა პირველივე ბრეიკ-პოინტი გამოიყენა, მაგრამ ჯოკოვიჩმა მომდევნო გეიმში შეძლო საპასუხო ბრეიკის გაკეთება. მიუხედავად ამისა, მსოფლიოს პირველი ნომერი ვერ ახერხებდა ინიციატივის საბოლოოდ მოპოვებას. ბერდიხმა სამი დაფარული მატჩბოლი მოიპოვა, მაგრამ გადამწყვეტ მომენტებში ნოვაკი ყურადღებით იყო და ყველა საფრთხე მოიგერია, შემდეგ კი ჩეხი მეორედ ჩავარდა სეტში და მეტოქის ბრეიკ-პოინტზე ორმაგი შეცდომით სეტი მეტოქეს გადაულოცა.

მეორე პარტიის პირველ ნახევარში მეტოქეები დამაჯერებლად ინარჩუნებდნენ საკუთარ მოწოდებებს. მილებაზე პირველი შანსი ისევ ბერდიხმა მიიღო, მაგრამ ტომაშმა კვლავ არაზუსტად ითამაშა გადამწყვეტ მომენტში. შემდეგ გეიმში კი რამდენიმე უხეში შეცდომა დაუშვა და ჯოკოვიჩს მატჩში მესამე ბრეიკი გააკეთებინა. მატჩზე ჩაწოდებისას ნოვაკს ოდნავ გაუჭირდა, როცა ორმაგი შეცდომა დაუშვა, მაგრამ სიტუაცია ეისით გამოასწორა, ბოლოს კი მშვიდად მიიყვანა საქმე გამარჯვებამდე - 7:5, 6:3. ბერდიხმა ბოლო ორი კვირის განმავლობაში მეორე ფინალი წააგო. მანამდე ჩეხმა გადამწყვეტი მატჩი დაუთმო **ჟო-ვილფრიდ ცონგას** მარსელში.

ნოვაკ ჯოკოვიჩმა კი მეოთხედ მოიგო დუბაის ტურნირი და ახლა გაზარდა უპირატესობა რეიტინგში - სხვაობა ფედერერთან თითქმის 4 ათას ქულას გაუტოლდა. გარდა ამისა, წელს ჯოკოვიჩს არც ერთი ოფიციალური მატჩი არ წაუგია - მას 13 მოგება აქვს, რომელიც აერთიანებს ტიტულებს მელბურნში და დუბაიში, აგრეთვე დევისის თასზე გამარჯვებებს. უნდა აღინიშნოს, რომ სეზონის სტარტზე ჯოკოვიჩმა წააგო **ბერნარდ ტომიჩთან**, მაგრამ მატჩი ჰოპმანის თასზე გაიმართა, რომელსაც ATP-ის ოფიციალურ სტატისტიკაში არ ითვალისწინებენ.

**Tennis Championships**

დუბაი (საემიროები). ჰარდი

**ფინალი**

ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ, 1)-ტომაშ ბერდიხი (ჩეხ, 3) 7:5, 6:3.

# ნადალი უკვე დომინირებს


ნადალი ტიტულებს აგროვებს

აკაპულკოს ტურნირს იგივე სტატუსი ჰქონდა, როგორიც დუბაის ჩემპიონატს, მაგრამ იქ საფარი გრუნტისა იყო და სატურნირო ბადე, ძირითადად, ესპანელი და არგენტინელი ჩოგბურთელებით დაკომპლექტდა. იქ ჩავიდა **რაფაელ ნადალიც**. შეგახსენებთ, რომ მსოფლიოს მეხუთე ჩოგანისთვის ეს იყო მესამე ტურნირი წელს: ვინა-დელ-მარში რაფამ სენსაციურად წააგო **ორასიო სებალიოსთან**, სან პაულუს გადამწყვეტ მატჩში კი დამაჯერებლად მოუგო **დავიდ ნალბანდიანს**.

ნადალმა დამაჯერებლად გაიარა მთელი დისტანცია. ყველაზე რთული მატჩი მას ნახევარფინალში ჰქონდა, სადაც **ნიკოლას ალმაგრო** უპირისპირდებოდა. პირველ პარტიაში ნიკოლასს მილებაზე სეტბოლიც ჰქონდა, მაგრამ შანსი ხელიდან გაუშვა, შემდეგ საკუთარი მოწოდება და სეტი დათმო. მეორე პარტიაში კი ნადალს ერთი ბრეიკი ეყო მოგებისთვის - 7:5, 6:4. ამასთან, რაფა კვლავაც შორს არის თავისი საუკეთესო ჩოგბურთისგან და მატჩის დიდი ნაწილი დაცვაში გაატარა, თუმცა ნიკოლასმა ყველა შანსი გაფლანგა.

ფინალში ნადალის მეტოქე იყო **დავიდ ფერერი**. პირველ ნომრად განთესილიც იოლად მივიდა ფინალამდე (ნახევარფინალში იტალიელმა **ფაბიო ფონინიმ** მეორე სეტი მოუგო ესპანელს, მაგრამ ფერერმა პირწმინდად გაანადგურა მეტოქე პირველ და მესამე პარტიებში). საინტერესოა, რომ დავიდი აკაპულკოს კორტებზე 2005 წლის შემდეგ წაუგებელი იყო და ბოლო სამი ტიტული სწორედ მას ჰქონდა აღებული.

საინტერესო ფინალი არ გამოვიდა. ფერერმა ძალიან ცუდად ითამაშა, ბევრ შეცდომას უშვებდა, მათ შორის, მარტივ სიტუაციებში და ვერანაირი წინააღმდეგობა ვერ გაუწია ნადალს, რომელმაც, პირიქით, ბრწყინვალე ჩოგბურთი აჩვენა. შესანიშნავად მოქმედებდა რაფას ფორჰენდიც და ბექჰენდიც, შეცდომების რაოდენობაც მინიმალური იყო. პირველ სეტში დავიდს არც ერთი გეიმბოლი არ ჰქონია და პირველი გეიმი მაშინ აიღო, როცა 0:6, 0:2 ჩამორჩა. მაგრამ ეს დროებითი წარმატება იყო. ნადალი ერთი თავით მაღლა იდგა მეტოქეზე და საბოლოოდ, ზედიზედ მეორე ტიტული მოიპოვა. ახლა ყველას აინტერესებს - წავა თუ არა ნადალი სათამაშოდ ინდიან უელსსა და მაიამიში, თუ ევროპული გრუნტის სეზონისთვის დაიწყებს მზადებას.

**Abierto Mexicano Telcel**

აკაპულკო (მექსიკა). გრუნტი

**ფინალი**

რაფაელ ნადალი (ესპ, 2)-დავიდ ფერერი (ესპ, 1) 6:0, 6:2.

ჭიდაობა

# უკვე შიმშილობაზე გადავიდნენ


არმენ ნაზარიანი

ჭიდაობაში ორგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა **არმენ ნაზარიანმა** შიმშილობა გამოაცხადა - ის ამ ფორმით აპროტესტებს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის გადაწყვეტილებას, ჭიდაობის ოლიმპიური პროგრამიდან ამოღების შესახებ.

*„შიმშილობით გამოვხატავ პროტესტს სოკ-ის აღმასკომის ინციატივის წინააღმდეგ. ჭიდაობა ყოველთვის იყო ოლიმპიურ პროგრამაში და არასწორია მისი შევიწროება“*, - ასე ახსნა თავისი გადაწყვეტილება ნაზარიანმა. მისი სიტყვებით, შიმშილობას შეუერთდება თავისუფალ ჭიდაობაში ბულგარეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელიც. ნაზარიანი ამბობს, რომ მხოლოდ ვაჟინს დალევს 22 მარტამდე, როცა თბილისში დაიწყება ევროპის ჩემპიონატი ჭიდაობაში.

ნაზარიანს სომხეთისა და ბულგარეთის სახელით აქვს მოგებული ოლიმპიადის ოქროს მედლები 1996 და 2000 წლის თამაშებზე. ის აგრეთვე გახლავთ მსოფლიოს სამგზისა და ევროპის ექვსგზის ჩემპიონი.

შეგახსენებთ, რომ უფრო ადრე, 1996 წლის ოლიმპიადაზე მოგებულ ოქროს მედალზე უარი თქვა ბულგარეთის ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტმა **ვალენტინ იორდანოვმა**. 53 წლის ჩემპიონმა განაცხადა, რომ პირადად გადასცემს მედალს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტს **ჟაკ როგეს**.

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**




ლელო
ISSN 2233-3827
დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე
მთავარი რედაქტორის პირველი მოადგილე **გია თვალაბეიშვილი**; მოადგილეები: **ნიკოლოზ ნეფარიძე, გია ტუხაშვილი**; მხატვრული რედაქტორი: **ვაჟა სიმონიშვილი**
ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **თამუნა ყულუმბეგაშვილი.** *ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი:* ***ნიკოლოზ ნეფარიძე***
1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს“ მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).
***პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 2383-384. ელფოსტა: leloltd@gmail.com; lelo@palitra.ge*** ხელმოწერილია დასაბეჭდად: 03:15
მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **242 32 73, 599 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 232 38 08 63;** ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **237 78 07**
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია
საბანკო რეკვიზიტები: შპს „გამომცემლობა ლელო“, 205262062. ბანკი „ქართუ“ CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608